№33 (300) • 1 ოქტომბერი, 2014 წელი • გამოდის ოთხშაბათს • E-mail: saertogazeti@yahoo.com • ფასი 1 ლარი

WWW.SAERTOGAZETI.GE

# საერთო გაზეთი

## ორი გაზეთი ერთ გაზეთში

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

# პატრიოტი



## ნეოფაშისტები და რევანშისტები არეულობის დაწყებას ჭიდაობის ფედერაციიდან აპირებენ?

**ლუკა კურტანიძე:** რამაზ ნოზაძე მემუქრება, რომ მესვრის, ბენზინს გადამასხამს და დამწვავს. ეს რევანშიზმია!



წუხელ ალმაშფოთებელი ფაქტი მოხდა — ჟურნალისტ **ზაზა დავითაიას** „თავისუფალი ზონის“ წევრები თავს დაესხნენ და სასტიკად სცემეს.

„ნაცმოძრაობის“ სისხლიანი რეჟიმის დროს ჟურნალისტებს არ დაგვკლებია ცემა, დისკრედიტაცია, შეურაცხყოფა...

ყოველივე ეს დღემდე გრძელდება. „ნაცმოძრაობა“ კვლავაც ძალადობს თავისუფალ სიტყვაზე, ჟურნალისტებზე, ხალხზე. ეს უკვე სცდება ყოველგვარ სამართლებრივ ჩარჩოებს.

დროა, ხელისუფლებამ ამ ცუდად აგორებული აგრესიის აღსაკვეთად გადამჭრელი ზომები მიიღოს.

## ათდღიანი ულტიმატუმი „თავისუფალ ზონას“: — თვითლიკვიდაცია ან პოლიტიკური ჯოჯოხეთი!



**ვახტანგ მაისაია:**



აბუ ომარ ალ-შიშანი, იგივე თარხან ბათირაშვილი ერთ-ერთ ნომერ პირველ ტერორისტად მსოფლიოში მიხეილ სააკაშვილმა აქცია



## ნათია მიქიაშვილის პირადი „ანატომია“



**რევაზ გაბაშვილი:**

საქართველოსა თუ ხიზნობაში, ქართველო, სამშობლოსთვის იშრომე და იზრუნე, იბრძოლე...

## საერთო გაზეთი – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

# რატომ ებრძვის ცუდი რუსეთი კარგ ელისო კილაძეს, ანუ „კუპი კირპიჩ“!

მიმდინარე წლის 30 სექტემბერს გაზეთ „ქრონიკა+“-ში დაიბეჭდა თვით „ქრონიკა+“ -ისაც კი, ერთობ უცნაური პუბლიკაცია, რომელიც მიზნად ისახავდა „რუსი და ქართველი ხალხების ერთიანობის ფონდის“ პრეზიდენტის, პროფესორ ვლადიმერ ხომერიკის, თქვენი მონა-მორჩილისა და „საერთო გაზეთის“ დისკრედიტაციას. ჩემდა გასაოცრად, გაზეთი შემკული იყო სამი წლის წინათ მოსკოვში გადაღებული ფოტოთი, რომელზეც მე და ბატონი ვლადიმერი ვართ გადაღებულნი. ეს ფოტო სრულიად აუღელვებლად მიდევს ერთ-ერთი სოციალური ქსელის კედელზე, მაგრამ პუბლიკაციაში ეს არ არის მითითებული. პუბლიკაციაში წერია, რომ ინფორმაცია აქვს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, რომელიც თურმე „ფეესბედან“ მუშაობს ქალბატონ ელისო კილაძის გაზეთის სასარგებლოდ.(!) იმედია, ამ ფოტოში ქალბატონ ელისოს, მაინცდამაინც, ძვირი არ გადაახდევინეს. რაც თავად ფოტოს შეხება, ჩემმა ყველა მეგობარმა იცის, რომ სამი წლის წინათ, მე გახლდით მოსკოვში ერთ-ერთ კონკურსზე, სადაც დიპლომი მივიღე. რაც შეეხება ჩემი და ბატონი ვლადიმერის ურთიერთობას, მოგვარეები, ნათესავები გახლავართ და რამდენადაც მე ვიცი, ქართველმა კაცმა, რომელიც ცხოვრობს ჩემთვის უცხო ქალაქში, შეიძლება გააცნოს აღნიშნული ქალაქი თავის ახლგაზრდა მოგვარეს, ნათესავს ისე, რომ ქალბატონ ელისოს არ ჰკითხოს, სად გადაიღოს სურათი და გადაიღოს თუ არა ეს სურათი, საერთოდ. ერთობ საინტერესოა, „ საერთო გაზეთის“ წინააღმდეგ წამოყენებული „ბრალდება“ , თითქოს ეს გაზეთი ფინანსდება ოკუპანტის მიერ და თანაც ელისო კილაძის წინააღმდეგ. საკმაოდ საინტერესო გათვლაა ეს, ძალიან მარტივი და ღიმილისმომგვრელი საქმეში ჩახედული ხალხისთვის. ამიტომ ელისო კილაძე თუ ლამის პირდაპირ აცხადებს, რომ ის იმდენად დიდი და სერიოზული ფიგურაა, რომ საქართველოს მტრები სხედან და დღე და ღამ მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, როგორ გაანეიტრალონ ქალის კაბაში გამოწყობილი ეს ახალი მოდის შალიკო ხვინგიაძე. ვინ არიან ეს საქართველოს მტრები? რა თქმა უნდა, რუსეთი და „ფეესბე“. აბა, როგორ იკადრებს ქალბატონი ელისო იმას, რომ საშუალო სტატისტიკურ, ჩვეულებრივ, ქართულ, საკმაოდ პოპულარულ „საერთო გაზეთს“ დაუპირისპირდეს?! ქალბატონი ელისო იმდენად დიდი მოღვაწეა, რომ მთელი დასავლური სამყარო უჭერს მას მხარს მორალურად, რუსეთი შეძრწუნებული და თავზარდაცემულია ამით.






ქრონიკა+
...ზადება თუ არა რევანშისთვის ირაკლი ღარიბაშვილი?!
სკანდალური ფარული ჩანაწერები
ხომერიკი რა ჩემი ძმაკაცი ნახე? ხომერიკი არის აგენტი, აკეთებს კრემლის საქმეს...
მერაბიშვილთან მეგობრობენ და ჩემს გვარს ახსენებენ, რატომ? რატომ? რატომ?
15 000$, 25 000$, ხომერიკის გამოგზავნილი ფულები.
კარგად იფიქრე, კირილოვიჩ, ვისთან ილაპარაკე... „ბრატ“!

ასევე სულელურად არის ჩამოყალიბებული „საერთო გაზეთის“ წინააღმდეგ მიმართული მეორე „ბრალდებაც“. თითქოს მე შემთხვევით შევხვდი თბილისში მყოფ ვლადიმერ ხომერიკს. ეს, რა თქმა უნდა, დეზინფორმაციაა. „საერთო გაზეთში“ სრულიად გასაგებად იყო ნახსენები, რომ ჩვენ ვისარგებლეთ შემთხვევით, ანუ იმ შემთხვევით, რომ ვლადიმერ ხომერიკი იყო თბილისში და არა იმ შემთხვევით, რომელსაც ქალბატონი ელისო უთითებს. რაც შეეხება ბატონ ვლადიმერ ხომერიკისა და ჩემს ურთიერთობებს, ჩვენ მოგვარეები, ნათესავები გახლავართ, ეს არასოდეს დამიმალავს და როცა ბატონ ვლადიმერთან შეხვედრის საშუალება მეძლევა, მე ყოველთვის ვცდილობ ვისარგებლო ამ საშუალებით, შემთხვევითიც რომ იყოს ეს.

აქვე ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც უნდა შევეხო. ჩემი ნათლობის სახელი გახლავთ ქეთევანი, ხოლო ის, რომ ნათესავების ერთი გარკვეული წრე მე ბავშვობიდან კატოს მეძახის, ნამდვილად, არ უნდა იყოს ქალბატონი ელისოს საქმე. ჯერ ერთი, როცა მე ქუჩაში მივდივარ და ვინმე დამიძახებს — კატო, ის ჩემთვის რომელიმე ძალიან შინაურია. დანარჩენებისთვის (მეგობრებისა და ჟურნალისტებისთვის) მე ქეთი გახლავართ. ა.წ. განსვენებული ბებიაჩემი ქეთოს მეძახდა, მეუღლე ქეთუნას მეძახის და ა.შ. ამდენად, ჩემი სახელიდან მზვერავის მეტსახელი არ გამოვა და ქალბატონმა ელისომ გაითვალისწინოს ეს.

ისე, ერთობ უცნაურია, რომ ბოლო ხანებში, ქართულ მედიას ისევ დაეწყო ხომერიკოფობია და ვლადიმერ ხომერიკი იმდენად პოპულარული გახდა და იმდენი უცნაური რამ დაიწერა მასზე, რომ ჩვენ ძალიან გვიკვირს, მივხვდეთ ამ ჭორების ავტორებს რატომ არ მოსდით თავში აზრად, რომ ისინი ამ თავიანთი სულელური პასკვილებით პირიქით მაღლა სწევენ ვლადიმერ ხომერიკის რეიტინგს. ერთი და იგივე გაზეთი ჯერ განაცხადს აკეთებს ვლადიმერ ხომერიკი ვიღაცას აფინანსებსო, მერე ამბობს (სხვისი საშუალებით თუ სხვას ამოფარებული) ვლადიმერ ხომერიკს მანეთი არ აქვს ჯიბეში და მეტროთი დადისო და ამ განცხადებებს შორის წინააღმდეგობას ვერ ხედავს. მეტიც, ყველანაირად ცდილობენ, რომ არ გააფუჭონ ურთიერთობები „რუსი და ქართველი ხალხების ერთიანობის ფონდის“ პრეზიდენტთან. პარალელურად, ჩვენ არ გაგვიკვირდება თუ მესამე პირის მეშვეობით აწარმოებენ მოლაპარაკებას იმავე ბატონ ვლადიმერთან რომელიმე მსუყე პროექტის დაფინანსებაზე. ამდენად, ეს მუქარა, რომ „გვაქვს კომპრომატები, მაგრამ ამის გამოქვეყნებისაგან ჯერჯერობით თავს ვიკავებთ“, გულისხმობს იმას, რომ თუ „რუსი და ქართველი ხალხების ერთიანობის ფონდ“ -მა დაუფინანსა რაიმე კარგი პროექტი, მაშინ კომპრომატებიც გაქრება. „ფეესბეს“ აგენტი ვლადიმერ ხომერიკიც“ უანგარო მამულიშვილი გახდება ამ პასკვილების ავტორებისთვის და ...მოკლედ, ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს. ეს ერთობ უცნაური განცხადებები ძალიან მაგონებს ჩემს ბავშვობაში გავრცელებულ „კუპი კირპიჩ“, ანუ აგური, რომელიც 20 კაპიკი ღირდა დღისით, ღამე თუ დაგხვდებოდნენ და ამავე აგურის თავში ჩარტყმით დაგემუქრებოდნენ, ათსა და ოც მანეთსაც აღწევდა მისი ფასი. აქვე მინდა დავამატო, რომ ვლადიმერ ხომერიკი აშკარად არ ჰგავს ისეთ ადამიანს, რომელსაც ასე დააშინებ და ასე აყიდინებ აგურს. ის ფულს არ გადაუხდის კატას, რომელიც მარტო ჩხავის და თაგვს კი არ იჭერს. მით უმეტეს, ვლადიმერ ხომერიკს არასოდეს უთქვამს, რომ მისი მხარდაჭერით ფინანსდება რომელიმე პროექტი.

არც ისე დიდი ხნის წინათ, „ქრონიკა +“ რედაქტორი ქალბატონი ელისო კილაძე პირდაპირ გვაბრალებდა, რომ „საერთო გაზეთი“ „ფეესბედან“ და კერძოდ, ვლადიმერ ხომერიკისგან ფინანსდებოდა, ახლა მან დადო ჩანაწერი, საიდანაც ვიგებთ, რომ ვლადიმერს თურმე მანეთი არ აქვს ჯიბეში და დადის ფეხით და მეტროთი, ჰოდა, ასეთი კაცი რისი დამფინანსებელია.

ქალბატონი ელისო ადრეც არაერთხელ იყო შემჩნეული იმაში, რომ მეგობრობდა ადამიანებთან, რომლებსაც უყვარდათ პრესაში ფულის ჩადება და ახლაც ბრწყინვალე ოფისშია გამოჭიმული (არ გვშურს ღმერთმანი), მით უფრო, ამ ოფისში ისეთი „კომპრომატების“ საცხობია, გაოცდება კაცი, როგორ ახერხებს ქალბატონი ელისო ვიღაცების მონაჩმახი გაასაღოს უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებისგან მიღებულ ინფორმაციად. ეს ყველაფერი უფულოდ არ ხდება. რა თქმა უნდა, შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ გაზეთის შექმნიდან ერთ წელიწადში 21-ე საუკუნის საქართველოში გაზეთმა იმდენი მკითხველი შემოიკრიბა, რომ ძალიან მაღალი ხელფასები, მაღალჭერიანი ოფისები და ძალიან საინტერესო მანქანები რედაქციისთვის პრობლემა აღარ არის ( არც ეს გვშურს ღმერთმანი, მაგრამ იქნებ კილაძემ საკუთარ გულში ჩაიხედოს და დაფინანსების წყაროზე ალალად თქვას ორიოდე სიტყვა). ეს ოხერი, ჩვენ დაქცეულ ქვრყანაში ეშმაკიც კი აღარ დარჩა, რომ სული მიჰყიდო და ამით ფული იშოვო. უამრავი ჭორი დადის ხალხში იმ თემაზე, ვინ აფინანსებს ელისოს გაზეთს, ნაციონალები, რუსები თუ ნაციონალებთან გარიგებული რუსული ფრთა?! ჩვენ ამ საკითხით სიმართლე გითხრათ, ქალბატონი ელისოსგან განსხვავებით, არ დავინტერესებულვართ, არავის ჭუჭყიანი თეთრეული არაფერში გვჭირდება. რაც თავად ქალბატონ ელისოს შეეხება, გულწრფელად ვურჩევთ, გადახედოს თავის „შრომით“ბიოგრაფიას.

**ქეთი ხომერიკი**
**592 53 53 03**

**მინაწერი: ორშაბათს ქალბატონმა ელისომ ფეისბუკი კვეხნითა და ტრაბახით აიკლო: — „ქრონიკა +“-ის ხვალინდელ ნომერში ისეთი სკანდალური ფარული ჩანაწერები ქვეყნდება, დედა შვილს არ აიყვანს ხელშიო.**

**— მიდი, ელისო!**

**— მაგარი ხარ, ელისო! — ამხნევებდნენ ქ-ნ ელისოს მისი ფეისბუკ-ფანები, რომელთა შორისაც „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერთა გვარებსაც მოვკარი თვალი.**

**სამშაბათის ნანატრი დღეც გათენდა, „ქრონიკა+“-ის ახალი ნომერი ვიყიდე და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ქ-ნ ელისოს მიერ აურზაურით დაანონსებული სკანდალური ჩანაწერების კითხვას შევუდექი.**

**სამწუხაროდ, ამ „სკანდალურ“ ჩანაწერებში სკანდალური ვერაფერი აღმოვაჩინე, გარდა ერთისა: მათში ძალიან ბევრი ყ.ე, ძალიან ბევრი „დედას შევე.ი“, ძალიან ბევრი დედა მოვტ..ნ, და კიდევ უამრავი უხერხული ფრაზებია.**

**... მოგვიანებით ერთმა ნაცნობმა დამირეკა**

**— წაიკითხე დღევანდელი „ქრონიკა+“? ბოზიშვილი ვიყო, მსგავსი რამ ოდესმე გაზეთში თუ წამეკითხოს, — მითხრა ნაცნობმა და მაგრად შეიგინა.**

**არადა, ეს ჩემი ნაცნობი აქამდე არ იგინებოდა...**

**ქ.ხ.**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

მსოფლიო პრესის მიხედვით

# სოლჟენიცინი ისევ მტერი ხდება



**თითქოს კვლავ ამუშავდა დროის მანქანა. პუტინის რუსეთში, რომელიც სულ უფრო და უფრო ემსგავსება საბჭოთა კავშირს, სამიზნე კვლავ რეჟიმის ძველი მტერია: ეს არის ალექსანდრ სოლჟენიცინი, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი, „არქიპელაგ გულაგისა“ და „ივან დენისოვიჩის ერთი დღის“ ავტორი, რომელმაც დისიდენტებისთვის განკუთვნილ შრომა-გასწორებით ბანაკებში საკუთარ თავს გადახდენილი საშინელებების შესახებ მსოფლიოს უამბო. ბევრი შეაძრწუნა იმ ფაქტმა, რომ ასეთი დარტყმის ინიციატორი აღმოჩნდა Ëèòåðàòóðíàÿ ãàçåòà, რომელიც 1929 წლიდან მწერალთა კავშირის ოფიციალური ორგანო და ქვეყნის ხელისუფლების მთავარი იდეოლოგიური იარაღია, — წერს La Repubblica-ს კორესპონდენტი ნიკოლა ლომბარდოცი.**

2008 წელს გარდაცვლილი დისიდენტის ხსოვნას პირველმა შეუტია Ëèòåðàòóðíàÿ ãàçåòà-ს მთავარმა რედაქტორმა იური პოლიაკოვმა — მწერალმა, რომელსაც თავისი რომანები საკუთარმა კომკავშირულმა წარსულმა შთააგონა. მის გავლენიანობასა და ავტორიტეტულობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ არჩევნების საკითხებში ის პუტინის მრჩევლად მუშაობდა.

დიდი შეცდომაა, რომ სკოლაში ასწავლიან სოლჟენიცინის ნაწარმოებებს, ადამიანისას, რომელიც თავის დროზე „უბრალოდ კი არ წავიდა საბჭოთა კავშირიდან, არამედ ამერიკელებს, ფაქტობრივად, მოუწოდებდა, მის წინააღმდეგ ომი დაეწყოთ“, — წერს პოლიაკოვი. ესეც არ იკმარა. მწერალზე მეტად იგი თავს დაესხა მის ნაწარმოებებს: „არქიპელაგი გულაგი“ მხატვრული გამონაგონია და არა რეალობის კორექტულად ასახვა, წერს მთავარი რედაქტორი.

სხვათა შორის, ქვეყანაში უკვე დაწყებულია მზადება მწერლის ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებებისთვის, მისი ნაწარმოებები სასკოლო პროგრამით ისწავლება, პუტინიც არაერთხელ ადიდებდა მწერალს — განსაკუთრებით აღნიშნავდა მის პატრიოტიზმს, რომელიც რუსულ წმინდათაწმინდა ფასეულობებს ეფუძნებოდა, — წერს კორესპონდენტი.

მწერალთა გაზეთმა გამოაქვეყნა სოლჟენიცინის ქვრივის ნატალია სვეტლოვას საპასუხო წერილი, რომლითაც ავტორმა მთავარ რედაქტორს შეახსენა — „სოლჟენიცინი კი არ წავიდა, მთავრობის საგანგებო ბრძანებულების საფუძველზე მისი დეპორტაცია მოახდინეს, იძულებით გაუშვეს, ქვეყნიდან გააგდეს. 1974 წლის თებერვალში, „ლეფორტოვოს“ ციხეში პატიმრობის შემდეგ, სუკის აგენტებით გარემოცული სოლჟენიცინი თვითმფრინავში ჩასვეს და როცა ფრანკფურტის აეროპორტში დაეშვნენ, ტრაპისკენ ხელი ჰკრეს. დაპატიმრებულმა არც კი იცოდა, საით მიფრინავდა“.

სოლჟენიცინის საკითხი გასცდა Ëèòåðàòóðíàÿ ãàçåòà-ს ფურცლებს. სხვა გამოცემებში გამჟღავნდა რუსეთის შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენელთა პოზიცია — ისინი შეძრწუნებული არიან მთავარი რედაქტორის წერილის სულისკვეთებითა და ცრუ ბრალდებებით; მსგავსი წერილის მწერალთა გაზეთში დაბეჭდვა მათ რუსეთის ისტორიის ყველაზე შავბნელ ფურცლებს ახსენებს.

# საქართველოში მიხვდნენ, რომ „ისლამისტურ სახელმწიფოსთან“ დაპირისპირება პუტინთან დაპირისპირებას ნიშნავს



**„საქართველოს მეტისმეტად სურს დაეხმაროს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და არაბულ ქვეყნებს „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლაში. თუმცა ეს როდი ნიშნავს, რომ იგი მათ დაეხმარება“, — წერს The Daily Beast. გამოცემის აზრით, საქართველოს ეშინია, თავს არ დაიტეხოს როგორც ისლამისტების, ისე რუსეთის რისხვა.**

„საქართველოს იმედი აქვს, რომ ამერიკა მას დაეხმარება — პოლიტიკურადაც და სამხედრო თვალსაზრისითაც. იმისათვის, რომ „ნატოსთვის თავისი ლოიალურობა“ დაემტკიცებინა, ამიერკავკასიის ეს რესპუბლიკა ადრე თავის ჯარისკაცებს გზავნიდა ერაყსა და ავღანეთში ალიანსის კონტინგენტში სამსახურისთვის; ახლახან გაირკვა, რომ საქართველომ გამოთქვა მზადყოფნა, თავის ტერიტორიაზე ჩამოაყალიბოს საწვრთნელი ბანაკები სირიელი ზომიერი მეამბოხეებისთვის. ამერიკას სურს, ისინი მოამზადონ, ერთი მხრივ, „ისლამური რესპუბლიკის“, მეორე მხრივ კი, სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადის რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად“.

„როგორც კი Reuters-მა, The New York Times-მა და Foreign Policy-მ ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელეს, ნიუ-იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე ჩასულ ქართველ ოფიციალურ პირებს, ისევე როგორც თბილისში დარჩენილ პოლიტიკური ისტებლიშმენტის წარმომადგენლებს მოულოდნელად გონება გაუნათდათ — თუკი რამე მსგავს ჩაიდენენ და თანაც დაუფარავად, საქართველო არა მარტო „ისლამისტური სახელმწიფოს“ და მისი შეუბრალებელი მხარდამჭერების, არამედ ასადის გულმხურვალე დამცველის, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის სამიზნედ იქცევა. ამიტომაც სწრაფადვე უარყვეს გავრცელებული ცნობა — ასეთი წინადადება არც კი ყოფილაო“.

რუსეთში არაორაზროვნად მიანიშნებენ, რომ თუ „ისლამისტური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველო მონაწილეობას მიიღებს, ეს იქნება „შეთქმულება“, — წერს გამოცემა და ამის დასტურად მოჰყავს რუსეთის დემოგრაფიის, მიგრაციისა და რეგიონული განვითარების ინსტიტუტის თანამშრომლის იური კრუპნოის მოსაზრება: „ეს ისევ და ისევ გეოპოლიტიკური ხასიათის თამაშია. ამერიკელები ჯერ რადიკალურად განწყობილი ისლამისტების მოძრაობას ქმნიან, შემდეგ კი მას ებრძვიან. ცხადზე უცხადესია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიაა, რუსეთის გარშემო თავისი სამხედრო ბაზები განათავსოს“.

# ნატოს გენერალური მდივნისთვის ყველაზე დიდი იმედგაცრუება პუტინის რუსეთი იყო

**ანდერს ფოგ რასმუსენს, რომელიც 2009 წლიდან ნატოს გენერალური მდივანი იყო, ამ თანამდებობაზე დღეიდან ნორვეგიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი იენს სტოლტენბერგი შეცვლის. რასმუსენმა ბრიტანული გამოცემის The Independent-ისთვის ექსკლუზიური წერილი დაწერა.**

„ცივი ომის დამთავრების შემდეგ ჩვენ წინაშე არ ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი და რთული გამოწვევები, როგორებსაც შევეჯახეთ. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის აღმოსავლეთ საზღვართან რუსეთმა გამოამჟღავნა საოცარი უპატივცემულობა საერთაშორისო სამართლის მიმართ და უხეში შეუპოვრობა, საზღვრები ძალის გამოყენებით გადაკეთოს. სცენარი, რომლითაც ის მოქმედებს, გასაგებია. მოლდავეთით დაწყებული და საქართველოთი დამთავრებული, ახლა კი უკრაინის ჩათვლით, მათ წინააღმდეგ რუსეთი იყენებს ეკონომიკური, პოლიტიკური, თავისი გავლენის მოდიფიცირებას ცდილობს.

რუსეთის საქციელი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ჩემი ყველაზე დიდი იმედგაცრუება იყო. როცა 2009 წლის ნოემბერში გენერალური მდივნის სტატუსით პირველი მოხსენება გავაკეთე, ყურადღება სწორედ რუსეთთან სტარატეგიული პარტნიორობის გზების ძიებას მივაპყარი. ეს მიმაჩნდა ჩვენი თაობის ისტორიულ შესაძლებლობად და მისი ხელიდან გაშვება არ მინდოდა.

პრაქტიკული თანამშრომლობა გამოგვივიდა ტერორიზმის, ნარკოტიკების გავრცელებისა და მეკობრეობის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში, მაგრამ ვერ შევთანხმდით რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის საკითხში. უკრაინის წინააღმდეგ მიმართულმა რუსეთის აგრესიამ საეჭვო გახადა ჩვენი წარმოდგენა ერთიან ევროპაზე, რომელსაც თავისუფლება და მშვიდობა მართავს. მიუხედავად იმისა, რომ კომუნიზ-



პროპაგანდისტული და სამხედრო ზემოქმედების ნაზავს. ამით ცდილობს მოახდინოს არასტაბილურობის პროვოცირება და ხელოვნურად შექმნას „ცხელი კონფლიქტები“, რომლებსაც როცა მოუნდება, მაშინ „გაყინავს“. მოსკოვის გლობალური მიზანია, არ მისცეს თავის მეზობლებს თავიანთი გზის დამოუკიდებლად არჩევის საშუალება, რითაც

მის დამარცხების შემდეგ ძალისხმევა არ დაგვიკლია, რუსეთი ნატოს სახით მოკავშირეს კი არა, მოწინააღმდეგეს ხედავს.

ვიდრე რუსეთი პოლიტიკურ კურს არ შეიცვლის, მასთან საქმიანი ურთიერთობა წინანდებურად ვერ წარიმართება. მოსკოვთან თანამშრომლობა უახლოესი მომავლის მნიშვნელოვან პრობლემად რჩება“.

**გვესაუბრება პოლიტიკურ და სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, ნატოს პმპ კონსორციუმის ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო ჯგუფის წევრი, პროფესორი ვახტანგ მაისაია.**



ვახტანგ მაისაია:

# ვინ აქცია აბუ ომარ ალ-შიშანი, იგივე თარხან ბათირაშვილი ერთ-ერთ ნომერ პირველ ტერორისტად მსოფლიოში?

**— ბატონო ვახტანგ, საქართველოს ელჩმა აშშ-ში, ბატონმა არჩილ გეგეშიძემ „Foreign Policy“-ში მიცემულ ინტერვიუში სირიელი ბოევიკების საქართველოში მომზადებაზე ისაუბრა. ამ ამბის გარშემო ატეხილი მითქმა-მოთქმის მიუხედავად, რას ფიქრობთ, მიიღებს თუ არა საქართველო ანტიისლამურ კოალიციაში მონაწილეობას და რა ფორმით?**

— „Foreign Policy“ სერიოზული გამოცემაა. ყოველ სიტყვას წონის და კარგად აკვირდება. გაზეთის კორესპონდენტი კი აცხადებს, რომ მან ეს ინფორმაცია აშშ-ის ადმინისტრაციის მაღალჩინოსნისგან მიიღო და არა საქართველოს ელჩისგან.

მაია ფანჯიკიძე ამბობს, მე გამოვრიცხავ ყოველგვარ სამხედრო მონაწილეობას ამ საქმეში. ეს საკითხი ამერიკელ კოლეგებთან განვიხილეთ და მათ იციან ამის შესახებო, ანუ უარყოფენ ბოევიკების მომზადების შესაძლებლობას.

ბოლო დღეებში ცნობილი გახდა, რომ საქართველო ჰუმანიტარული კუთხით მიიღებს მონაწილეობას ანტიტერორისტულ კოალიციაში, თუმცაღა რას ნიშნავს ჰუმანიტარული ასპექტით მონაწილეობა, როცა ეს არის სამხედრო ტიპის კოალიცია და დგას სამხედრო-სტრატეგიული ამოცანები. ეს არ არის სამშვიდობო მისია, ან კრიზისების მართვის ოპერაცია, ან ჰუმანიტარული ტიპის ოპერაცია, სადაც ჰუმანიტარული ასპექტი შეიძლება გამოიკვეთოს. ამიტომ ცოტა გაურკვეველია ეს განცხადებები, ან მონაწილეობა სამხედრო კონტინგენტით და ამ დროს შენს ტერიტორიაზე სამხედრო ბაზირების კომპონენტებს აძლევ.

პრემიერმა განაცხადა, რომ ქართული მხარე ფორმალურად მიიღებს კოალიციაში მონაწილეობას და ეს მონაწილეობა ჰუმანიტარული სახის იქნება.

ნატოს უელსის სამიტის გადაწყვეტილებით, საქართველოში პარტნიორთაშორისი პროგრამის საწვრთნელი ცენტრი გაიხსნება, სადაც მომზადდებიან პარტნიორი და ნატოს წევრი სახელმწიფოების სამხედრო მოსამსახურეები ნატოს ეგიდით განხორციელებული სამხედრო ან სხვა ტიპის ოპერაციებში მონაწილეობის მიზნით.

ნატომ ცალკე კუთხით გამოყო ერაყთან ურთიერთობა და თავის თავზე აიღო ვალდებულება დახმარებოდა ერაყის ეროვნულ არმიას ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაში. ამერიკის სენატმა თანხებიც გამოყო სირიის თავისუფალი არმიის ნაწილების მხარსადაჭერად.

ამავე დროს თავდაცვის სამინისტრომ არ უარყო ამ შეთავაზების ალბათობა და პირდაპირ თქვა, რომ განიხილავს გზებს, რა ფორმით მიიღებს საქართველო ანტიისლამურ კოალიციაში მონაწილეობას.

**— ადრე ირაკლი ალასანიამაც ისაუბრა რადარების განთავსების თაობაზე.**

— არ ვიცი, საიდან გაჩნდა ყოველივე ამის შემოთავაზების იდეა, რაც შემდეგ დაადასტურა კიდევაც **ჯონ ჰადსონმა** და ამას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა განსაკუთრებით ჩვენთან, საქართველოში. ჩემთვის გაუგებარია, რატომ მოხდა ასეთი პანიკური დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, რომ მომზადებულიყვნენ ანტიისლამისტური ოპოზიციური ფორმირების წარმომადგენლები.

საუდის არაბეთმა თვითონ შესთავაზა აშშ-ს 5 000 სირიელი აჯანყებულის გაწვრთნა თავის ტერიტორიაზე, რითაც ის, ფაქტობრივად, გახდა ანტიისლამისტური კოალიციის წევრი, მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე ისინი აფინანსებდნენ ხალიფატის წინამორბედ ორგანიზაციას.



ბაშარ ასადი

**— აუცილებლობას წარმოადგენს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ამ აგრესიული ისლამისტური დაჯგუფებების სამიზნე გავხდეთ?**

„მოსალოდნელია, ნებისმიერ დროს აღმოვჩნდეთ ისლამისტურ ძალასთან პირისპირ. დიახ, ეს გარდაუვალობაა.“



აბუ ომარ ალ-შიშანი

— ჩვენ, **მოსალოდნელია, ნებისმიერ დროს აღმოვჩნდეთ ამ ძალასთან პირისპირ. დიახ, ეს გარდაუვალობაა.**

მოგეხსენებათ, ისლამური ხალიფატის შემადგენლობაში 5 ქართველი საველე მეთაურია. ეს პირველი შემთხვევაა, როცა საერთაშორისო ისლამური რადიკალური დაჯგუფების ხელმძღვანელობაში საქართველოს მუსულმანი მოქალაქეები არიან. ხალიფატის შემადგენლობაში საქართველოდან წასული სულ 130 ადამიანია, სავარაუდოდ.

ერთი მათგანი, **აბუ ომარ შიშანი,** იგი ისლამური ხალიფატის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალია, ანუ მეორე კაცია ხალიფატის ხელმძღვანელობაში. ასევე ცნობილია მუსლიმ, იგივე **რუსლან მარგოშვილის** სახელი და გვარი. მარგოშვილი ერთ-ერთი სადაზვერვო-დივერსიული შენაერთის, საკმაოდ გავლენიანი საველე მეთაურია. ამ ხუთ საველე მეთაურთაგან ერთი გვარად მაჩალიკაშვილი, რომელიც ალეპოსთან ბრძოლაში დაიღუპა, გამოცხადებულია ხალიფატის შაჰიდად, ანუ გმირად. მისი საგმირო საქმეები ხალიფატის ყველა მებრძოლისთვის სათაყვანებელია და მისაბაძია. ხალიფატის მებრძოლები ცდილობენ, მისი გმირობა გაიმეორონ. ეს სერიოზული ფაქტორია და, როგორც თქვენ აღნიშნეთ, რა თქმა უნდა, ქართველობის ელემენტიც, მოსალოდნელია, საბედისწერო აღმოჩნდეს ჩვენი ქვეყნისთვის.

არის საუბრებიც იმის თაობაზე, რომ ისლამური ხალიფატი ფლობს მასობრივი გადანგურების ქიმიურ იარაღს. სწორედ ასადის რეჟიმის სამხედრო ბაზების დაკავების დროს აღმოაჩინეს მსგავსი იარაღი და ეს იყო მთავარი ფაქტორი, რის გამოც აშშ-მა დაიწყო კოალიციური ომი ამ დაჯგუფების წინააღმდეგ.

ფაქტობრივად, მესამე მსოფლიო ომის მიჯნაზე ვართ და ამ სიტუაციაში ჩვენ, ანუ საქართველომ, უკვე მიიღო გამაფრთხილებელი მესიჯი.

ისლამური ხალიფატი, პრინციპში, მთელ კავკასიას დაემუქრა და რამდენიმე თვის უკან **ომარ აბუ ალ-შიშანმა,** ანუ **თარხან ბათირაშვილმა** სპეციალური მიმართვაც კი გაავრცელა კავკასიაში მებრძოლი თანამოაზრეებისა და ჩეჩნების მისამართით, სადაც მან ჩეჩენი

ხალხის ტრადიციებს და ბრძოლისუნარიანობას გაუსვა ხაზი და ვრცლად ისაუბრა საქართველოს ციხეში გატარებულ პერიოდზე. მან გაიხსენა, ციხეში ერთ-ერთი დაკითხვის დროს როგორ ესაუბრებოდა საქართველოს კონტრდაზვერვის თანამშრომელი — თქვენ, ჩეჩნებმა თავი შეაკალით რუსებს, რაში გჭირდებოდათ, რა მოიგეთო, რატომ ებრძოდით რუსებსო და ა. შ.

**— როდის გააკეთა ეს მიმართვა ომარ შიშანმა?**

— 19 სექტემბერს.

**თარხან ბათირაშვილმა წელიწადნახევარი გლდანის ცნობილ მე-8 საპყრობილეში გაატარა, ნაცხელისუფლების დროს და ყველა ის საშინელება გამოიარა, რაც იმდროინდელმა პატიმრებმა საკუთარ ზურგზე გამოსცადეთ.** დიახ, ეს იყო გესტაპოს ჯურღმული.

როგორც ხედავთ, სააკაშვილის სპეცსამსახურის წარმომადგენელი პატიმარს „კიცხავს“ — ჩეჩნები რუსებს რატომ ებრძოდითო. თავისთავად ყურადსაღები ფაქტია იმ თვალსაზრისით, რომ სააკაშვილი მუდმივად რუსეთის მტრობაზე ლაპარაკობდა.

**— შიშანი რატომ იყო დაპატიმრებული?**

— მას იარაღის უკანონო ფლობას სდებდნენ ბრალად. ახლა იგი გამომძიებლის სიტყვებს იხსენებს. გამომძიებელი, სავარაუდოდ, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომელი იქნებოდა და კონტრდაქვერვაში რომ რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომლები არიან ჩანერგილნი, ეს ახალ ამბავს არ წარმოადგენს.

შიშანმა რომ თავის მიმართვაში მისი და გამომძიებლის დიალოგი ჩართო, ესეც, ალბათ, შემთხვევით არ გაკეთებულა. მან მიმართვა გააკეთა და თანამებრძოლებს აქტიურობისკენ მოუწოდა.

შიშანამდე ხალიფატმა გააკეთა მსგავსი მოწოდებები და არ იქნება გასაკვირი, პანკისის ხეობაში ასეთი ექსტრემისტული შენაერთები არსებობდეს.

აფხაზეთში უკვე გამოჩნდნენ ისლამური ხალიფატის ემისრები.

ცნობები არ მაქვს, მაგრამ, შესაძლოა, აჭარაშიც იყვნენ, ამიტომაც უნდა ვიყოთ ფრთხილად, როცა აჭარაში ხდება დაპირისპირებები მუსულმანურ და ქრისტიანულ თემებს შორის, ერთმა შეცდომამ არ გამოიწვიოს ისლამური ხალიფატის ქმედებების გააქტიურება. მათ შეუძლიათ გამოაგზავნონ ხალიფატის ქართული სეგმენტის წარმომადგენლები და ფრონტი გახსნან ჩვენს წინააღმდეგ. არ არის გამორიცხული, ჯიჰადის ელემენტები გავრცელდეს საქართველოში.

## აბუ ომარ ალ-შიშანი ტერორისტად აქცია ასევე ნომერ პირველმა გარეწარმა, რომელსაც ჰქვია მიხეილ სააკაშვილი. მის კისერზეა ის, რომ თარხან ბათირაშვილი გახდა საერთაშორისო საზოგადოების მტერი



**— ზემოთ ჩვენ ქართული წარმოშობის 5 საველე მეთაურზე ვსაუბრობდით. რამ განაპირობა მათი წასვლა საქართველოდან. ასეთი სტრატეგოსები თუ იყვნენ, საქართველოში ეცხოვრათ და აქ ებრძოლათ ჩვენი ქვეყნისთვის?!**

— აბუ ომარ ალ-შიშანის მაგალითზე გეტყვით, რომ ეს ადამიანი, რომელმაც რუსებთან ბრძოლას შეალია ცხოვრების წლები, აბსურდული ბრალით დააკავეს და იმდენი ქნეს, გლდანის ციხეში დაააავადეს კაცი — ტუბერკულოზი დაემართა. თან ფულიც გადაახდევინეს, დარჩა ულუკმაპუროდ, წავიდა თურქეთში და მერე იქიდან მოხვდა იმ გარემოში, რომელზეც ვისაუბრეთ.

ახლა იმსჯელოს საზოგადოებამ, ვინ გახადა მსოფლიოს ერთ-ერთ ნომერ პირველ ტერორისტად?!

მე ვუპასუხებ — აბუ ომარ ალ-შიშანი ტერორისტად აქცია ასევე ნომერ პირველმა გარეწარმა, რომელსაც ჰქვია მიხეილ სააკაშვილი. მის კისერზეა ის, რომ თარხან ბათირაშვილი გახდა საერთაშორისო საზოგადოების მტერი.

**ირანდა კალანდაძე**
**593 56 11 18**

# როგორ ანგრევდნენ ქართველები საქართველოს

1991-92 წლების ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება განუხორციელებელი დარჩებოდა, რომ არა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან ჯარებსა — ეროვნულ გვარდიაში განვითარებული მოვლენები, კერძოდ, მისი მცირე ნაწილის დაპირისპირება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციურ ხელისუფლებასთან და დაუმორჩილებლობა მათი უმაღლესი მთავარსარდლის, რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასადმი.

დღეს, როდესაც ანტიკონსტიტუციური გადატრიალება პოლიტიკურად და სამართლებრივად არის შეფასებული და დაგმობილი, თავად ამ მოვლენების დეტალები მაინც ბინდით არის მოფენილი. ისინი, ვინც პირადად მონაწილეობდნენ ამ ანტიკონსტიტუციურ გადატრიალებაში, დუმან, მაგრამ არის გამონაკლისებიც. ზოგიერთმა მოახერხა და შევარდნაძის რეჟიმის დროს კარიერაც კი გაიკეთა და გენერლობაც მიიღო. ერთი მათგანია თამაზ დუმბაძე, რომელმაც 1999 წელს წიგნი გამოსცა სათაურით: „თქვენ გასაგონად, ბიჭებო“. ტირაჟი ამ წიგნისა უაღრესად მცირე იყო და თავადაც არ წარმოადგენდა განსაკუთრებულ ლიტერატურულ მოვლენას, მაგრამ მასში არის ზოგიერთი ისეთი ფაქტის შესახებ მოთხრობილი, რომელიც არ აფიშირდება, განსაკუთრებით მათი მხრიდან, ვინც მასში მონაწილეობდა. ამონაკრები, რომელსაც მკითხველს წარვუდგენთ გენერალ-მაიორის წიგნიდან, აჩვენებს მოვლენებს დანახულს ანტიკონსტიტუციურ გადატრიალებაში ჩართული პირის მხრიდან.

„ერთ დღეს ზურაბ ნაირაშვილმა განზე გამიხმო: საინტერესო ჩანაფიქრი და გეგმა მაქვს, მინდა წამომყვე, რომ ყველაფერი თვალნათლივ გიჩვენო და ზოგი რამ აგიხსნაო. მანქანაში ჩავსხედით და ვაკის მიდამოებში ავედით. ავტომობილი ცოტა მოშორებით გავაჩერეთ, მოფარებულ ადგილზე და ბარნოვის ქუჩას გავუყევით ვერის უბნის მხარეს. გავჩერდით ქუჩასთან, სადაც გზა გამსახურდიას „კოლხური კოშკისკენ“ მიდის. ნაირაშვილს ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი ზვიად გამსახურდიას ყოველდღიური მარშრუტი. ზუსტად, თითქმის წამების გათვლით, ჰქონდა დადგენილი დრო. საკმაოდ დაწვრილებით ჰქონდა შედგენილი სქემაც. იგი ქუჩის განაპირას, მიწისქვეშა კომუნიკაციების ჭასთან მივიდა, სარქველი ახადა და მანიშნა, მომყევიო. ჩავედით ზვიადის სახლთან მდებარე პატარა ჭაში, საიდანაც ხელისგულივით ჩანდა ყველაფერი — ახლო-მახლო მოძრავი ტრანსპორტი, ცალკეული ადამიანები და, საერთოდ, ბრწყინვალე ხედვის არე იყო. ჩვენ ვერავინ გვამჩნევდა, ისე უმნიშვნელო და მოფარებულად იყო ეს ჭა.

— წარმოიდგინე, თამაზ, აქედან რომ ერთი რიგიანად გავუშვა, როგორ ავაფრენ იმ შენს პრეზიდენტს თავისი სისულელეებით. ეს თქვა რუსულად, რადგანაც დიდხანს მსახურობდა საბჭოთა არმიაში და ამ ენაზე აზროვნებდა, სათქმელადაც ასე უფრო კარგად აყალიბებდა“.

გვ. 125.

„ზურაბი, ვიტყვი, ზეპროფესიონალი იყო. აბსოლუტურად ფლობდა თითქმის ყველა სახის საბრძოლო იარაღს. თუმცა განსაკუთრებული სპეციალიზაცია ჰქონდა გავლილი მესანგრეობაში. დანაღმვა-განაღმვაში, აფეთქებებასა და ამ სახეობათა ორგანიზაციაში ბადალი არ ჰყავდა“.

გვ. 127.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ტერორისტული აქტით ლიკვიდაციას სხვისთვის უნდა გაეხსნა კარები რესპუბლიკის სათავეში მოსასვლელად. წიგნში ამაზეც არის საუბარი. თუ ეს ტერაქტი არ შედგა 1991 წელს, წინ იყო 1992 და 1993 წლები. ავტორი საუბრობს კიდეც, თუ ვისთან მიემართებოდნენ 1991 წლის შემოდგომაზე.

„მოსკოვის გზაზე ჯგუფები და პიროვნებები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. თენგიზ სიგუასა და თენგიზ კიტოვანს მე და კახა გველესიანი მივყვებოდით ხოლმე. ისინი ესაუბრებოდნენ და ეთათბირებოდნენ ხოლმე ედუარდ შევარდნაძეს“.

გვ. 129.

თამაზ დუმბაძე აღწერს, თუ ვინ და როგორ მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შენობაზე თავდასხმაში.

„სამი ქვეითთა საბრძოლო მანქანით შევედით მთავრობის სახლის ეზოში და პანიკა დავთესეთ. მანქანებში იყვნენ პაატა დათუაშვილი, მამუკა ჯაჯანიძე და გია გულუა“.



„სასწრაფოდ ჩამოვიდნენ გია ყარყარაშვილი და დევი ჭანკოტაძე. ბრძოლის ხელმძღვანელობა გიას დაევალა. დევიმ ზარბაზანი სასტუმროს წინ დადგა ჯორჯიაშვილის ქუჩაზე“.

გვ. 133

„მაშინ ძალიან ბევრს ვშრომობდით ჯემალ ჭუმბურიძე, მე, გია ყარყარაშვილი, მამუკა ჯაჯანიძე, აკია ბარბაქაძე, პაატა დათუაშვილი, დევი ჭანკოტაძე, გელა გიორგაძე, გია გულუა“.

გვ. 134.

ავტორი არც თავის მზვერავებს ივიწყებს და ერთ-ერთ მათგანს ცოტა დაგვიანებით, მაგრამ მაინც წარუდგენს ქვეყანას.

„ერთხანს გაკვირვება გამოიწვია იმან, რომ გია უჩავა, თავგამოდებული გვარდიელი, ზვიად გამსახურდიას ბანაკში გადაბარგდა“.

„მაშინ არავინ იცოდა და არც უნდა სცოდნოდა, რომ ის ჩემი სპეციალური დავალებით წავიდა, ასე ვთქვათ, თავისებური მზვერავი იყო. შეძლებისამებრ, მაწვდიდა ინფორმაციას ზვიადის ბანაკში არსებული მდგომარეობის შესახებ“.

გვ. 134.

„ტყვია-წამლით უხვად გვამარაგებდნენ რუსეთის ჯარის წარმომადგენლები“.

გვ. 135.

„ახალი წლის ღამე თენგიზ კიტოვანმა და თენგიზ სიგუამ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის დაჯგუფებაში გაატარეს... ორი-სამი დღე დარჩნენ“.

გვ.150.

„გენერალ-ლეიტენანტი ლევან შარაშენიძე ძირითადი მეკავშირის როლს ასრულებდა რუსებთან ურთიერთობისას, განსაკუთრებით იარაღის მიწოდების დროს“.

ანტიკონსტიტუციურმა გადატრიალებამ საქართველოს სისხლი და დანაკარგები მოუტანა, მისი დამანგრეველი შედეგების გამოსწორება დღესაც ითხოვს დიდ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ძალისხმევას.

**დავით არაბიძე**

# ვინ აშანტაჟებს გიორგი მარგველაშვილს?

***უფლებადამცველ გრიგოლ გაგნიძის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობს მაქსიმალურად გააღიზიანოს ხელისუფლება, რათა მთავრობამ მათ მიმართ ფართომასშტაბიანი რესპრესიები დაიწყოს. რას გეგმავს „ნაცმოძრაობა“, რატომ შევიდა რაფალიანცის საქმეზე გამოძიება ჩიხში და აშანტაჟებენ თუ არა პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს? „საერთო გაზეთი“ უფლებადამცველ გრიგოლ გაგნიძეს ესაუბრა.***



**გრიგოლ გაგნიძე: „2012 წლის არჩევნების დროს ოპოზიცია, რომ დამნაშავე ყოფილიყო, ბერიკაშვილს მაშინვე დააკავებდნენ, ასეთი სადისტური მკვლელობები წინა რეჟიმს ახასიათებდა, მათი ხელწერაა“.**

— ვიმეორებ, სააკაშვილის გარემოცვა „ქართული ოცნების“ გაღიზიანებას ცდილობს, რათა ხელისუფლებამ მათ მიმართ რეპრესიები განახორციელოს, შემდეგ კი, პარალელურ რეჯიმში მათივე მომხრეების მიერ სხვადასხვა სტრუქტურებიდან დაიწყოს პროცესები, რასაც მათი მომხრეების მხრიდან, მოჰყვება უდანაშაულო უბრალო ხალხის დევნა-შევიწროება სამსახურებიდან და სხვა და სხვა, რითაც მათივე გათვლით განაწყენებული ხალხის რიცხვი გაიზრდება და მათ რევანშისტული იდეების ,სამაგიეროს გადახდის შანსი მიეცემათ. ვფიქრობ, ხელისუფლებამ და საზოგადოებამ ეს არ უნდა დაუშვას, და თუ პროცესები მაინც ასე განვითარდა, ვფიქრობთ, აუცილებელი გახდება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა, რათა სააკაშვილისა და ნაცების აქტიურობით შეგულიანებულ ფარულ და ღია აქტივს „ჩაუვარდეთ კოვზი ნაცარში” და პარლამენტიდან „ნაცმოძის“ საბოლოოდ გაცილება მოხდეს.

**— კარგა ხანია, რაც არაერთი პოლიტიკოსი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნაზე საუბრობს, თუმცა ეს, ალბათ, ნაკლებად მოსალოდნელია...**

— გეთანხმებით, თუმცა ეს ნამდვილად, კარგი იქნებოდა - ნაცმოძრაობას საბოლოოდ მოვიცილებდით, ამოვძირკვავდით, ყოველ შემთხვევაში, პოზიციებს მეტად შევუსუსტებდით. ხომ ხედავთ, რა დღეში არიან, თუნდაც რაფალიანცის საქმე, რომ ავიღოთ, რაფალიანცების ადვოკატ ლალი ბიწოშვილის მიერ ბოლო დღეებში გაკეთებულ განცხადებებს ვგულისხმობ, ნაცმოძრაობის წევრი ზაზა მაშანტაჯებდაო. ვისარგებლებ თქვენი გაზეთის ფურცლებით და მივმართავ პროკურატურას - ბატონებო, დროულად აწარმოეთ გამოძიება აღნიშნულ საკითხზე. ასევე მივმართავ, ადვოკატთა ასოციაციას, რომ დაიცვას ეს ქალბატონი. ვიმეორებ, პროკურატურამ უნდა გამოიძიოს ვინ მიაწოდა „რუსთავის-2“-ს კადრები, ვინაიდან ჩვენი ვარაუდით, აქ სისხლის სამართლის კოდექსის 362 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული - გამოძიებისადმი ხელისშეშლის მცდელობის ნიშნები იკვეთება. ხელის შეშლაში რა იგულისხმება? ლალი ბიწოშვილის ვიდეო გაუშვეს, სადაც ის ამ დანაშაულის ჩადენას ქართულ ოცნებას აბრალებს, შემდეგ ამ ქალბატონმა განაცხადა, რომ ქართული ოცნება არაფერ შუაშია და ნაცმოძარობის წევრი ზაზა ძოწელია მაშანტაჟებდა და ასე მოხდა ამ კადრების გადაღებაო. ახლა ნახეთ, ამას წინ რა უძღვოდა. რომეო საჯაიას, „ნაცმოძრაობის“ ადვოკატის განცხადება, რომ ეს ასე იყო, „ქართული ოცნებაა“ დამნაშავე და ა.შ. იგი შეეცადა გამოძიებისთვის გარკვეული კვალი აერია. ამიტომ ეს ყველაფერი მაფიქრებინებს, რომ შესაძლოა იყოს მცდელობა რაფალიანცის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის ხელის შეშლისა. ასევე აქ ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ, როცა პატარა ბავშვის გარდაცვალება მოხდა, „ნაცების“ ხელში იყო შსს და მთელი სპეცსამსახურები. და ესენი, რომ ხელს იშვერენ ბერიკაშვილისკენ, მისი მოკლულია ბავშვიო, ეს ხომ დიდი აბსურდია, ვინაიდან, მაშინ ეს სტრუქტურები „ნაცების“ ხელში იყო და ეს, რომ ასე ყოფილიყო, ვინ დაასწრებდა მათ იგივე ბერიკაშვილის დაკავებას. დიახ, „ნაცმოძრაობა“ იყო იმ პერიოდში ხელისუფლებაში და ცხელ კვალზე უნდა გაეხსნათ ეს დანაშაული. ისინი ამ დანაშაულის გახსნით უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ არათუ არ გახსნეს, არამედ, მტკიცებულებებიც კი გააქრეს. დიახ, შეგნებულად არ გახსნეს ეს დანაშაული და არ მიიყვანეს საქმე ბოლომდე. მტკიცებულებების კვალი შეგნებულად გააქრეს, თუნდაც იმიტომ, რომ ახალ ხელისუფლებას მუდამ წამოაძახონ, ამ საქმეს ვერ იძიებთ, არ ვარგიხართ, არ გინდათ, რომ გამოძიოთ, რადგან დამნაშავეები ხართ, საქმე ჩიხშია შესულიო და ა.შ. და დღეს თუ გამოძიება დაადგენს იმას, რომ აქ იკვეთება გამოძიებისთვის ხელის შეშლის ნიშნები (რაც გულისხმობს მტკიცებულებების გაქრობას, კვალის წაშლას) კარგი იქნება. ანუ პროკურატურამ ლალი ბიწოშვილის თემის გარდა, ამ კუთხითაც უნდა აწარმოოს გამოძიება.

**— ანუ ამიტომ ვერ მოხერხდა დღემდე ამ საქმის გახსნა?**

— დიახ, კვალი არის გამქრალი, რამაც გამოძიება უნდა მიიყვანოს საბოლოოდ დამნაშავის გამოააშკარავებამდე. ამიტომ უჭირს ხელისუფლებას (ძალოვან სტრუქტურებს) ამ საქმის ბოლომდე მიყვანა. ვიმეორებ, ეს ხელისუფლება, რომ იყოს დამნაშავე, მაშინვე დააკავებდნენ, დიახ, 2012 წლის არჩევნების დროს ოპოზიცია, რომ ყოფილიყო დამნაშავე, ბერიკაშვილი და სხვანი მაშინვე დაკავებულნი იქნებოდნენ. აგერ, თოთო ბავშვის დაღუპვის საქმეს ხელად გახსნიდნენ, დიახ, სალაპარაკო ექნებოდათ, აი, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა ბავშვი გაწირეს, სადისტურად გაიმეტესო. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ ასეთი სადისტური მკვლელობები ფაქტობრივად, წინა რეჟიმს ახასიათებდა, მათი ხელწერაა, პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ასეთ რამეს არ ერიდებოდნენ და დღეს ცდილობენ, ასეთი თემების აჟიტირებითა და წამოწევით გადაფარონ თავიანთი მახინჯი წარსული. როგორც არიან იცით, თავდასხვა თავდაცვის საუკეთესო ბრძოლის მეთოდიაო, აი, ამ ტაქტიკით მუშაობენ, მაგრამ ისინი ილუზიებში არიან ჩარჩენილნი. ტყუილად ფიქრობენ, რომ 10 წლის მერე მაინც შეეძლებათ ხელისუფლებაში დაბრუნება, ხალხს ისე შეაძულეს თავი, რომ 10 წლის შემდეგ კი არა, ვერასდროს მობრუნდებიან ხელისუფლებაში და საერთოდაც, ეს მოძრაობა უნდა დაიშალოს, თუმცა რომელ დაშლაზეა ლაპარაკი, აგერ, პრეზიდენტის გადაბირებაც კი სურთ, თვალი ამაზე უჭირავთ.

**— თუ არ გადაიბირეს უკვე...**

— პრეზიდენტის ბოლო ქმედებებმა დააეჭვა საზოგადოება, რომ იგი „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან იმართება. მარგველაშვილი საზოგადოებას დაჰპირდა, რომ სააკაშვილის აშენებულ რეზიდენციაში არ შევიდოდა (თუმცა ეს დაპირება არ შეასრულა). ვშიშობ, რომ შესაძლებელია, ავლაბრის რეზიდენციაში ნაციონალების მხრიდან სხვადასხვა მოსასმენი და სათვალთვალო კამერები იყოს დამონტაჟებული, მათ შორის, ასე რომ ვთქვათ, ინტიმურ ოთახებში, რაც შეიძლება პრეზიდენტმაც კი არ იცოდეს. ანუ შეიძლება ითქვას, ირიბად თუ პირდაპირ, რომ პრეზიდენტი „ნაცმოძრაობის“ გარკვეული გავლენის ქვეშ არის, მისი ბოლო ქმედებებიდან ასე ჩანს. ამიტომ ვურჩევ, პრეზიდენტს დროულად გადავიდეს ათონელის ქუჩაზე მდებარე რეზიდენციაში, რომლის მშენებლობაც მალე დასრულდება.

**— ფიქრობთ, მარგველაშვილს აშანტაჟებენ?**

— ეს საინტერესო კითხვაა. ჩვენ ვიცით, რომ მარგველაშვილი პრეზიდენტად არჩევამდე სხვანაირად მოტივირებული იყო, თუმცა დღეს ინერციით კოაბიტაციას აგრძელებს, დიახ, ფარულად თუ დაუფარავად, კოაბიტაციას აგრძელებს, არადა საზოგადოების მოთხოვნა კოაბიტაციის დასრულება იყო (რასაც თავადაც დაგვპირდა, მაგრამ არ შეასრულა, არადა ხალხმა სწორედ ამიტომ აირჩია). რაც შეეხება შანტაჟს, ჩვენ ვიცით, რომ ჩანაწერებისა და მოსმენების ამბავში ნაცმოძრაობას ბადალი არ ჰყავს. მათ ამ საკითხში ამხელა მზაკვრული გამოცდილება აქვთ, ასე რომ, არაფერია გამორიცხული. ვიმეორებ, არ არის გამორიცხული, ნაცმოძრაობას, მათ შორის, სააკაშვილს გარკვეული ჩანაწერები ჰქონდეს. მით უმეტეს, ერთი წლის წინათ, გამოითქვა აზრი, რომ ნაცმოძრაობას დღესაც შეიძლება ჰქონდეს მოსასმენი აპარატურა. „ნაცმოძრაობას“ დიდი ფინანსები აქვს, სააკაშვილი ფაქტობრივად, არაფოციალური მილიარდერია და აქვთ იმის საშუალება, ჰქონდეთ ისეთი აპარატურა, რომ პრეზიდენტს უსმინონ ამხელა რეზიდენციაში. ფაქტია, ეს პიროვნება რეზიდენციაში შესვლის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა. ასე რომ, არ არის ეს გამორიცხული. ბუნებრივია, რეზიდენციაში არ უნდა შესულიყო, მაგრამ შევიდა. ახლა, რატომ გააკეთა ეს, არ ვიცი. დრო ყველაფერს გასცემს პასუხს, თუნდაც 2 წელიწადში, როცა აღარ იქნება პრეზიდენტი. მეეჭვება, კვლავ ის იქნეს არჩეული პრეზიდენტად. ადრე თუ გვიან ყველაფერი ითქმება, არაფერი დაიმალება.



**ქეთი ხომერიკი**
**592 53 53 03**

# ათდღიანი ულტიმატუმი „თავისუფალ ზონას“: — თვითლიკვიდაცია ან პოლიტიკური ჯოჯოხეთი!



**საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი გრიგოლ ვაშაძე:** „თავისუფალი თაობა“, „მავისუფალი თაობა“... რას წვალობს ეს საბრალო „ხელისუფლება“, ვერ გაიგებ. დაარქვი რა SA ანუ Sturmabteilung თუ მაინც ხსენებული ორგანიზაციის კოპიოს აკეთებ. ჩააცვი ყავისფერი პერანგები, წააკითხე (თუ კითხვა იციან; ისე, კარგია, რომ არ იცოდნენ!) ფიურერის და რემის ნაზრევი პოლიტიკური მოწინააღმდეგის ფიზიკური დათრგუნვის და განადგურების შესახებ, შესძახე „ფას!“ და მიუქსიე! თორემ რაღაც „თავისუფალი“ შეიტანეს დასახელებაში. აბნევს, „ხელისუფლება“, ეს თქვენს მხარდამჭერებს, ძალიან აბნევს. და კიდევ ერთი რჩევა: ამ ახალგამომცხვარ „მოიერიშეებს“ არ მოუყვეთ (კითხვა თუ არ იციან), როგორ დაამთავრეს „მოღვაწეობა“ მარშალმა რემმა და მისმა რაზმელებმა“, — დაწერა „ფეისბუქში“ როცა ამ სტატუსს წერდა, გრიგოლ ვაშაძე ან ცუდი სიზმარიდან არ იყო გამოსული, ან „პახმელიიდან“, თორემ დალაგებულ გონებაზე სერიოზული ასაკის დიპლომატ კაცს მაინცდამაინც ერნსტ რემი რატომ უნდა გაახსენდეს; თუმცა, საკუთარი სათაყვანებელი პარტიისა და მიშა-ფიურერის გადამკიდეს, ნაცისტების გარდა ვინ უნდა გახსენებოდა, მაგრამ რა მინიშნება გააკეთა მისი აღსასრულის გახსენებით („გრძელი დაშნების ღამეს“ ჰიტლერმა ბრალი დასდო შეთქმულების მოწყობაში და ციხეში დაცხრილეს რადგან უარი განაცხადა თვითმკვლელობაზე), მკითხავი ვარდოც ვერ ჩასწვდებოდა...

რამ გადარია ასე ეს ბუნჩულა კაცი, „თავისუფალი ზონის“ ოფისს ქათმის სალი კვერცხი ესროლეს ახალგაზრდებმა და ნიკა



მელიას გამოსახულებიან ბანერს მოხვდა, მელიას ხომ არ მოხვედრია (ან თვით ვაშაძეს)? თანაც, „ნაცინკუბატორის“ წევრებს არაფერი დაშავებიათ, „თავისუფალი თაობის“ ცხრა წევრი კი დააკავეს, რომელთაგან ზოგს სიტყვიერი გაფრთხილება აკმარა მოსამართლემ, ზოგს კი ფულადი ჯარიმის გადახდა დააკისრა (ის ცალკე საკითხავია, სტუდენტმა როგორ უნდა გადაიხადოს ჯარიმა).

პასუხი მარტივია, კოჰაბიტაციის მოტანილ უძრაობაში რაღაც დაიძრა და ვინ, თუ არა „ნაცმოძრაობამ“ იცის ყველაზე უკეთ რა ძალა აქვს ახალგაზრდობას, რომელსაც ხალხი უჭერს მხარს!

საქმეში ჩაუხედავი ადამიანისთვის ორივე ახალგაზრდული ორგანიზაცია მხოლოდ „ახალგაზრდული ორგანიზაციაა“, „იმისტები“ და „ამისტები“, მაგრამ რეალურად ცოტა სხვაგვარად იკვეთება საქმის ვითარება. ფაქტად ერთი დარჩა, „თავისუფალი თაობის“ პირველივე აქციამ საკუთარი ოფისის კუთხეებში შეარგვევინა თავი მანამდე ზეაქტიურ „ზონელებს“.

**ლადო სადღობელაშვილი:** — „თავისუფალი ზონის“ ე.წ ლიდერების ფბ-გვერდი დაგითვალიერებიათ? სამხედრო ფორმაში გამოწყობილი და ავტომატებით ხელში „ზონელების“ ფოტოები გინახავთ? ეს სურათები გადაღებული აქვთ რაღაც საწვრთნელ ბაზებზე პოლონეთში, სად მდებარეობს, არ ვიცი, მაგრამ გავლილი აქვთ ტრენინგები, გამოიჩინეს თავი უკრაინაშიც — „მემარჯვენე სექტორთან“ ერთად რომ დაბოდნენ და ცხრილავდნენ ხალხს, არ გახსოვთ? — და სადაცაა გამოიჩენენ თავს საქართველოშიც...“ („პროვოკატორი“)

**„თავისუფალი თაობა“** ღიად აცხადებს, რომ ორგანიზაცია შექმნეს კონკრეტული მიზნით, რომ მშვიდობიანი ფორმით ებრძოლონ „ნაცმოძრაობის“ სატელიტ ორგანიზაციებს და როგორც ორგანიზაციის დამფუძნებელი ამბობს, მოუწყონ პოლიტიკური ჯოჯოხეთი.

გამოჩენისთანავე გააკეთა საქმე „თავისუფალმა თაობამ“, გაბედა და შეარყია „პატარა ნაცების“ სამჭედლო...

**„თავისუფალი თაობა“** მკაცრად და კატეგორიულად აფრთხილებს ყველა პოლიტიკურ ძალას, გაერთიანებას, ჯგუფს და ა.შ არ გაავრცელონ ცრუ ინფორმაცია, რომ თითქოს მათთან ერთად, გვერდზე ან უკან რაღაც ძალები დგანან (რისი მცდელობაც უკვე იყო „ევრაზიული არჩევანის“ მხრიდან).

**„თავისუფალმა თაობამ“** ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესიც ერთგვარად „გაახალისა“ თორემ სრულ სასამართლო ჰარმონიაში ლამის ჩამოეძინა ზოგიერთს დარბაზში მყოფს...

**ანი დარსალია, „თავისუფალი თაობის“ თანადამფუძნებელი, სტუდენტი:** — „სისხლიანი რეჟიმის ერთ-ერთი სულიჩამდგმელი იყო ბაჩო ახალაია... ჩვენ ვიყავით სასამართლოში, ველოდებოდით ჩვენი პროცესის ჩანიშვნას და გავიგეთ, რომ მიმდინარეობდა მისი სასამართლო პროცესი. ჩვენ, „თავისუფალი თაობის“ წარმომადგენლებმა დავაფიქსირეთ სასამართლოზე ჩვენი აზრი, ვთქვით, რომ ბაჩო ახალაია არის მკვლელი და არ დაგვიწყებია ის, რაც მას აქვს ჩადენილი — სულ ეს იყო და ამას ყოველთვის, ყველგან, ყველანაირი ფორმით შევახსენებთ ყველას, თუნდაც სასამართლოზე. ისე მშვიდად და წყნარად მიმდინარეობდა ამ მკვლელი ადამიანის სასამართლო პროცესი, თითქოს ქათმის ქურდს ასამართლებდნენ... ჩვენ კიდევ ერთხელ შევახსენეთ სასამართლოს და საზოგა-



დოებასაც, რომ არ გვძინავს და ყველაფერი გვახსოვს — ამან გამოიწვია აგრესია და სასამართლომ სტუდენტი, რომელსაც არანაირი შემოსავალი არ აქვს, 300 ლარით დააჯარიმა...

— ანი, ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესი კიდევ იქნება, მით უმეტეს, მისმა მეუღლემ „დაგიბარათ“, თუ ლადო სადღობელაშვილი (დედიკოსთან ერთად) 29-ში არ მოვა, ჩმორობაში ჩაეთვლებაო...

(ანი ნადარეიშვილის მიმართვა: — „მივმართავ ლადო სადღობელაშვილს და მის დედიკოს (აი, ვიღაც ქალი რომ დაყვება)! 29 სექტემბერს 11:00 საათზეა





სალი მახარაშვილი სალომკა
10 სთ
სარფთანნნნ მოდგაააა შემოდგომაააააააა ქოცებოოოოოო ხო გრძნობთ რომმმმმ უკვეეეე გეწმრევათთ,????????ვინც მოასწრებს დაიმალოოსოოოოოოო)) როგორ მინდააა დაგღეჭოთ თქვენ ხო აზრზე არ ხართ ამ დღეს ველოდებიიიიიიი თქვენი შეშინებული მორდები რო ავლეწოიიიო სულ ცხელი ტაფით მოგეფერებით ))



ბაჩოს შემდეგი პროცესი და მობრძანდეს და გვითხრას პირადად რა უნდა, დღეს კურდღელივით რომ მოვარდა, მაშინ, როცა არც ბაჩო იყო და არც მე, 29-ში მობრძანდეს დედიკოსთან ერთად! ველოდები! თუ არ მოვა ჩმორობაში ჩაეთვლება“)

— ანი ნადარეიშვილის პროვოკაციულ წინადადებებს ჩვენ ვერ ავყვებით... როცა „ნაცმოძრაობის“ ოფისთან ვიყავით მისული, თუ რამის თქმა უნდოდათ, მაშინ გამოსულიყვნენ, ქუჩის ქალივით რომ ლაპარაკობს, იმ ქალის დაბარებულზე არსად მივალთ.

— ვერ დავიჯერებ თუ იტყვით, რომ მუქარა არსაიდან მოგსვლიათ...

— მუქარა „ნაციონალების“ დამახასიათებელია, მის გარეშე როგორ იქნება... გვემუქრებიან და არიან ერთ ამბავში, მაგრამ...

— პოლიციასა და სასამართლოზე რას იტყვით, ადექვატურები იყვნენ?

— სხვათაშორის, პოლიციისგან უარყოფითი დამოკიდებულება არ გვიგრძვნია... კვერცხის სროლისა და საღებავის გამო მოგვიწია სასამართლოში მისვლა, ერთ-ერთი პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო დაჯარიმდა, ხუთი ადამიანის დასჯა კი გაფრთხილებით შემოიფარგლა, ერთი, ანი გელოვანის სასამართლო პროცესი კი 8 ოქტომბერს ჩანიშნეს, მტკიცებულებების წარმოდგენის გამო ვერ მოხდა იმავე დღეს შეთანხმება.

— კადრებში კარგად ჩანდა სახეები — კვერცხი სხვამაც ისროლა, ასაკით თქვენზე ბევრად უფროსმა და საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილმა პირმა, სასამართლომ მასაც ჯარიმა დააკისრა?

— ამაზე პასუხს ვერ გაგცემთ, მაგრამ ჩვენს გვერდზე იდგნენ საქართველოს ის მოქალაქეები, რომლებიც თვლიან რომ მათი ვალია საქართველოს ინტერესებს დაცვა. იქ იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ცხრა წლის მანძილზე სხვადასხვა ფორმით დააზარალა...“

გამოაცხადებს თუ არა „თავისუფალი ზონა“ თვითლიკვიდაციას, როცა ყოველ პარასკევს საღამოს 10 საათზე წარმატებით პიარდება ინგა გრიგოლიას „რეაქციაში“, ვნახავთ. არ გამოაცხადებს და, იმას მაინც ვნახავთ, რას ჰქვია „სიურპრიზი, რომლის მსგავსი საზოგადოებას ჯერ არ უნახავს“ — რასაც „თავისუფალი თაობა“ შეპირდა „თავისუფალ ზონას“.

**ცნობისათვის: „დედიკო, ქალი, რომელიც დაჰყვება“ — ვისაც ასე აგდებით მოიხსენიებს ბაჩანა ახალაიას მეუღლე ანი ნადარეიშვილი, მართლაც ლადო სადღობელაშვილის დედა თამარ იოვაშვილია.**

# შეიტანს თუ არა ვალერი კვარაცხელია სარჩელს ირაკლი ალასანიას წინააღმდეგ?



ინტერვიუ პარტია „ნეიტრალური საქართველოს" ლიდერთან, ბატონ ვალერი კვარაცხელიასთან.

**— ბატონო ვალერი, მას შემდეგ, რაც თქვენ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ამერიკული რადარების განთავსების ინიციატივისთვის პასუხისგებაში მიცემაზე საუბრობდით, ჩვენმა ელჩმა აშშ-ში ახალი განაცხადი გააკეთა. რას იტყვით ამის შესახებ?**

— დიახ, რამდენიმე თვის წინ საგარეო საქმეთა მინისტრმა ამერიკელებს შესთავაზა საქართველოს ტერიტორია ჰაერსაწინააღმდეგო და რაკეტსაწინააღმდეგო დანადგარების განსათავსებლად. იმ ხანებში სარჩელის შეტანასაც კი ვაპირებდი ალასანიას წინააღმდეგ ქვეყნის ღალატისთვის, ვინაიდან ეს არის სამშობლოს ინტერესების გაწირვა და შეწირვა ამერიკელებისა და ნატოსათვის. ახლა კი საქართველოს ელჩმა აშშ-ში, ბატონმა გეგეშიძემ ამერიკულ პრესას მისცა ინტერვიუ, სადაც აღნიშნავდა, რომ საქართველო მზად იყო ქვეყნის ტერიტორიაზე სირიელი ბოევიკების წვრთნების განხორციელებისათვის. ეს, პრაქტიკულად, ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ტერორისტებს ვპატიჟებთ საქართველოში. ყოველივე ამას ძალიან მძიმე შედეგები მოჰყვება, თანაც რამდენიმე მიმართულებით. ამის შემდეგ აბსოლუტურად ზედმეტი იქნება ფიქრიც კი რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ზედმეტი იქნება ფიქრი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, თუნდაც შორეულ პერსპექტივაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება შეგნებულად მიდის საქართველოს



არჩილ ბეგეშიძე

მუსულმანური დაპირისპირების პოლიგონად გადაქცევაზე. და ბოლოს, ეს გააჩენს უზარმაზარ რისკებს საიმისოდ, რომ საქართველოს ტერორისტული აქტების სერიამ გადაუაროს.

**— კი მაგრამ საქართველოს ხელისუფლებაში (პრემიერ-მინისრტმა და საგარეო საქმეთა მიმისტრმა) კატეგორიულად უარყვეს ამერიკულ პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციის სისწორე...**

— ძალიანაც კარგი თუ უარყვეს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ამერიკულ პრესას არაფერში სჭირდებოდა ამ საკითხთან დაკავშირებით დეზინფორმაცია. ეს ინფორმაცია სხვა გამოცემებშიც გაჟღერდა. თანაც მათ განაცხადეს, რომ აქვთ ჩანაწერი, სადაც საქართველოს ელჩი ლაპარაკობს იმას, რაც პრესაში გამოქვეყნდა. მე ვფიქრობ, რომ საქართველოს ხელისუფლებას შეეშინდა ქართული საზოგადოებისა, რომელსაც, უდავოა, ამასთან დაკავშირებით მკვეთრად უარყოფითი რეაქცია ექნება. ამიტომ დროებით (სიტყვიერად) დაიხიეს უკან, მაგრამ ამერიკელთა დაჟინებული მოთხოვნის შემთხვევაში, ყველაფერზე თანახმა იქნებიან. საზოგადოება ძალიან ყურადღებით უნდა იყოს, რომ ამერიკელთა მარიონეტმა ხელისუფლება-ოპოზიციამ ახალი დიდი უბედურება არ დაგვატეხოს თავს. ჩვენ ხომ ის ხელისუფლება და ოპოზიცია გვყავს, რომლებიც ერთმანეთს გაასწრებენ ასანთის მოსატანად, თუკი ამერიკელებისგან საქართველოს გადაწვის დირექტივას მიიღებენ.

**— რას ფიქრობთ, როგორ შეიძლება საქართველოში მოვლენები განვითარდეს?**

— ვფიქრობ, რომ სიმშვიდის საფუძველი არა გვაქვს. მსოფლიო თანდათანობით ემსგავსება დენთის კასრს, რომელიც ყოველ წუთს შეიძლება აფეთქდეს. ახლო აღმოსავლეთსა და უკრაინაში მიმდინარე პროცესები არ შეიძლება საქართველოზე არ აისახოს. უკრაინაში ამერიკელების გეგმები, შეიძლება ითქვას, რომ ჩაფლავდა. რუსეთმა ისე დაიბრუნა ყირიმი, რომ ამერიკელებმა საომარ პროცესებში მათი ჩათრევაც ვერ მოახერხეს. უკრაინაში ეს პროცესები რუსეთისთვის მაქსიმალური ზიანის მისაყენებლად წამოიწყეს, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინა უკვე დაანგრიეს, რეალურად ვერაფერს მიაღწიეს, ვერც საომარი მოქმედებებით, ვერც ეკონომიკური სანქციებით, ვერც საინფორმაციო ომით. პირიქით, სწორედ უკრაინის პროცესებმა წარმოაჩინა რუსეთის ის შესაძლებლობები, რომელიც ამერიკელებს უკვე განადგურებული ეგონათ.

**— კონკრეტულად რა შესაძლებლობებს გულისხმობთ?**

— პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და იდეოლოგიური შესაძლებლობები მაქვს მხედველობაში. რუსეთის ინტერესებისათვის ამერიკისა და ევროპის ფორსირებულ შეტევას უკრაინაში რუსეთმა მისთვის ოდესღაც უკანონოდ ჩამორთმეული ყირიმის დაბრუნებით უპასუხა, მაგრამ ერთი ტყვიის გასროლაც ვერავინ გაბედა. დასავლეთის აბსოლუტურად გაუაზრებელ სანქციებს რუსეთი კარგად აწონილ-დაწონილი ნაბიჯებით შეხვდა, რამაც დასავლეთს გაცილებით მეტი თავსატეხი გაუჩინა, ვიდრე რუსეთს. საერთოდ, რუსეთი მტკიცედ ადგას დასახულ მიზანს, ის აუცილებლად დაიბრუნებს ზესახელმწიფოს სტატუსს და ერთხელ და სამუდამოდ დაასამარებს აშშ-ის ბატონობას მსოფლიოზე. ამის დამადასტურებელია ის, რომ დასავლეთის გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, რუსეთმა შექმნა ერთიანი საბაჟო კავშირი და, როგორი შოკისმომგვრელიც არ უნდა იყოს ეს დასავლეთისთვის, დააფუძნა ევრაზიური კავშირი. ის წამყვანი სახელმწიფოს როლს ასრულებს შოს-ისა და ბრიკს-ის გაერთიანებებში, რომლებიც, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, მსოფლიოს ნახევარს მაინც (თუ მეტს არა) შეადგენს. ნატო ვერ გაფართოვდა და ვერც გაფართოვდება. ევროკავშირი ეკონომიკური და სულიერი კრიზისის ფაზაშია. გაცილებით უფრო ღრმა კრიზისია აშშ-ში. ვინც მხოლოდ ქართული ტელეარხებით იღებს ინფორმაციას, ის ინფორმაციულ ვაკუუმშია. ვინც დასავლურ პრესას ასე თუ ისე ეცნობა, მის თვალწინ სულ სხვა სურათია გადაშლილი... ახლა მივუახლოვდით პასუხს თქვენს შეკითხვაზე, თუ როგორ მესახება საქართველოში მოვლენათა განვითარება. თუკი რუსეთი ზესახელმწიფო ხდება, თუკი რუსეთი ახლო აღმოსავლეთსა და უკრაინაში პოზიციებს არ თმობს, როგორ ფიქრობთ, ის კავკასიაში პოზიციებს დათმობს? წარმოგიდგენიათ ადამიანი, რომელიც სახლიდან გასვლისას კარებს საგულდაგულოდ კეტავს, ფანჯრებს კი ღიას ტოვებს? უკრაინიდან და ახლო აღმოსავლეთიდან ამერიკის გაძევების შემდეგ, ანუ ამერიკელებისთვის კარების ჩაკეტვის შემდეგ, კავკასია ხომ ის ფანჯარა იქნება, რომელიც, ასევე, აუცილებლად უნდა დაიხუროს, რათა ამერიკელები ველარ შემოძვრნენ. არ ვიცი რამდენად გასაგები გამომივიდა ეს ხატოვანი ნათქვამი, მაგრამ სწორედ ამაზე მეტყველებს ორშაბათს ასტრახანში ჩატარებული სამიტი, რომელიც კასპიის ზღვის შლეიფის გაყოფას მიეძღვნა და სადაც რუსეთის წარმმართველი როლი და ფაქტორი თვალნათლივ წარმოჩინდა. საქართველოში შესაძლებელია სწორედ ეს პროცესები განვითარდეს. რამდენად რბილი, ან რამდენად მტკივნეული იქნება ეს პროცესები, დამოკიდებულია საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკურ ალღოსა და უნარზე. ალასანიასა და მარგველაშვილის პოლიტიკა რომ ვერ ივარგებს, ეს იმთავითვე ნათელი იყო. რესპუბლიკელებსა და სხვა პოლიტიკურ ჯართზე, რომელიც ივანიშვილმა პარლამენტში შეყარა, ლაპარაკიც ზედმეტია. ამ სიტუაციაში ერთადერთი ნათელი წერტილი, ირაკლი ღარიბაშვილია და ქართველი ხალხის დიდი ნაწილი სწორედ მას შეჰყურებს იმედის თვალით, მაგრამ ეს ახალგაზრდა და ნაკლებად გამოცდილი კაცი გაუძლებს ამ გამოწვევას, შეძლებს ის შინაური და გარეული მტრების მოგერიებას? ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად მე დღეს მზად არა ვარ. არა მგონია, ვინმე სხვა იყოს მზად მისთვის პასუხის გასაცემად. აი, დრო კი აუცილებლად გასცემს ამ შეკითხვას პასუხს. ბევრ სხვა შეკითხვასაც...



ირაკლი ალასანია

**ირანდა კალანდაძე**
**593 56 11 18**

# ნათია მიქიაშვილის პირადი „ანატომია“

*(ნათიაო, ნათიაო, გოგო, რა დავმართნიაო/ წყალზე კოკა გაგტეხია, ნატეხ-ნატეხ აგდიაო... ანუ კოკა ყოველთვის ვერ მოიტანს წყალს, შეიძლება, სწორედ წყაროზე გატყდეს)*



გასული კვირის ერთ-ერთი ხმაურიანი ამბავი გადაცემა „ანატომიის“ ავტორის, ნათია მიქიაშვილის მიერ პრესკონფერენციაზე გახმაურებული ინფორმაცია გახდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენინსპექციის ყოფილი უფროსი, ზვიად ჯანყარაშვილი ჟურნალისტს დაემუქრა. მიქიაშვილმა (სტუდია „ანატომია“) რეაგირებისთვის საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და მთავრობას, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს, არასამთავრობო და ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებს მიმართა.

„მე, ნათია მიქიაშვილი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდშიც კი არასდროს ჩემს მიმართ არ განხორციელებულა პირდაპირი მუქარა. პრემიერმინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ნათესავის, ზვიად ჯანყარაშვილის მიერ ნათქვამი სიტყვები არის მცდელობა, შეაჩეროს გადაცემა „ანატომია“, რომელიც საქართველოში ახალი ხელისუფლების პირობებში ბიზნესის გადანაწილების თემას ეხება და სადაც ბატონი ჯანყარაშვილი, ამ დროისთვის ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირია.

სწორედ ამიტომ მოგმართავთ თქვენ დახმარებისთვის და პრევენციის მიზნით გატყობინებთ მომხდარი ფაქტის შესახებ, რადგან დაცული იქნეს სიტყვის თავისუფლება და ჟურნალისტებს ჩვენი საქმიანობის განხორციელებაში ხელი არ შეგვიშალოს თანამდებობის პირებისა და პრემიერმინისტრის ნათესავების მხრიდან განხორციელებულმა მუქარამ“, – წერს ჟურნალისტი ნათია მიქიაშვილი სტუდია „ანატომიას“ შემოქმედებითი ჯგუფის სახელით.

მიქიაშვილის განცხადებას ტელეკომპანია „მაესტროს“ გენერალური დირექტორი მამუკა ღლონტი სოციალურ ქსელ Fasebook-ში გამოეხმაურა: – „ნათიას მინდა გავახსენო, რომ წინა ხელისუფლების დროს, სწორედ მისი გადაცემის გასვლის წინ, რომელიც გირგვლიანის მკვლელების ციხეში ყოფნას ეხებოდა (სავარაუდოდ, ძალოვნებმა), ხელყუმბარა შემოგვიგდეს ტელევიზიაში, თანაც, პირდაპირი ეთერის დროს...

წარსულის დავიწყება უკეთეს მომავალს არ მოგიტანს ჩემო ნათია“

იმავე Facebook-ით გამოეხმაურნენ ჟურნალისტის განცხადებას საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი ან სულაც უცნობი ადამიანები.

**Äàäó Äàäó** – ნაცყულაბის მცველები... კიდევ ერთი გადაცემული „შნირი“! მიქიაშვილი იყო სწორედ ის ადამიანი, რომელიც მარგველაშვილს სკანდალური ვიდეოს გასაჯაროებით ემუქრებოდა, მაგრამ რეალურად არც არაფერი ჰქონია. ადამიანი, რომელიც ვითომ „ნაცებს“ აგინებდა, სინამდვილეში მათი იდეოლოგიის მომხრე აღმოჩნდა. ჟურნალისტი, რომელიც ნანუკა ჟორჟოლიანის გარემოცვაში იმყოფება და „კეზერასთან“ ურთიერთობა გაქვს პარალელურად, რა ობიექტურობაზე და საერთოდ, რა სიმართლეზე უნდა გააკეთო გადაცემა?

**Âêà Êàëàòî çè** – მიქიაშვილს დავიწყდა 7 ნოემბერი? რა ამნეზია დაემართა ასეთი...

**Kapitan** – არა, მაგას ჰგონია ჩვენ დაგვავიწყდა აქოშინებული რომ დარბოდა მიკროფონით ხელში და ღია ეთერით პირდაპირ გადასცემდა ვისაც საჭიროდ თვლიდა, სათი გარბოდა უკვე ორგზის დარბეული ხალხი, რომელი ქუჩებით მირბოდნენ სამებაში თავშესაფარებლად... ისე, მიქიაშვილის მეუღლეები რატომ არიან მაინც და მაინც სააკაშვილის სისხლიანი პოლიციის პოლიციელები?

**Shore** – ეგეც ნაძირალა ყოფილა!.. ფუი, გადაშენდით, ფარისევლებო...

**Esma** – არ ვიცი რა ვთქვა, გაოცებული ვააააარ... რა დაემართა ამ ქალს, ალბათ, მალე „რ 2-ზე“ „ანატომიას“ ვიხილავთ.

შესახებ საზოგადოებრივი აზრი და ვნახოთ, თვით **ზვიად ჯანყარაშვილის** კომენტარი:

„სიმართლე გითხრათ, არ მიყვარს უსაფუძვლო განცხადებებზე და საჭოჭაო თემებზე პოლემიკა თუ კომენტა-




## ნათია მიქიაშვილი თითს ჯანყარაშვილისკენ იშვერს, ხალხი — მიქიაშვილისკენ

**Tamriko** – ეს ტირში უნდა ისროდეს, რა უნდა ტელევიზიაში...

**Violeta** – როგორ არ ველოდი, როგორ მეწყინა...

**Taisia** – ის თუ იცით, 7 ნოემბრის აქციები რომ სასტიკად დაარბიეს, ეს ქალი გაკიოდა და ვითომ „დაზარალებული“ დარბოდა, ამ დროს რომანი ჰქონდა „ნაცების“ საპატრულოს შეფთან, გრიგალაშვილთან, უფრო მეტიც, ფეხმძიმედ იყო მისგან – ჩემი აზრით, მაშინაც „ნაცებზე“ მუშაობდა.

**Tamar** – ეს ჯაშუში ყოფილა, ორმაგ თამაშს თამაშობდა... ასეთი ადამიანი უფრო საშიშია, ვინც გულახდილად ამბობს რომ „ნაცია.“

ზოგადად ასეთ ჩარჩოში მოექცა აღნიშნული ამბის რის გაკეთება, თუმცა, რადგან ამდენი ენერგია დაიხარჯა ღია ეთერში, ვფიქრობ, საჭიროა.

სამწუხაროა, როცა ადამიანი კონკრეტულ გარემოში თვითდამკვიდრების, ნდობის მოპოვების თუ სხვა მიზნის გამო თავს უფლებას აძლევს იცრუოს, ან ცილი დასწამოს სხვა ადამიანს. ზოგადად, უზნეობას საზღვრები არ გააჩნია და ამ შემთხვევაში თავს ვალდებულად ვთვლი, პასუხი გავცე იმ ადამიანების უტიფარ მოქმედებებს და განცხადებებს, ვისაც სირცხვილი დაუკარგავს და ტყუილს კადრულობს. არა იმიტომ, რომ მე მჭირდება – თავადაც ვიცი, რა მიკეთებია და რას ვაკეთებ – არამედ იმიტომ, რომ საზოგადოებამ, რომელიც შეცდომაში შეყავთ, სიმართლე დაინახოს. ენას ძვალი არ აქვს, მითუმეტეს, უზნეო ადამიანის ენას და რადგან ასეა, ცუდი არ იქნება თუ ქალბატონი ნათია მიქიაშვილის ოჯახის წევრი დაადასტურებს იმ მუქარას, რომელიც ვითომდა მე შევუთვალე; საზოგადოების წინაშე დაგვანახონ ის ხალხი, ვისაც ვითომდა ბიზნესწილები გამოვართვი თუ სხვა რამე ზიანი მივაყენე – თუნდაც ერთი ადამიანი მანახონ, რომელიც ჩემს ასეთ მოქმედებას დაადასტურებს რაიმე დამაჯერებელი ფორმით. ამის შემდეგ საზოგადოებამ შეაფასოს ცრუ და მართალი და თავად დაუდოს ზღვარი ცრუ და მართალი და თავად დაუდოს ზღვარი ცრუ სიმართლის ტირაჟირებას.

მე, ჩემი მხრივ, გარკვეულწილად მესმის იმ ადამიანების, ვინც ჩემი სახელის გასვრას ცდილობს, თავისი გასაჭირი აქვთ...“

თუ დამტკიცდება, რომ ჟურნალისტია დაინტერესებული ჯანყარაშვილის სახელის დისკრედიტაციით და ცრუობს, უნდა დაისაჯოს, რათა შეიქნას პრეცედენტი იმისა, რომ ისჯებიან წინასწარგანზრახვით ცრუ ინფორმაციის გამავრცელებელი ჟურნალისტებიც (სახელისა და ღირსების შელახვის საკითხი კიდევ ცალკე თემაა).

**დავით ქანთარია**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# სანამ სამშობლოდან წასვლის გადაწყვეტილებას მივიღებდე, მინდა გითხრათ...



## არავის ვეცილები გმირობაში. გმირებიც თქვენ იყავით და ლომებიც, მაგრამ ლანძღვით მაინც ნუ გამლანძღავთ

სასჯელაღსრულების სისტემაში წამების, არაადამიანური მოპყრობის ფაქტების ამსახველი კადრების გავრცელების შემდეგ ჩემს მიმართ სააკაშვილის რეჟიმის მიერ გადადგმული იქნა რეპრესიული ნაბიჯები, რაც გამოიხატებოდა, ძირითადად, ფსიქოლოგიური ტერორსა და პიროვნულ დისკრედიტაციაში. მიზანი ჩემი მუდმივ თავის მართლების რეჟიმში ჩაყენების აუცილებლობა იყო. წმინდა პოლიტიკური მოტივით ჩემზე დაწყებული იქნა სისხლის სამართლებრივი დევნა. 2012 წლის 20 სექტემბერს რეჟიმის მიერ ჩემს მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. თითქოსდა არსებობდა ოპერატიული ინფორმაცია, რომელიც ადასტურებდა, რომ წამების კადრების გადაღება და გავრცელება სოლიდური თანხის სანაცვლოდ კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრებმა და, არც მეტი არც ნაკლები, უშუალოდ დღევანდელმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დამიკვეთა. **ყოფილი მთავარი პროკურორი ზოდელავა, ექს-პრეზიდენტი სააკაშვილი, პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ რიგი წარმომადგენლები მასმედიის საშუალებით, დღემდე ავრცელებენ ცრუ ინფორმაციას, თითქოსდა გავრცელებული ვიდეო-მასალისთვის მიღებული მაქვს 2 მლნ აშშ დოლარი.**

2012 წლის 29 სექტემბერს ჩემზე გამოცხადდა ძებნა ინტერპოლის წითელი ცირკულარით, შესაძლო შურისძიების და ფიზიკური ლიკვიდაციის თავიდან ასაცილებლად ჩემი ოჯახის წევრებს მოუხდათ საქართველოს დატოვება და დროებით თურქეთის რესპუბლიკაში ცხოვრება.

2012 წლის 23 იანვარს, ინტერპოლის ძებნის შეწყვეტის შემდეგ, დავბრუნდი საქართველოში და სურვილი გამოვთქვი ახალი ხელისუფლების სამართალდამცავ ორგანოებთან სათანამშრომლოდ - სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩემს მიმართ წაყენებული ბრალდების გამოსაძიებლად. თუმცა ვერ გავითვალისწინე, რომ სასამართლო სისტემა მაშინ ჯერ კიდევ მკაცრად პოლიტიზებული იქნებოდა. ასრულებდა რა იმ ძალადობრივი პარტიის ინტერესებს, რომელსაც მე ვამხელდი. მთელ რიგ თანამდებობებზე - პროკურატურაში, სასამართლოში, მათ შორის პარლამენტშიც არსებობდნენ ძალები, რომელთა მიზანი ჩემი პიროვნული დისკრედიტაცია, ჩემს მიმართ გამატყუნებელი განაჩენის დადგომა გახლდათ.

ნიშანდობლივია, რომ თავი არც ერთ წაყენებულ ცრუ ბრალდებაში არ მიცვნია დამნაშავედ. ბრალდება ემყარებოდა მხოლოდ და მხოლოდ ჩემს მიერ გადაღებულ, საპყრობილედან პირადი რისკის ფასად გამოტანილ კადრებს. აღძრულ სს საქმეში რეჟიმის მიერ მოპოვებული და დამაგრებული იქნა აშკარად გაყალბებული მტკიცებულებები, რაც, თითქოსდა, მხოლოდ და მხოლოდ ერთი ადამიანის, უშუალოდ ჩემი ბრალეულობის საკითხს „ადასტურებდა“. გამოძიების მთელ სტადიაზე ვითხოვდი სასამართლო პროცესის საჯაროობას, დამკვირვებლების სტატუსით არასამთავრობო ან სხვა კომპეტენტური ორგანიზაციების ჩართვას. ვითხოვდი, თუნდაც სასამართლო გამოძიების დამთავრების შემდეგ ჩატარებული სასამართლო გამოძიების და მიღებული გადაწყვეტილების სამართლიანობის შესწავლას სათანადო დასკვნებისათვის, მაგრამ უშედეგოდ.

2012 წლის 18 სექტემბრიდან მოყოლებული ექსპრეზიდენტი სააკაშვილი, ისევე როგორ მისი პარტიის- „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატები თუ რიგითი წევრები არ კარგავდნენ შანსს ყველა საჯარო თუ სატელევიზიო გამოსვლაში უდანაშაულობის პრეზუმპციის აშკარა იგნორირებით ჩემთვის ეწოდებინათ სისხლის სამართლის დამნაშავე, მწამებელი, წარმოუდგენელი სადისტი, მოძალადე, ჯალათი.... ამ პროცესში, რა თქმა უნდა, ჩაერთვნენ რეჟიმისგან დავალდებულებული, დღეს კრავის ქურქში გახვეული ე.წ. პრესის მუშაკები.

2013 წლის 26 სექტემბერს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოში ჯერ კიდევ მოქმედ პრეზიდენტ სააკაშვილის წინააღმდეგ შევიტანე სარჩელი, რომელიც ეხებოდა მის მიერ მასმედიის საშუალებით გავრცელებული ცრუ და ცილისმწამებლური ინფორმაციის დადგენილი წესით უარყოფას. მოსამართლე ასმათ კოხრეიძის მიერ სარჩელი ორგზის, საბოლოოდ 2013 წლის 1 ოქტომბერს არ იქნა წარმოებაში მიღებული აბსურდული გარემოებების გამო, რაც აშკარად ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური პროცესის - კოჰაბიტაციის შედეგი გახლდათ.

**არავის ვაყვედრი იმას, რაც შვილების, ოჯახის გაწირვის ფასად დამიჯდა. არც ჩემზე ნაკლებად გაუჭირავს თავი სხვებს, მაგრამ გული მტკივა, რომ ის ჩემი ზღვაში გადაგდებული წვეთი მადლიც, არაფერი ყოფილა თურმე.**

—მწერენ, ამათთვის გაწირე სიცოცხლე და ოჯახიო?!

ბევრი მწერს.

—მე კი ხმას ვერ ვიღებ! რადგან თავი ვინმეს სკამებისთვის კი არა, ჩემი ქართველი ხალხის გადასარჩენად გავწირე და არც ვნანობ. ყველას თუ არა, ნაწილს ხომ ვუშველე. მე ჩემი ვალი მოვიხადე ქვეყნის და ისტორიის წინაშე, ჩემი წინაპრების წინაშე.

არც რომელიმე პარტიის წევრი ვარ, არც რომელიმე გაზეთის რედაქტორი, არც ტელევიზია ან მედია-ჰოლდინგი გამაჩნია, რომ ინფორმაციულ ომში ვინმეს გავეჯიბრო. არც რაიმე თანამდებობა მიკავია სადმე სახელისუფლო ეშელონში, რომ ზეგავლენა მოვახდინო ვინმეზე. დიდი-დიდი სოციალური ქსელიდან გამომესარჩლოს რომელიმე მეგობარი, ან ისიც არა.

არ ვიცი, ამ სიტყვებს თავის თავზე კვლავ ვინ მიიღებს, მაგრამ კონკრეტულად არც არავის ვგულისხმობ. ამ მომენტში ჩემთვის ყველა ერთია. თქვენ მოგმართავთ პროვოკატორო და სულგაყიდულო ადამიანებო! არ დაგღალათ სიბინძურემ? არ დაგღალათ პროვოკაციის ჟინმა?

დღემდე ათასგვარ უნამუსობას საუბრობენ და ავრცელებენ ჩემზე. ზოგს საერთოდ ჩემი არსებობაც კი აღიზიანებს ამ ქვეყანაზე. ვიღაც გავაუპატიურე, ვიღაც ვაწამე, ვიღაცას შიდსი გადავდე, ვიღაცას რაღაც დავმართე....

ჩემი გადაწყვეტილება პოლიტიკური სპეკულაციის და ვაჭრობის საგნად, სხვებისგან განსხვავებით (!) არასდროს გამიხდია. ბევრჯერ გავიმეორებ: არავინ და არაფერი მრჯიდა, არც არავინ მიბიძგებდა, ვერც ვერასოდეს ვერავინ გაიგებდა ჩემს ვინაობას, რომ არა ჩემი ნება, ჩემი ქვეყნის და ხალხის სიყვარული, პირადი გადაწყვეტილება დიდი რისკის ფასად ფირების დახურული სივრციდან თქვენამდე მოსატანად და ფაშისტური რეჟიმის სამხილებლად. არ იფიქროთ ვინმეს რამეს გამადლიდეთ. ღმერთმა დამიფაროს!

სიკვდილის, უბედურების, შიშის, ტერორის ხანა იდგა საქართველოში. ქვეყანაში, სადაც საპყრობილეებში წელიწადში სტანდარტულად 140 ადამიანი „სიბერით“ (როგორც ეს ქალბატონმა კალმახელიძემ განაცხადა) იღუპებოდა. გულით მსურდა თუნდაც მცირედი წვლილი შემეტანა ამ ქვეყნის გადარჩენის საქმეში. **არც არავის ვეცილები გმირობაში. გმირებიც თქვენ იყავით და ლომებიც, მაგრამ ლანძღვით მაინც ნუ გამლანძღავთ.** რას ვღებულობ დღემდე? ლანძღვას, გინებას, ცილისწამებას, მუქარას, ფსიქოლოგიურ ტერორს...

**შუბლზე ძარღვგაწყვეტილო ადამიანებო! შეადარეთ ჩემი საბანკო ანგარიშები თქვენსას. არც ერთ ბანკში ერთი თეთრიც არ გამაჩნია. ჩემი საკუთრება შეადარეთ თქვენსას. ვცხოვრობ იქ, სადაც ადრე ვცხოვრობდი. ზოგიერთის ვილებთან შედარებით ნახევრად დანგრეულ მიწურში... ჩემზე რა მოგახსენოთ, ძალიან კარგად უწყით, ვიცი, მითვალთვალებთ კიდეც. მიუხედავად საკმარისი განათლების და გამოცდილებისა, ჩემი ოჯახის წევრებიდან დღეს არავინ არაა დასაქმებული - არც ერთ საჯარო თუ კერძო სამსახურში. არც საკუთარი ავტომანქანა მყავს და არც აგარაკი. მობრძანდით, ნახეთ, რაც გამაჩნია და მერე რაშიც გენებოთ დამდეთ ბრალი. თუმცა რა აზრი აქვს, ისე გაქვთ დაბნელებული გონება, რომ რაც არ გსურთ - ვერ ხედავთ, რაც არ გინდათ - არ გესმით. ბევრჯერ მითქვამს - ანგელოზი არ ვარ, ცოდვილი ვარ, თუმცა ციხემ და რეჟიმმა ვერ გამაბოროტა და მით უმეტეს, დღეს თქვენ ვერ გამაბოროტებთ.**

თითქოსდა შევეჩვიე კიდეც ცილისწამებებს. მაგრამ ძნელია მიჩვევა ოჯახის წევრებისთვის, შვილებისთვის, როცა მამას ათაგვარი ეპითეტებით მოიხსენიებენ „დამოუკიდებელი“ ბინძური გაზეთის ფურცლებიდან, პარტიული ტელევიზიებიდან, გაყიდული ინტერნეტ–სააგენტოებიდან, სახალხოდ მაღალი ტრიბუნებიდან თუ წინასაარჩევნოდ გააქტიურებული ყოველდღიური სატელევიზიო თოქშოუებიდან.

ძნელია, გაუმკლავდე შემოტევას, როცა შენს წინააღმდეგ შავი პაირის აგორებული ტალღა ზვირთებად მოედინება. ძნელია, როცა გებულობ, რომ არაფერს არ იშურებენ, თანხებს იხდიან შენი საპასუხო წერილების დაბლოკვისათვის, ციხე-ციხე, ქუჩა-ქუჩა დადიან, ეძებენ ადამიანებს, რომელიც ხელს დაგადებს და ცილს დაგწამებს არჩადენილი დანაშაულისთვის.

სააკაშვილის პროკურატურის დაწყებულმა გამოძიებამ ბევრი იარა თუ ცოტა, ორ გაბრიყვებულ ადამიანზე მეტი ვერ გამონახა, იმ ათი ათასობით რეჟიმისგან გამწარებულ ადამიანთაგან, რომლებთანაც წლების მანძილზე გამაჩნდა სამსახურებრივი ურთიერთობა. ასეთები ვერ გამონახა წინა სასამართლო გამოძიებამაც, თუმცა, „აღიარებით ჩვენებას “ დღევანდელი ხელისუფლების ჩინოსნები „მეგობრულადაც“ კი მირჩევდნენ.

ძალ-ღონე არ დაიშურა „ნაციონალური მოძრაობის“ მთავარმა იდეოლოგიურმა წყარომ „რუსთავი-2“- მაც, რომლის გამოჩეკილი „დაზარალებული“ დღეს ერთ-ერთი „ვაიოპოზიციური“ გაზეთის რედაქციაში ბუდობს და მის რედაქტორს ფრთებამოფარებული აცხობს და აცხობს „სკანდალებს“.

ამდენ ცილისწამებას, ფსიქოლოგიურ ტერორს ერთი მიზანი აქვს: სურთ, რომ იძულებული შევიქმნა სამშობლო დავტოვო. არ მინდა ჩემი ასეთი ნაბიჯით თუნდაც ერთ ადამიანს იმედის ნაპერწკალი ჩავუქრო.

ბევრჯერ მითქვამს. მეც, იმ სისტემის, იმ გაფუჭებული, უმუხრუჭოდ დარჩენილი მანქანის რიგითი ნაწილი ვიყავი, რომელსაც შეურაცხადი მძღოლი მართავდა და უფსკრულში მიექანებოდა. მაგრამ, მანქანის ძრავი ან მისი მთავარი ნაწილი არ ვყოფილვარ. ბევრი თქვენგანივით - ნათლად ვხედავდი, ვუყურებდი, ვხვდებოდი, რომ რამდენიმე მეტრი, ნაბიჯი, საათი, წუთი და საქართველო დიდ უფსკრულში გადაიჩეხებოდა. აღარ იარსებებდა, რომ არა თქვენისთანა ადამიანების თავგანწირვა.

**სწორედაც თქვენნაირი ადამიანების მხარდაჭერა მჭირდება დღეს, რომ ერთხელ და სამუდამოდ აილაგმონ უნამუსო, უზნეო, ფულზე გაყიდული პროვოკატორები და ცილისმწამებლები.**

**ლადო ბედუკაძე**

# გიორგი ახვლედიანი: საარჩევნო სისტემა უნდა შეიცვალოს!

ვესაუბრებით „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთ ლიდერს ბატონ **გიორგი ახვლედიანს**.

**— ბატონო გიორგი, თქვენი პარტიის ლიდერმა ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ ბოლო დღეებში დააყენა საკითხი, ქვეყანაში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების შესახებ. რას იტყოდით ამ თემასთან დაკავშირებით?**

— საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება არის კომპლექსური საკითხი და ის უკავშირდება უპირველესად **საარჩევნო სისტემის შეცვლას** და რეფორმირებას.

დღეს გვაქვს ათმანდატიანი მაჟორიტარული ოლქები ქვეყანაში. ეს ის სისტემაა, რომელიც **ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ ძალას აძლევს იმის საშუალებას, რომ შეიძლება ნაკლები პროცენტი მოიპოვოს არჩევნებში, მაგრამ მაინც უმრავლესობით მოვიდეს ხელისუფლებაში.** მაგალითად, წელს არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ 44 პროცენტი აიღო ხმებისა თბილისში, მაგრამ 75 პროცენტი დეპუტატებისა შეიყვანა საკრებულოში. ეს არის შეუსაბამობა, რომელიც განვლილი ხელისუფლებიდან მოდის და არც დღეს არ შეცვლილა. თავად ეს სისტემა სრულიად არაადეკვატურია.

მსოფლიოს ყველა წამყვანი ქვეყნის სპეციალისტები გვირჩევენ, რომ შეიცვალოს ჩვენს ქვეყანაში ერთმანდატიანი სისტემა, რომელიც დღეს მოქმედებს. ამასაც რომ თავი დავანებოთ, დღეს ხელისუფლებაში მყოფი ექვსი პოლიტიკური პარტია ანუ კოალიცია „ქართული ოცნება“, როდესაც იყო ოპოზიციაში, მაშინ შეიქმნა „პოლიტიკური რვიანი“, რომელიც ძირითადად აყენებდა ორი საკითხის შეცვლის საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით. ერთი იყო ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქების გაუქმება და შემოღება პროპორციული სიების, რომლის მიხედვითაც მოხდებოდა პროცენტის შესაბამისად მანდატების მიღება და მეორე საკითხი იყო ბიომეტრიული სიების შემოღება, რათა არ მომხდარიყო ერთი და



იგივე პიროვნების მიერ რამდენიმე ადგილზე ხმის მიცემა. დღესაც ეს თემა არის აქტუალური იმიტომ, რომ საკითხი „პოლიტიკურმა რვიანმა არ გადაჭრა“ და ყველაფერი ძველებურად დარჩა.

**— რატომ არ მოხერხდა ამ საკითხის გადაწყვეტა ამ გაერთიანების მიერ?**

— ვერ შეძლეს, გახსოვთ, ალბათ, „რვიანი“ დაიშალა და საქმე არ გაკეთდა. პრობლემა პრობლემად დარჩა და კვლავ არაკანონიერი წესით ჩატარდა არჩევნები. „ქართული ოცნების“ შემადგენლობაში მყოფი პარტიები სწორედ ამ მიმართულებით აკრიტიკებდნენ „ნაციონალებს“ და დროშებს აფრიალებდნენ, რომ შეცვლილიყო საარჩევნო გარემო. **იმ „რვიანიდან“ ექვსი პარტია დღეს ხელისუფლებაშია და უცებ დაივიწყეს ეს ყოველივე, აღარ აინტერესებთ საარჩევნო სისტემის გაუმჯობესება.** აი, უკვე ორი წელი გავიდა და ყველანაირად ცდილობს დღევანდელი ხელისუფლება, რომ პრაქტიკულად ახსნან ეს საკითხი, კერძოდ, იშველიებენ იმას, რომ დრო არ ჰყოფნით წინასაარჩევნო პერიოდში ამ ცვლილებების განხორციელებისა.

ჩვენ ვაყენებთ საკითხს, ორი წლით ადრე საპარლამენტო 2016 წლის არჩევნებამდე, მოდით, დღეს შევცვალოთ ეს ყოველივე, რომ მომავალში ეს პრობლემა აღარ დადგეს. პრაქტიკულად ჩანს, რომ მათ არანაირად არ აინტერესებთ საარჩევნო გარემოს შეცვლა. მათი სურვილია მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ, რაც შეიძლება დიდხანს იყვნენ ხელისუფლებაში და მეტი არაფერი, დღევანდელი საარჩევნო სისტემა კი მათ ამის დიდ შანსს აძლევთ. აქედან გამომდინარე, **შემიძლია ვთქვა, რომ „ოცნებამ“ არაფერი შეცვალა,** თუ არ ჩავთვლით მერებისთვის 50-პროცენტიანი ბარიერის დაწესებას, რომელიც არასაპარლამენტო ოპოზიციის სერიოზული მოთხოვნა იყო. ვფიქრობ, ყველა ამ საკითხზე ხელისუფლებამ პასუხი უნდა გასცეს.

ადგილობრივი არჩევნები იყო ძალიან კარგი საშუალება იმისა, ეს ყველაფერი გამოსწორებულიყო, თუმცა ამაოდ. საეჭვოდ მეჩვენება ისიც, თუ რატომ გაუქმდა 200 000 ბიულეტენი? რატომ იყო აქედან 95 პროცენტი არასაპარლამენტო ოპოზიციისა? ეს კითხვები დღესაც პასუხგაუცემელია.

დღეს ძალიან იოლად შეგვიძლია გავამარტივოთ ბიომეტრიული სიების შექმნის პროცესი. ვფიქრობ, რომ ნოემბერში ჩატარებულ საყოველთაო აღწერის დროს უნდა შეიქმნას მობილური ჯგუფები, რომლებიც ივლიან ამ ჯგუფთან ერთად და მოსახლეობას გადაუღებენ სურათს ბიომეტრიული ტექნოლოგიით, რომლის ბაზაზე შეიქმნება ბიომეტრიული სიები. მიმაჩნია, რომ თუ ამ ჩვენს მოწოდებას ხელისუფლება არ გამოეხმაურა და არ მიიღებს, ჩავთვლით რომ ისინი ღიად აცხადებენ, რომ არიან მომხრენი გაყალბებული არჩევნებისა. ამის პასუხს მალე გავიგებთ.

**— ბატონო გიორგი, ცესკოს დღევანდელი შემადგენლობის 75 პროცენტი თანამშრომლებისა, ნაციონალების მიერ დაკომპლექსებული ხალხია. ეს არ იქნება ხელისშემშლელი ბარიერი თუნდაც ბიომეტრიული სიების დროს?**

— მე მიმაჩნია, რომ თუ სარჩევნო სისტემა შეიცვალა ამ მიმართულებით რომელსაც ჩვენ ვაყენებთ, ისინი ვერავითარ გაყალბებას ვერ შეძლებენ რამდენი მომხრეც არ უნდა ჰყავდეთ საარჩევნო ადმინისტრაციაში, რადგანაც ამ ახალი წესით მუშაობისას, საარჩევნო მოხელის ინტერესი სრულიად გამორიცხულია, თუმცა, გეთანხმებით იმაში, რომ ცესკოს შემადგენლობა შესაცვლელია, უნდა შეიქმნას ისეთი სისტემა, რომელიც დაზღვეული იქნება ყველანაირად კინკრეტული ადამიანის პოლიტიკური გემოვნებისგან, რომელი პოლიტიკური პარტიის სიმპატიაც არ უნდა ჰქონდეს ადამიანს საარჩევნო სისტემაში ჩართულს, მას არავითარი ზეგავლენის მოხდენა არ უნდა შეეძლოს საარჩევნო პროცესზე.

მჯერა, რომ თუ ამ ახალ სისტემას დავამკვიდრებთ ცხოვრებაში, არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, რომელი საარჩევნო მოხელე ვის აძლევს ხმას, ეს მისი ინდივიდუალური გადასაწყვეტი იქნება, ჩვეულებრივ იმუშავებს, მაგრამ პროცესზე გავლენას ვერ მოახდენს. ეს ასე ხდება მსოფლიოს ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში. კარუსელი, სხვის მაგივრად ბიულეტენების ჩაყრა და გაყალბება ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოისპოს. ყოველივე ამის შემდეგ, ნებისმიერი მოქალაქისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ექნება თუ ვინ არის საარჩევნო მოხელე, რომელი პარტიის მიერ არის დანიშნული.

**— ბატონო გიორგი, ახლა, როდესაც ეს სერიოზული საკითხი წამოჭერით ამ დღეებში, ვინმე გამოგეხმაურათ სხვა პარტიებიდან, კიდევ ვის სურს საარჩევნო გარემოს შეცვლა?**

— მივმართეთ ჩვენს კოლეგა ოპოზიციურ პარტიებს, ინტერაქტიული ჯგუფი უკვე შექმნა ხელისუფლებამ, მაგრამ პრობლემა არის ის, რომ იმისათვის, რომ საარჩევნო გარემო შეიცვალოს, ამას სჭირდება ძალიან მაღალი კონსესუსი საზოგადოებაში,. ანუ მრავალპარტიული ჩართულობა, ამიტომ ჩვენ, არასაპარლამენტო პოლიტიკური ორგანიზაციები შევქმნით ინტერპარტიულ ჯგუფს, რომელიც მოამზადებს ყველა იმ აუცილებელ ინიციატივასა და წინადადებას, რომელიც აუცილებელია საარჩევნო კოდექსში შესატანად. ეს ყველაფერი მომზადდება ჩვენს მიერ და შევთავაზებთ ხელისუფლებას. **ვიმეორებ, ამ ხელისუფლებას ახალს არაფერს არ ვთხოვთ, ეს საკითხი მათთან ერთად გავლილი გვაქვს, ამას ისინი ხალხს ჰპირდებოდნენ, როცა თავად ოპოზიციაში იყვნენ.**



**ეთერ კასრელიშვილი**
599 110 200

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# სკანდალური ისტორიები კრიმინალური სამყაროს ლაბირინთებიდან



დავით გაგნიძე

„საერთო გაზეთი“ აგრძელებს ინტერვიუს პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ დავით გაგნიძესთან, რომლის განცხადებითაც, შეგნებულად ხდებოდა ყველა დანაშაულის, მათ შორის ადამიანის გატაცებების აფრასიძეებისთვის გადაბრალება, რათა მათ შემდგომ სასტიკად გასწორებოდნენ.

დავით გაგნიძე: „2002 წლის ზაფხულში მარიამ გოგინაშვილის გატაცების შემდეგ ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა პოლიციის მაშინდელი მაღალჩინოსნის, აწ გარდაცვლილ დავით კეკუას ინტერვიუ, სადაც ის პირდაპირ აცხადებდა, რომ რეზონანსულ გატაცებებს შსს-ში მომუშავე სვანები მფარველობდნენ. ადამიანთა გატაცებები სულ სხვა ჯგუფების მიერ ხდებოდა, მაგრამ მიზანმიმართულად აბრალებდნენ აფრასიძეებს. ადრეც გითხარით, რომ ხსენებულ დანაშაულების გახსნაზე უშუალოდ მე ვმუშაობდი, როგორც შსს-ს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის წარმომადგენელი, სვანეთის პოლიციიდან ჯერ მე არ მქონდა ცნობა მიღებული, რომ სამინისტროში ხმა იყო გავარდნილი, აფრასიძეების ჩადენილიაო. მათ რამდენჯერმე ვუთხარი კიდეც, ჯერ მეც არ ვიცი ვინ ჩაიდინა და საიდან გამოგაქვთ ასეთი დასკვნათქო. სხვათა შორის, მერე მართლაც მოდიოდა ცნობა სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციიდან, აფრასიძეებმა ჩაიდინესო. რეზონანსული გატაცებები ძირითადად 90-იანი წლების მიწურულიდან დაიწყო და მას შემდეგ იმატა, რაც ვანო მერაბიშვილმა ედუარდ შევარდნაძის საწინააღმდეგო განცხადება გააკეთა ვაშინგტონში. 2000 წლიდან რომ გახშირდა მძიმე დანაშაულობები, ამის შესახებ განცხადება ზურაბ დგებუაძემაც გააკეთა, რომელიც დიდი პროფესიონალი და ძალზე ჭკვიანი ადამიანია. იგი დიდ ხანს მუშაობდა შსს-ში, „ვარდოსნების“ ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ სამართალდამცავი სისტემიდან წავიდა და ადვოკატობა დაიწყო. სხვათა შორის, იგი კალაძეების ოჯახის ადვოკატიც იყო, ბათუ სალინაძეს კალაძის საქმე რომ ჩამოართვეს, ვანო მერაბიშვილმა დგებუაძეს თავისი თანაშემწის სტატუსი მიანიჭა, რომ პოლიციასთან ერთად ემუშავა ამ საქმეზე. დგებუაძე მერე იძულებული გახდეს საქართველოდან გაქცეულიყო, იგი ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს. მერწმუნეთ, ბევრი არ გვყავს ასეთი პროფესიონალი, დანაშაულის ტოლფასია მისი სამართალდამცავი სისტემიდან ჩამოცილება, ვფიქრობ, ასეთი პროფესიონალების იგნორირება აღარ უნდა გაგრძელდეს. ინტერნეტში შეგიძლიათ მოიძიოთ ზურაბ დგებუაძის ინტერვიუები, სადაც იგი აღნიშნავს, რომ პრეზიდენტ შევარდნაძის გადაყენების პროცესი ფაქტობრივად, 2001 წლიდან დაიწყო, მანამდეც ხდებოდა საქართველოში მძიმე დანაშაული, მაგრამ ასეთი სისტემატური ხასიათი არ ჰქონდა. შემიძლია გატაცებების სტატისტიკაც მოგაწოდოთ, მაგრამ არასრული იქნება, რადგან მხოლოდ შსს-ს ოფიციალურ ინფორმაციას ეყრდნობა. იმ პერიოდში თავდაცვის და უშიშროების სამინისტროებსაც ჰქონდა საკუთარი ინფორმაციები. ვანო მერაბიშვილის მიერ აშშ-ში გაკეთებული განცხადება ერთგვარი სიგნალი იყო. ამის შემდეგ გაიტაცეს ესპანელი ბიზნესმენები როდრიგესი და ტრენინიო, ისინი კახეთის გზატკეცილზე, ორხევის ხიდის მიმდებარე ტერიტორიიდან წაიყვანეს, მერე გაიტაცეს ხალილოვი, მისი თანმხლებთაგან ერთი პირი დაჭრეს კიდეც (ხალილოვი შოთა ჭიჭიაშვილმა გაიტაცა), შემდეგ იყო (2001 წლის 23 მაისს) ლევან კალაძის გატაცება, ერთი წლის შემდეგ (2002 წლის ივლისში) წყნეთიდან გაიტაცეს მარიამ გოგინაშვილი (შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნის დედისერთა არასრულწლოვანი შვილი), მაგ პერიოდშივე მოხდა პიტერ შოუს გატაცებაც, რომელიც საბურთალოდან გაიტაცეს, მასზე უფრო ადრე კი ზულინა პროკოფიევა, „წითელი ჯვრის“ წარმომადგენელი, უკვე უცხოელებსაც იტაცებდნენ. ყველაფერი შევარდნაძის დისკრედიტაციისთვის კეთდებოდა და მიაღწიეს შედეგსაც, ქვეყნის შიგნით და გარეთ ყველა იმაზე საუბრობდა, რომ შევარდნაძის ქვეყნის მართვა აღარ შეეძლო“.

**- ვის ინტერესში შედიოდა შევარდნაძის დისკრედიტაცია? გამტაცებლებს თურმე შსს-ს წარმომადგენლები მფარველობდნენ, თუმცა სიმართლე გითხრათ, მეეჭვება, რომ კახა თარგამაძე შევარდნაძის იმიჯის შესალახად „მუშაობდა“.**

- იმ ძალების ინტერესში, ვისაც შევარდნაძე ხელისუფლებიდან უნდა ჩამოეცილებინა, რადგან მან არ განახორციელა ის ე.წ. გარდაქმნები, რასაც მისგან ითხოვდნენ. შემდგომში ეს დავალებები „პირნათლად“ შეასრულა მიშა სააკაშვილმა. მე ყველაფერ ამას შსს-ში მიღებული თუ საზოგადოებაში გავრცელებული ინფორმაციების საფუძველზე ვამბობ. გაიხსენეთ მაშინ რა ხდებოდა, შევარდნაძე ფაქტობრივად ცდილობდა ხალხისთვის თავი შეეძულებინა, რასაც შეგნებულად აკეთებდა (შეუგნებლად მას არაფერი უკეთებია), ეტყობა არ უნდოდა მავანთა „დავალებების“ შესრულება და ცდილობდა ამ ძალებს თავადვე ჩამოეცილებინათ ხელისუფლებიდან. შევარდნაძის დასუსტებას ემსახურებოდა ისიც, სულ ბოლო მომენტში შს მინისტრად უპატიოსნესი პიროვნება, მართლაც წმინდანი ჯოჯოხეთში, კობა ნარჩემაშვილი რომ დაუნიშნეს. სისტემაში დატოვეს ის კადრები, რომლებიც ბევრ უმსგავსობაში იყვნენ გარეული და მარტო ნარჩემაშვილი რას გახდებოდა. ის ერთადერთი მინისტრი იყო, რომელიც ბოლომდე გვერდით ედგა შევარდნაძეს, უფრო ზუსტად ქვეყნის პრეზიდენტს და თუნდაც ამის გამო იმსახურებს პატივისცემას. მე დიდხანს ვმუშაობდი სამართალდამცავ სტრუქტურაში და ასეთი წესიერი შს მინისტრი, როგორიც ბატონი კობა იყო, ირაკლი ღარიბაშვილამდე სხვა არ გვყოლია. კობა ნარჩემაშვილს პირადად 1995 წელს შევხვდი, ედუარდ შევარდნაძეს პირველი ტერაქტი რომ მოუწყვეს მაშინ, ოპერატიული შემადგენლობიდან მე ვიყავი მივლინებული, საგამოძიებოდან ნარჩემაშვილი, ასეთი წესიერი გამომძიებელი მანამდე არ მენახა. რაც შეეხება კახა თარგამაძეს, გეთანხმებით, მას მართლაც არ აწყობდა შევარდნაძის დისკრედიტაცია, მართლაც გვერდით ედგა პრეზიდენტს, მაგრამ თარგამაძე მაინც ცოტა მოთამაშე ადამიანია, თუმცა არ მგონია, უფრო მეტიც, გამორიცხულად მიმაჩნია, რომ ის ე.წ. რეფორმატორებთან გარიგებული ყოფილიყო. ერთადერთი კაცი, ვისზეც მაშინ შევარდნაძის მმართველობა იდგა, კახა თარგამაძე იყო, იმიტომაც გადადგა მაშინ ზურაბ ჟვანია პარლამენტის თავმჯდომარეობიდან, რომ თარგამაძე ვერაფრით მოიცილეს.

კობა ნარჩემაშვილის დამსახურებაა ისიც, იმ არეულ დროში („ვარდების რევოლუციისას“) სისხლი რომ არ დაიღვარა, მან თავის ხელქვეითებს უფლება არ მოგვცა „ვარდოსნებს“ დავჯახებოდით, თვითონ კი არ მორიდებია, თუმცა უმადურმა ნაცებმა მას ეს არ დაუფასეს. არ გეგონოთ, რომ მაშინ სუსტი იყო შსს, მართალია „რევოლუციონერებს“ 150 თუ 200-კაციანი შეიარაღებული დაჯგუფება ჰყავდათ მერიის უკან გადამალული, მაგრამ ჩვენ უფრო მეტნი ვიყავით, თანაც პროფესიონალები და მათ კუდით ქვას ვასროლინებდით, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენთანაც ბევრი იყო გამცემი. სხვა უწყებებში რა ხდებოდა დაზუსტებით ვერ გეტყვით, მაგრამ კახა თარგამაძის წასვლის შემდეგ ცდილობდნენ შსს-ს დასუსტებას, უნდოდათ პროფესიონალი, ეროვნულად მოაზროვნე კადრების გაყრა, მაგრამ მინისტრმა ნარჩემაშვილმა ყველაფერი გააკეთა ამ კონტიგენტის შესანარჩუნებლად. მას სხვა გამოსავალი რომ აღარ დარჩა, გამოცდები დანიშნა, კვალიფიკაციაში ტესტირება ჩაატარა, თვითონ იბარებდა გამოცდას, რომ პროფესიონალები შეენარჩუნებინა. მე ამ გამოცდის გამო, თავი ძალზე შეურაცხყოფილად ვიგრძენი, სპეციალურად არ ჩავაბარე, მაგრამ მაინც დამტოვეს სამსახურში. ჩემნაირები ბევრნი იყვნენ, იგრძნობოდა, რომ ბატონ კობას უნდოდა პროფესიონალთა ბირთვის შენარჩუნება, შეინარჩუნა კიდეც, თუმცა ე.წ. რევოლუციის შემდეგ ყველა მათგანი სამსახურიდან გაუშვეს.

**- ბატონო დავით, მოდით ისევ დავუბრუნდეთ რეზონანსულ გატაცებებსა და აფრასიძეების თემას. კონკრეტულად ვინ მფარველობდა რეალურ გამტაცებლებს, ვინ იყვნენ ხსენებული სვანები?**

- შეგიძლიათ მოიძიოთ დავით კეკუას ხსენებული ინტერვიუ და იქ ამოიკითხავთ ვინ მუშაობდნენ მაშინ შსს-ში, მე გვარები ზუსტად აღარ მახსოვს. რამდენადაც ვიცი, კეკუას დაპატიმრების შემდეგ 17.000 ოპერატიული დოკუმენტი ამოიღეს, მათ შორის იყო ის მასალებიც, რომლებზეც მე და დათო ერთად ვმუშაობდით, მათ შორის ე.წ. საძმოებთან დაკავშირებითაც. სად წავიდა ეს 17.000 ფურცელი, ან მერე როგორ მოხვდა კეკუას სახლში „რეალ-ტივის“ (გურამ დონაძის ტელევიზია – მ.ს.) სტუდია? ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ დათოს ოჯახის გაჩუმება უნდოდათ, რადგან კარგ ქირას უხდიდნენ, მათ კი სხვა შემოსავალი არ ჰქონდათ? დავით კეკუა ჭკვიანი ადამიანი იყო, მას ჯერ კიდევ იმ დროიდან ვიცნობდი, სამგორის რაიონის პოლიციაში სისხლის სამართლის სამძებროს უფროსად რომ მუშაობდა, მერე სამინისტროში ჩემი უშუალო ხელმძღვანელი გახდა. ის ერთადერთი ხელმძღვანელი იყო, რომელიც დამოუკიდებლად მუშაობის საშუალებას გვაძლევდა, რაც ძალზე დადებითად მოქმედებს მუშაობის ეფექტურობაზე. აბა, ის არის ოპერატიული მუშაობა უფროსის ნებართვის გარეშე, ბოდიში მომითხოვია და ტუალეტში რომ ვერ გასულან თანამშრომლები? წეღანაც გითხარით, თითქმის ყველაფერს, რაც კი სვანეთში ხდებოდა აფრასიძეებს აბრალებდნენ, მათ შორის მაღალი ძაბვის გადამცემების დაწყვეტასაც. ევგენი აფრასიძეს დენის გათიშვა რომ მოუნდება, გადმოიღებს კარაბინს, ესვრის კაბელს, გაწყვეტავს და ლამის მთელ საქართველოს ჩააბნელებსო. რომელი სნაიპერი მყავდა ევგენი აფრასიძე, თქვენ ასეთი ადვილი გგონიათ მაღალი ძაბვის სადენისთვის მორტყმა და გაწყვეტა? ამასაც რომ თავი დავანებოთ, რა ინტერესი უნდა ჰქონოდათ აფრასიძეებს, საწვავის მაფია მაგათ ეკუთვნოდათ? ეს არის სრული იდიოტიზმი. მაშინ იმასაც ამბობდნენ, ვის ზარებს აღარ ნახავთ ევგენი აფრასიძის ტელეფონში, პარლამენტის მთელი შემადგენლობა ურეკავსო. თუ ყაჩაღების ოჯახი იყო, მაშინ რა ესაქმებოდათ მათთან პარლამენტარებს? აფრასიძეები რაღაცის გამო აითვალწუნეს, მაგრამ რის გამო, არ ვიცი, იმიტომაც აბრალებდნენ ყველა უბედურებას. ეს ნაცადი მეთოდია, ვისი განადგურებაც უნდათ, წინას-



დავით კეკუა



ლევან კალაძე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. წინა ნომერში

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

წარ ათას სიბინძურეს დააბრალებენ ხოლმე, ზურაბ ჟვანიას შემთხვევაშიც ზუსტად ასე მოხდა. სინდისის ნატამალი არ შერჩათ, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, თუ ასე გაგრძელდა, კონკრეტულ პიროვნებებს დაგისახელებთ, ვის რა დანაშაული აქვს ჩადენილი. ვიცი ერთი ამბავი ატყდება, მაგრამ ჩემთვის უკვე სულ ერთია. მე რომ არც ვიყო, არსებობს გარკვეული ჩანაწერები, რომელიც რამდენიმე ადგილას ინახება და აუცილებლად გამომზეურდება.

ლევან კალაძის საქმესთან დაკავშირებით წინა ინტერვიუშიც გითხარით, რომ არის მასალები, რომლის გასაჯაროებაც ახლა არ მინდა, თუ ოდესმე ობიექტური გამოძიება ჩატარდა, არ მინდა ხელი შეეშალოს. მე ამ საქმეზე ძალზე სერიოზულად ვიმუშავე. ის სამი პიროვნება, რომლებიც ამ გატაცების ბრალდებით სასჯელს იხდიან, ჩემს მიერ მოკვლეულ მასალებში არ ფიგურირებენ. სამაგიეროდ, „ფიგურირებენ“ აფრასიძეები. ერთ-ერთმა დაკითხულმა პიროვნებამ ისიც კი მითხრა, ლევან კალაძე აფრასიძეების ეზოში მოსიარულე დამინახავსო, მაგრამ მე მისი არ მჯერა, ისევე, როგორც არ მჯერა, რომ ლევან კალაძე მოკლეს.

**- ამით რისი თქმა გინდათ?**

- გაიხსენეთ, საიდან წაიყვანეს ლევან კალაძე, დიღომში მდებარე ერთ-ერთი საავადმყოფოს ეზოდან, იგი თავის მკურნალ ექიმთან მიდიოდა, რადგან სერიოზულად ავად იყო. მისი ამბავი მაქსიმუმ ერთ კვირაში უნდა გადაწყვეტილიყო, თუ მედიკამენტოზურ მკურნალობას არ დაემორჩილებოდა, ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ, მისი მკურნალობისა და წამლების გარეშე დატოვება, თავისთავად გამოიწვევდა სიკვდილს. მერე ამ ბიჭის მიმართაც აუმრავი სიბინძურე გაავრცელეს. სვანეთში ჩატარებული სისხლიანი სპეცოპერაციის შემდეგ, რომელმაც მამა-შვილი აფრასიძეების სიცოცხლე იმსხვერპლა, ის რუსი, გვარად მურავიოვი, რომელიც აფრასიძეებთან მუშაობდა, თბილისში ჩამოიყვანეს. ირაკლი ოქრუაშვილის შს მინისტრობის დროს, კალაძის გატაცების საქმე ბათუ სალინაძეს ჩამოართვეს და როგორც უკვე გითხარით, მე გადმომცეს. კაბინეტში ვმუშაობდი, როცა შსს-ს მაშინდელი ერთ-ერთი მაღალჩინოსანი (მისი ვინაობის დასახელება ამ ეტაპზე არ მინდა) შემოვიდა და შსს-ს მაშინდელ „კაპეზეში“ (წინასწარი დაკავების იზოლატორი) წაყოლა მთხოვა (დღეს ამ შენობაში №7 საპყრობილეა განთავსებული - მ.ს.) მურავიოვი იქ ჰყავდათ მოთავსებული. მან მურავიოვი მოაყვანინა და ჩემი თანდასწრებით უთხრა, მოუყევი რა ხდებოდაო. მურავიოვმა თავიდან რაღაცეები „აურია“, რამაც ძალზე გააღიზიანა ჩინოსანი და შეუყვირა, წესიერად ილაპარაკე, ყველაფერი მოყევი, რაც ნახეო. თავიდან გამიკვირდა კიდეც, მე, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროს ინსპექტორს რა მესაქმებოდა „კაპეზეში“ მურავიოვთან, მაგრამ მერე ყველაფერი იმას დავაბრალე, რომ კალაძის გატაცების საქმეზე ვმუშაობდი. ხელმძღვანელობას უნდოდა დავერწმუნებინე, რომ აფრასიძეები ნამდვილად იყვნენ „გარეული“ ამ საქმეში, დაინტერესება რომ არსებობდა, შემდეგ თანდათან უფრო ვრწმუნდებოდი. კალაძის გატაცების საქმეს რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, მე მხოლოდ იმიტომ გადავრჩი, რომ მაშინ ბადრი პატარკაციშვილის მოშორებაზე „მუშაობდნენ“ და ჩემთვის არ ეცალათ, ზედმეტი სკანდალიც არ აწყობდათ, ოღონდაც დროზე მოვეცილებინე და აგენტისთვის გამოწერილი ფულის „მითვისებაც“ კი „მაპატიეს“, სასამართლომდე აღარ მიიყვანეს ეგ საქმე. სამაგიეროდ, ოფიციალურად გამაფრთხილეს, შენს მიერ მოკვლეულ მასალებზე კრინტი არ დაძრაო. ეს პირდაპირ „მოდულის“ შენობის დერეფანში მითხრა, იმ რობერტ ლიპარტელიანმა, რომელმაც თავის დროზე ძლივს დამიყოლია სოდ-ში მუშაობა რომ დამეწყო. ლიპარტელიანს სხვა თანამშრომელიც ახლდა, ჩიხლაძე, მეტსახელად „ჩიხოლა“, ოღონდ ის ახლოს არ მოსულა, მოფარებულში იდგა, ამ გაფრთხილების შემდეგ რობერტი მასთან მივიდა და „ანგარიში“ ჩააბარა.

კალაძის გატაცება მართლაც სვანების მიერ მოხდა, მაგრამ აფრასიძეები აქ არაფერ შუაში იყვნენ, თუმცა ამ სვანებსაც სხვებმა დაავალეს, ესენი მხოლოდ შემსრულებლები იყვნენ. ბათუ სალინაძე სიმართლეს ამბობს, ეს ადამიანი ფაქტობრივად, ამ საქმის გამო დაისაჯა, მიკვირს კიდეც, როგორ გაუძლო ამ ხნის კაცმა ასეთ ზეწოლას. მეც იგივე სიტუაციაში აღმოვჩნდი, ვერავის დაელაპარაკებოდი, სულ კონტროლზე ვიყავი, მობილურ ტელეფონს შეგნებულად არ ვყიდულობ, ხელმძღვანელობამ სპეციალურად აჩუქებინა ჩემთვის ტელეფონი, ნომერიც მომცეს, რომ მუდმივ კონტროლზე ვყოლოდი, მაგრამ ბოლოს მაინც აღარ მენდობოდნენ. არ სიამოვნებდათ სწორ კვალს რომ დავადექი.



ბათუ სალინაძე



ერეკლე კოდუა

**- ბატონო დავით, თქვენ კალაძის საქმეზე სამჯერ მოგიწიათ მუშაობა, პირველად შევარდნაძის მმართველობისას, მაგრამ სამჯერვე გაგაჩერეს, რადგან ამ საქმის გახსნა არ აწყობდათ. მოდით, უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ ამ საკითხზე და თქვენს მიერ მოკვლეულ მასალებზეც.**

- ლევან კალაძის გატაცების დღეს სამინისტროს ხელმძღვანელობა ადგილზე არ იმყოფებოდა, კოლეგებთან რაღაც მქონდა შესათანხმებელი და ერთი სართულით დაბლა ჩავედი, იქ შემხვდა შეშფოთებული დავით კეკუა და მითხრა, დღეს კახი კალაძის ძმა გაიტაცეს და ხომ არაფერი გაგიგიაო, ვიუარე. თურმე იმ დროს კალაძის ახლობლები გენპროკურატურაში იყვნენ მისულები, ლევანს უკვე ეძებდნენ, თუმცა შსს-ს დანარჩენმა კონტიგენტმა არაფერი იცოდა. ჩვეულება მაქვს ყოველ დილას ვეცნობი პრესას, 24 მაისის „სპორტში“ ეწერა, რომ წინა დღეს ცნობილი ფეხბურთელის კახი კალაძის ძმა გაიტაცეს და ფაქტობრივად, პრესიდან გაიგეს პოლიციელებმა მომხდარის შესახებ. დავიწყეთ ამ საქმეზე მუშაობა, მაგრამ დავით კეკუამ და გატაცებების წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსმა დავით ენდელაძემ ისე დაყვეს ყველაფერი, რომ რიგითი ოპერთანამშრომელი, რომელიც ამ საქმეზე მუშაობდა, საერთოდ ვერ მიხვდებოდა რომელ საქმეზე მუშაობდა. 15 თანამშრომელს ისე ჰქონდა გადანაწილებული, რომ თუ საქმეში ჩახედული არ იყავი, ვერაფერს გაიგებდი. შემდეგ დავით კეკუა თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში გადაიყვანეს, სამი თუ ოთხი მოზრდილი ყუთი მასალები იქ წაიღეს. მე ლიტერული (დამაგროვებელი) საქმის გაკეთება დამავალეს, უნდა დამეგროვებინა ყველა ინფორმაცია, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობას სცოდნოდა რა ხდებოდა. კეკუა ვალდებული იყო თბილისის სამმართველოდან ჩემთვის მოეწოდებინა ყველა ახალი ცნობა (ინფორმაცია), თუ ახალი ცნობა არ იქნებოდა, ყოველ ათ დღეში ერთხელ ჩემთვის უნდა მოეცათ ცნობა თუ რა ხდებოდა, რომ სამიმინისტროს ხელმძღვანელობა საქმის კურსში ჩამეყენებინა. საქმე იმაშია, რომ კეკუა არაფერს მაწვდიდა, ჩემი უშუალო ხელმძღვანელი კი ჩემგან ითხოვდა სიახლეს, ხელმძღვანელობა მთხოვსო, თურმე „თამაშობდნენ“, მე კი ვერაფერს ვხვდებოდი, ჩემით რასაც მოვიძიებდი, იმას ვაწვდიდი, გვიან მივხვდი, რომ ასე არ უნდა მოვქცეულიყავი, ყველა ინფორმაცია უნდა გადამემალა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ჩემი სალიტერო საქმე ბათუ სალინაძეს გადასცეს, თუმცა იქ აღარაფერი იყო, ისევე, როგორც მე რომ გადმომცეს სალინაძის მოკვლეული მასალები და ყველაფერი გამქრალი იყო, მხოლოდ სალინაძის ხუთსტრიქონიანი პატაკი დამხვდა. გამიკვირდა კიდეც, ისეთმა პროფესიონალმა, როგორიც სალინაძე იყო, ნუთუ ვერაფერი მოიძია და გაანალიზათქო. მერე ჩემით დავიწყე მუშაობა და სალინაძის ანალოგიურ დასკვნამდე მივედი, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, მოგვიანებით კადრების განკარგულებაში გადამიყვანეს. მანამდე რაღაც ტექნიკური გაჩერებები აშკარად იყო, ეს საქმეა სასწრაფო, ამას მიხედე და პარალელურად კალაძის გატაცების საქმეზეც იმუშავეო. სამი წლის წინ იყო მომხდარი ეს გატაცება, ცრუ კვალზე მაყენებდნენ, მეუბნებოდნენ აფრასიძეებმა გაიტაცესო და მარტო კაცს რა უნდა გამეკეთებინა? თავიდან სალინაძის მოადგილე ზურაბ ბარბაქაძე და მე ერთად ვმუშაობდით, მე ძირითადად სატელეფონო ზარებსა და ოპერატიულ ინფორმაციაზე, ზურას ინფორმაციები მოჰქონდა და ერთად ვამუშავებდით, მაგრამ ისიც ჩამომაცილეს და მარტო დამტოვეს. ბოლოს კი ადამიანი, რომელიც ამ საქმეში წამყვანი ფიგურა ვიყავი, კადრების განკარგულებაში ამიყვანეს. მეორე დღეს სამინისტროში ჩემი ნივთების წამოსაღებად რომ





მივედი, ჩემი სეიფი გახსნილი დამხვდა და სატელეფონო ზარების ამონაწერები, 2.000 ფურცელი სამინისტროს დერეფანში იატაკზე ეყარა. თუ შსს-ს წარმომადგენლები არ იყვნენ გარეული ხსენებულ დანაშაულში, ასე რატომ მოიქცნენ?

მოგვიანებით, როგორც სოდ-ის თანამშრომელმა, ისე დავიწყე ამ საქმეზე მუშაობა, ამ უწყების ხელმძღვანელობას პრესტიჟის ასამაღლებლად უნდოდა კალაძის გატაცების გახსნა, ბუნებრივია, ისიც აინტერესებდათ რეალურად ვინ იყო გარეული ამ დანაშაულში (აქ იყვნენ, როგორც დამკვეთები, ისე შემსრულებლები), რომ მერე მათთვის რაიმე „დაეწერათ“ და ღრმად ვარ დარწმუნებული „დააწერეს“ კიდეც, ერეკლე კოდუა მუქთად არაფერს გააკეთებდა. ცხადია, ისევ სატელეფონო ზარების ამონაწერებზე დავიწყე მუშაობა და გარკვეულ შედეგსაც მივაღწიე. როგორც გითხარით, ზარების ნუსხა 2.000 ფურცელს შეადგენდა, თითოზე 35-36 ნომერი მაინც იყო, მაგრამ მაინც შევძელი „სასურველი“ ნომრის პოვნა. აქ ერთი ერთი საინტერესო შემთხვევაც უნდა გავიხსენო, 2001 წლის მაისში თემქის დასახლებაში, ერთ-ერთ პატარა მაღაზიაში ვიღაცამ პროდუქტები შეიძინა ნისიად და გამყიდველს თავისი პირადობის მოწმობა დაუტოვა, მოკლე ხანში სულ სხვა პიროვნება მივიდა და ეს მოწმობა წაიღო, რომელითაც შემდეგ ამ მოწმობით იყიდეს მობილური ტელეფონის სიმ-ბარათი და ამ ნომრიდან ურეკავდნენ კალაძეებს გამოსასყიდის მოთხოვნით. საქმეზე მუშაობისას მომიყვანეს მაღაზიის გამყიდველი ქალბატონი, იქნებ ფორმა №1-ზე არსებული ფოტოების მიხედვით ამოიცნოს ის პიროვნება ვინც მისგან პირადობის მოწმობა წაიღოო. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ქალბატონმა ოთხი წლის შემდეგ შეძლო იმ პიროვნების ამოცნობა, 30-მდე პირის ფოტო ვაჩვენეთ, იქიდან მხოლოდ ხუთი იყო შავ-თეთრი და სწორედ შავ-თეთრ ფოტოზე ამოიცნო. ბუნებრივია, ის სატელეფონო ნომერი აღარ მახსოვს, მაგრამ არსებობს ზარების ნუსხა, თავისუფლად შეიძლება აღდგენა და ამოღება, რაც უკვე აშკარა მტკიცებულებაა. სწორედ ხსენებული ნომრის გარკვევის და მისი ფაქტობრივი მფლობელის დადგენას მოყვა ჩემი „მიმთვისებლად“ გამოცხადება და სამსახურიდან დათხოვნა.

**- გამოდის ეს საქმე მართლაც გახსნილი ყოფილა და ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მაინც რატომ არ უნდათ სიმართლის გამოაშკარავება?**

- იმიტომ, რომ ის ძალა, ვინც ეს ჩაიდინა, ისევ ხელისუფლებაშია, ყოველ შემთხვევაში გარკვეული ზეგავლენის მოხდენა მაინც შეუძლია, თორემ რატომ არ უნდა უნდოდეთ? მე ადრეც გითხარით, რომ უშუალოდ კახი კალაძის მიმართ კი არ იყო დაინტერესება, უბრალოდ რეზონანსული დანაშაული უნდა მომხდარიყო. გამოცდილ პოლიციელს თუ ყველაფერს ყურადღებით მოეკიდებოდა ამ საქმეში სწორ დასკვნამდე მისვლა არ გაუჭირდებოდა, ისეთი შეცდომებია დაშვებული. ორჯერ განსხვავებული კუთხით ვაწარმოე მოკვლევა-ანალიზი და ორივეჯერ ანალოგიურ დასკვნამდე მივედი. იმ მასალებიდან, რაც ხელთ მქონდა, ერთ-ერთი კომპიუტერით იყო გასაწმენდი, მერე ვითომ მასალა ამერიკის გამოძიების ფედერალურ ბიუროში გადააგზავნეს, პასუხს როგორც კი მივიღებთ, მორჩა საქმე გახსნილიაო, რა პასუხი მიიღეს დღემდე არ ვიცი. მერე ორ პიროვნებაზე, რომლებზეც ეჭვი მქონდა, რომ ამ დანაშაულში იყვნენ გარეული, ერთზე მითხრეს საფრანგეთშია წასული, მეორე კი ძებნილიაო, არადა ეს პიროვნება თურმე ნარკოტიკებთან დაკავშირებით იყო დაჭერილი და საქართველოს ციხეში იხდიდა სასჯელს (2005 წელს), მე კი ოფიციალური ფორმა მომცეს ძებნაშიაო და ერთი სიტყვით, შეგნებულად დამაჯერეს. მომატყუეს, რაც ძალიან გვიან გავიგე. არ აწყობდათ, რომ ის პიროვნება დამეკითხა. სხვათა შორის, ამ საქმეში ზემოხსენებული „ჩიხოლაც“ იყო გარეული. მერე უკვე ისიც შევნიშნე, ცნობადმა სახეებმა, რომლებსაც მეც ვიცნობდი, სოდ-ის ხელმძღვანელობასთან დაიწყეს სირბილი და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ბათუ სალინაძე სიმართლეს ამბობდა. აბა რა ესაქმებოდათ მათ კოდუასთან? მერე ერთ-ერთ ჩემს ხელმძღვანელს ერთი ძალიან მაღალი თანამდებობის პირის გვარიც კი წამოსცდა, თუმცა დიდ ჩეკისტობაზე კი სდებს თავს.

**მანანა სუხიშვილი**

**599 51 28 24**

**(გაგრძელება იქნება)**

# საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ გიორგი მარგველაშვილს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს იუსტიციის მინისტრს, ქალბატონ თეა წულუკიანს მთავარ პროკურორს, ბატონ გიორგი ბადაშვილს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით უსუფაშვილს

ვარ საშინელ მდგომარეობაში: დარღვეულია და მოსპობილი ჩემი ადამიანური უფლებები. სამწუხაროდ, მე ვრჩები ჩემი დარღვეული უფლებებით ახალი ხელისუფლების დროსაც.

ბოროტმოქმედმა ე. ბაღდასაროვმა წამართვა საკუთრების უფლება და ამით გაანადგურა ო. გორდელის მუზეუმ-სალონი „შემოქმედება“. ეს უკანონობაა, რადგან მასთან მხოლოდ ი. ბაბუაძის საქმე მაკავშირებს (საქმე № 0698141), სადაც მეც და ე. ბაღდასაროვიც ორივე ი. ბაბუაძისგან ვართ დაზარალებული.

მომპარეს მეუღლის ოთარ გორდელის მიერ ანდერძით დატოვებული ბინა და ყველაფერი, რაც კი ბინაში იყო. დავრჩი ქუჩაში, მოსპეს ო. გორდელის სახელობის სალონ-მუზეუმი „შემოქმედება“, რომელიც არის თეატრ „ვერნისაჟის“სამართალმემკვიდრე. „ვერნისაჟი“ დაარსდა საქართველოს მთავრობის 1991 წლის დადგენილებით და თვით ოთარ გორდელის მიერ იყო დარეგისტრირებული თავის საკუთარ სახლში. ოთარ გორდელი კი ზაქარია ფალიაშვილის შვილი გახლდათ და ამ სახლში თვით ზ. ფალიაშვილის მიერ დაიწერა ოპერა „დაისი“.

უკანონოდ დაყადაღებულია როიალი, რომელიც ადმინისტრაციული კოდექსის 45-ე მუხლის თანახმად არ ექვემდებარებოდა დაყადაღებას, რადგანაც პროფესიით ვარ პიანისტი და ამით წამართვეს შემოსავლის საშუალება.

ალექსი ბუზოღლიმ 2011 წლის მარტის ბოლოს თვითნებურად, კანონის ყველა ნორმის დარღვევით, რკინის კარი დაკიდა სამი ოჯახის საერთო შესასვლელში, ანუ თვითნებურად გამაგდეს ქუჩაში და არ მომცეს საკუთარი ნივთების აღების საშუალება.

გაძარცვეს ო. გორდელის სალონ-მუზეუმი „შემოქმედება“ — მიიტაცეს ოთარ გორდელის არქივი, უნიკალური სანოტო და წიგნების ბიბლიოთეკა; მოიპარეს ლადო გუდიაშვილის 2 სურათი და ელენე ახვლედიანის 1 სურათი; ალექსი ბუზოღლის ხელით მოპარული იყო, დავით კაკაბაძის 3 სურათი — გრაფიკა (პარიზული ჩანახატები).

დავრჩი ყოველგვარი საარსებო წყაროს გარეშე, რადგანაც ნოტარიუსმა ლ. გაზდელიანმა ჩამომართვა ყველა ადამიანური უფლება, გასცა ყალბი ნორტარიალური აქტი, თითქოს არ არსებობდა ო. გორდელის ანდერძი და მე არ ვიყავი მისი მემკვიდრე.

2002 წლიდან ვიყავი ყოველგვარი დოკუმენტის გარეშე, რადგანაც თავს დამესხნენ და გამომტაცეს ხელჩანთა პირადი დოკუმენტაციით. მასზე სს საქმე აღძრულია. ბოლოს და ბოლოს მხოლოდ 2013 წელს მივიღე რუსეთის პასპორტი, ვინაიდან ჩაწერილი ვიყავი მამაჩემის ბინაში ქ. მოსკოვში.

რუსთავის რეესტრის თანამშრომლების მიერ იქნა ჩადენილი დანაშაული ჩემს მიმართ. გაყალბებით და მოტყუებით დაწერილი იყო განცხადება ჩემი სახელით, რაც ჩემს მიერ არ იყო დაწერილი. ერთი თვის განმავლობაში 2014 წლის 21 იანვრამდე რეესტრის ხელმძღვანელობა — მ. არაბიძე და გ. ამისულაშვილი, თავიანთი ქმედებით მსპობდნენ, როგორც პიროვნებას. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაული ჩადენილია ბოროტმოქმედი ე. ბაღდასაროვის და მ. ბუზოღლის („მეგალაინის“ დირექტორი) ხელით. მათ მფარველობდა ახლანდელი პარლამენტის წევრი გიგლა აგულაშვილი, რომელიც იყო სააღსრულებო ბიუროს თავმჯდომარე, როცა მიხეილ სააკაშვილი იყო იუსტიციის მინისტრი. ყველა დოკუმენტაცია ამის შესახებ მაქვს ხელზე. მინდა გითხრათ, რომ ა. ბუზოღლის მფარველობს ნინო ბურჯანაძე, რადგანაც „მეგალაინი“ არის მისი მეუღლის ბადრი ბიწაძის საკუთრება. ამიტომ ჩემს მიერ შეტანილ 19 საჩივარზე, 2012 წლის 31 ოქტომბრიდან დღემდე, იუსტიციის მინისტრისა და მთავარი პროკურორის სახელზე, არ მიმიღია არც ერთი პასუხი და გამოძიებული არაა არც ერთი უკანონო საქმე. სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება ხელთ მაქვს.

დღესდღეობით რეესტრის ხელმძღვანელობა, გ. ამისულაშვილი, არ მაძლევს ბინადრობის უფლებას.

მოვითხოვ მომცეთ ბინადრობა (ამაზე კანონიერად მაქვს უფლება), რადგანაც ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ვცხოვრობ საქართველოდან გაუსვლელად და მაქვს მისამართი, სადაც შეიძლება დავრეგისტრირდე. მე კი ვალდებული ვარ, დავიბრუნო და ავაღორძინო ოთარ გორდელის სახელობის სალონ-მუზეუმი „შემოქმედება“.

ხელზე მაქვს სააღსრულებო ფურცელი 09.01.2008, რომელის არის იძულებით აღსრულების სტადიაზე დაპატენტებული პროექტების მითვისების გამო, კულტურის სამინისტროს მოვუგე 81 ათასი აშშ დოლარი. ვარ ავტორი ახალი სინთეზური საკონცერტო შესრულების ფორმის, რომელიც შევქმენი აკად. იოფეს „ხელოვნების სინთეზური თეორიის“ მიხედვით, მაგრამ დღემდე მოგებული თანხა არ მიმიღია, რადგანაც კულტურის სამინისტროს მთავარმა იურისტმა თემურ ჩიხრაძემ ბოროტად გამოიყენა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა. ორჯერ უხეშად დაარღვია ორი მთავარი კანონი და დააბრუნა საქმე სააპელაციო სასამართლოში. პირველი კანონი — ვადა იყო გასული — სააღსრულებო ფურცელი უკვე ორი თვე იყო „იძულებითი აღსრულების სტადიაში“, მეორე კანონი — მას არ ჰქონდა არც ერთი ახალი გარემოება და ეს იურისტი დღესაც მთავარი იურისტია კულტურის სამინისტროში. ეს საქმე, 2011 წლის ნოემბერში ადვოკატ სანდრო ბარამიძის მიერ, გაგზავნილია სტრასბურგში.

მოვითხოვ, აღიძრას სისხლის სამართლის საქმე ეგიაზარ ბაღდასაროვისა და ალექსი ბუზოღლის მიმართ ჩემთვის უძრავმოძრავი ქონების წართმევის გამო, ასევე ნოტარიუს ლელა გაზდელიანისა და ნიკანორ მელიას წინააღმდეგ, რათა აღვადგინო ო. გორდელის სახელობის სალონ-მუზეუმი „შემოქმედება“ და დავიბრუნო დაკარგული ადამიანური უფლებები.

წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული ვიქნები, როგორც რუსეთის მოქალაქემ დახმარებისთვის მივმართო რუსეთს.

*საქართველოს დამსახურებული არტისტი, რუსეთის მოქალაქე*
***ლალი მიქავა-გორდელი,***
*მცხ. ბ. ჭიჭინაძის ქ., 19, ბ.8,*
*ტელ.: 555 988 135*

# თანამედროვე სკოლა მტკივნეულ ფაზაშია?!

***განათლების სისტემაში აქტიურად ტარდება რეფორმები: იქნება ეს სასწავლო წლის ხანგრძლივობის ზრდა, უცხო ენის დამატება დამამთავრებელ კლასებში, მასწავლებლების სერტიფიცირება და სხვა.***

***ამ და სხვა თემებდან დაკავშირებით 175-ე საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ თინათინ ალავიძეს ვესაუბრეთ:***

**— ქალბატონო თინათინ, როგორც გავიგეთ, განსახორციელებელ რეფორმებს შორის არის მედიკოსების ოთახი სკოლაში. რა პრინციპით მოხდება მედიკოსების შერჩევა? რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილონ?**

— მედიკოსების შერჩევა უკვე მოხდა. კონკურსი ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ ჩაატარა. ზუსტად არ ვიცი, რა კრიტერიუმები იყო, იმიტომ, რომ ჩვენ არ ვართ ამ პროგრამაში ამ ეტაპზე ჩამჯდარი.

**— რამდენიმე წლის წინ ფსიქოლოგიის კაბინეტი ფუნქციონირებდა მოსწავლეებისთვის, დღეს თუ არის ფსიქოლოგიის კაბინეტი სკოლაში?**



— ფსიქოლოგის კაბინეტი სკოლაში დღეს არ არის, მაგრამ განათლების სამინისტროს მანდატურის სამსახურთან არის შექმნილი სპეციალური ფსიქოლოგიური სამსახური. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა უკავშირდება მათ და ფსიქოლოგთა ჯგუფი გვიწევს მომსახურებას.

**— განათლების სისტემაში აქტიურად ტარდება რეფორმები. რამდენად მისაღებია თქვენთვის რეფორმების ხშირი ცვლა?**

— რეფორმები ტარდება. მაგრამ ცვლა, როგორც ასეთი, იცით, როგორ არის? კვლევების საფუძველზე ხდება. რეფორმა ტარდება. რეფორმა უნდა ეფუძნებოდეს კვლევას. რეფორმას განვითარება უნდა მოჰყვეს. ახლა განვითარების პროცესი მიმდინარეობს და არ არის ძალიან განსხვავებული იმისგან, რითაც დავიწყეთ. ნელ-ნელა მოვიწევთ წინ.

**— როგორ ხვდებიან ბავშვები სიახლეებს?**

— ბავშვებისთვის სიახლეები უმტკივნეულოდ ხდება. გაკვეთილი უფრო მეტად თავისუფალია, მათ უფრო მეტად შეუძლიათ თავისი აზრის დაფიქსირება. მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ურთიერთობა უფრო პარტნიორული ხდება. ძირითადი აქცენტი არის გადატანილი წაკითხულის გააზრებაზე — თუ როგორ გაიგო მოსწავლემ. ვფიქრობ, ბავშვებს ეს უფრო მოსწონთ. ადრე თუ გაკვეთილზე აქტიური იყო მასწავლებელი, ახლა ვცდილობთ, პირიქით იყოს.

**— შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვის არის თუ არა სპეციალური პირობები შექმნილი?**

— სხვათა შორის, ისეთ საკითხებს აყენებთ, რაც თანამედროვე სკოლისთვის მტკივნეულია: იმ კუთხით, რომ არის დაწყებული მუშაობა ამ მიმართულებით, მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ მოსაწესრიგებელია. ჩვენ გვყავს სკოლაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები. მათ შორის, ორი ისეთი, რომელიც ეტლით გადაადგილდება. ის, რაც ჩვენ ამ ეტაპზე მოვახერხეთ, მათთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმაა. თუმცა დიდად არ საჭიროებენ (მხოლოდ სპორტის გაკვეთილებზე). სკოლის კორპუსში რომ იმოძრაონ, ამის საშუალება, სამწუხაროდ, არ გვაქვს. მათ თანაკლასელები, მშობლები, მასწავლებლები ეხმარებიან. ვფიქრობდი იმაზე, რომ კიბეებზე პანდუსებისმაგვარი გამეკეთებინა, მაგრამ არ ხერხდება. ერთადერთი გამოსავალი, ალბათ, არის ლიფტი, რომელიც შენობას უნდა მოედგას. გვაქვს ამისი გაკეთების იდეა და, ალბათ, განვახორციელებთ განათლების სამინისტროს დახმარებით. იმედია, ამ საქმეში სხვა ორგანიზაციებიც დაგვეხმარებიან.

**— რა სიახლეებია მასწავლებელთა სერტიფიცირებასთან დაკავშირებით?**

— სტრუქტურა ადრე ასეთი იყო: მასწავლებელს ჰქონდა ორი გამოცდა ჩასაბარებელი. ერთი გამოცდით მოწმდებოდა მისი პროფესიული უნარები და მეორე გამოცდით — საგნობრივი კომპეტენცია. ახლა დატოვებულია მხოლოდ საგნობრივი კომპეტენცია. მასწავლებელთა კვალიფიციურობის ჩარჩო სხვა ფაზაშია გადასული. სხვა სტრუქტურას გვთავაზობს სამინისტრო. აქ საუბარია იმაზე, რომ მასწავლებელი მუდმივად უნდა მოშაობდეს საკუთარი ცოდნის გაღრმავებაზე და ამ მუშაობის პროცესში მას ენიჭება კრედიტ-ქულები. ასე ხდება მასწავლებლის აღიარება და დაფასება.

**თამარ გულიაშვილი**
598 76 01 83

# პაატა იმნაძე: საქართველოში „ებოლას“ ვირუსის გავრცელების საშიშროება ნაკლებად არსებობს

უცხოური გამოცემების მიხედვით, მსოფლიოში ფეხს იკიდებს ტერორიზმის ახალი სახეობა – ბაქტეოროლოგიური იარაღი. 2001 წელს, ნიუ-იორკში მომხდარი ტერაქტიდან რამდენიმე კვირაში, სახელმწიფო უწყებების სხვადასხვა სამსახურებში იღებდნენ ამანათებს და წერილებს, რომლებშიც თეთრი ფხვნილი იყო. როგორც აღმოჩნდა, ეს თეთრი ფხვნილი ჯილეხის ბაქტერიებით იყო გაჯერებული. ძიებით დადგინდა, რომ ბაცილას ავრცელებდა ერთადერთი დახურული სისტემის ლაბორატორიის თანამშრომელი. გამოდის, რომ ტერორისტებს ხელი თითქმის ყველგან მიუწვდებათ.



ანალიტიკოსების და სპეციალისტების შეშფოთებას სწორედ ეს გარემოება იწვევს. მათივე განცხადებით, 300 გრამი ფხვნილით ჯილეხის დაავადებით რამდენიმე ასეული ათასი ადამიანის დაინფიცირება შესაძლებელი. ამის გარდა, ამერიკის და რუსეთის კვლევით ინსტიტუტებში დაცულია ყვავილის ( არ აგვერიოს ჩუტყვავილაში, რომელიც სახადი დაავადებაა) ბაქტერიებმა, რომლებსაც ხალხი „შავ ჭირს“ ეძახდა, გასულ საუკუნეში მსოფლიოში რამდენიმე მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. 70-იანი წლების ბოლოს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ყვავილი დამარცხებულად გამოაცხადა, ამიტომ ვაქცინაზე საკვლევი სამუშაოები შეწყდა. თუმცა ვაქცინა მხოლოდ რუსეთში მიიღეს.

ყვავილის ბაქტერიების დაცულობაზე გარანტიას ვერავინ იძლევა, რაც ამძაფრებს სპეციალისტების შიშს. თუნდაც ერთ დაავადებულს შეუძლია უდიდესი მსხვერპლის გამოწვევა. რომელიმე თვითმკვლელმა ტერორისტმა რომ დაიავადოს თავი და თუნდაც უბრალოდ იმოძრაოს ხალხმრავალ ადგილებში, კატასტროფა გარდაუვალი იქნება. ვირუსი სწრაფად ვრცელდება, დაავადებულის გამოვლენა ორი კვირის შემდეგ არის შესაძლებელი, როდესაც ადამიანს სხეულზე გაუჩნდება ჩირქოვანი გამონაყარი... შედეგის პროგნოზირება კი შეუძლებელია, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ყვავილის საწინაალმდეგო წამალი არ არსებობს. თუმცა, რომ არსებობდეს, რა რაოდენობის პრეპარატი იქნება აუცილებელი და იქნება თუ არა საკმარისი, ესეც საკითხავია.

როგორც უცხოური გამოცემები იუწყებიან, ამ ორი ვერაგი უძველესი ვირუსის გარდა, თანამედროვე ცხოვრებაში ბევრი ახალი ხელოვნურადაც არის გავრცელებული. ავიღოთ შიდსი, ქათმის და ღორის გრიპები. უცხოელი კოლეგების და მათი რესპონდენტების განცხადებით, „ქათმის გრიპი“, ძირითადად, ჩინეთში მძვინვარებდა. ამბობენ, ხელოვნურად იყო გავრცელებულიო. მეცნიერების განცხადებით, „ქათმის გრიპი“ ფრინველისგან ვრცელდება. ჩინეთში კი იყო შემთხვევა, როდესაც დაავადებულს ფრინველებთან არანაირი შეხება არ ჰქონდა. სწორედ ეს გახდა ეჭვის საბაბი, დაავადება ხელოვნურად გაავრცელესო. მათივე თქმით, ჩინეთში მოკლე დროში შეძლეს ვაქცინის შექმნა, თორემ შედეგი კატასტროფული იქნებოდაო. ალბათ, სწორედ ეს გარემოება გახდა საბაბი იმ განცხადებისა, რომელიც „ნაცმოძრაობის“ ჯანდაცვის მინისტრმა 2006 წლის ახალი წლის დღეებში გაავრცელა. თუმცა მან ჯერ, ალბათ, არ იცოდა, რომ ის ვირუსი, ძირითადად, ჩინელებისთვის იყო შექმნილი...

დღეს აფრიკის ქვეყნებში ე. წ. „ებოლას“ ვირუსი მძვინვარებს. როგორც ამბობენ, ახალი სულაც არ ყოფილა და ოთხი ათეული წელია იცნობენ, თუმცა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის წარმოებაზე არავის უფიქრია. ფარმაცევტული კომპანიები ვაქცინის არამომგებიანობას იმიზეზებენ. გამოდის, მათთვის მთავარი ფინანსური მოგებაა და არა ხალხის სიცოცხლე. იმასაც ამბობენ, ზოგიერთი ცნობილი მილიარდერი შეშფოთებული ყოფილა პლანეტაზე მოსახლეობის ზრდით და ხელოვნური შემცირების მომხრეები არიანო.



უნებლიედ ჩნდება კითხვა, რა შუაშია აქ საქართველო. დავიწყოთ იმით, რომ თბილისის შემოგარენში არის ბაქტეოროლოგიური ლაბორატორია, რომელიც მოსახლეობისთვის დახურულია და რა სამუშაოები მიმდინარეობს იქ, უცნობია. როგორც ამბობენ, უცხოელი მეცნიერებიც მუშაობენ ჩვენს ლაბორატორიაში. მართალია, ნებისმიერი სამეცნიერო დაწესებულება, სადაც საიდუმლო სამუშაოები მიმდინარეობს, მკაცრად არის დაცული, მაგრამ ბაცილის გატანის აღკვეთის გარანტიას წამყვანი ქვეყნების სპეცსამსახურებიც ვერ იძლევიან.

ლაბორატორია ერთი, მაგრამ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე საომარი მოქმედებები სულ უფრო უახლოვდება ჩვენი ქვეყნის საზღვრებს. ვითარებას ის გარემოებაც ართულებს, რომ ერაყსა და სირიაში ვინ ვის ებრძვის, თავადაც ვერ გაუგიათ. ამასთან, რადიკალური ისლამი, რომელსაც თავად მუსულმანური ქვეყნებიც ებრძვიან, სულ უფრო იკიდებს ფეხს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში საქართველოს ბევრ ქვეყანასთან უვიზო რეჟიმი აქვს. დავუმატოთ ქვეყნის არანაკლებ საშიში შინაური მტერი „ნაცმოძრაობის“ სახელით რომ არსებობს და რომელიც ქვეყანაში არეულობებით იმუქრება. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, რამდენად მზად არიან ქართველი სპეცსამსახურების თანამშრომლები და შეძლებს თუ არა საქართველო მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან აცილებას, რომლებიც შიგნიდან თუ გარედან მრავლად გვაქვს.

საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი **პაატა იმნაძე** კი აცხადებს:

– „ებოლას“ ვირუსი, მოგეხსენებათ, ძირითადად, გავრცელებულია აფრიკის ქვეყნებში. ჩვენ გავითვალისწინეთ ჯანდაცვის მსოფლიოს ფედერაციის რეკომენდაციები და ვახორციელებთ სათანადო ზომებს. კერძოდ, საბაჟო სამსახურთან არიან ექიმები, რომლებიც ახორციელებენ ვიზიტორების მკაცრ შემოწმებას. განსაკუთრებულ დაკვირვებას ვაწარმოებთ საქართველოს თუ უცხოელ მოქალაქეებზე, რომლებიც სახიფათო ზონებიდან შემოდიან ჩვენს ქვეყანაში. მკაცრი კონტროლიდან გამომდინარე, ვფიქრობ და ვიმედოვნებ, რომ საქართველოში ამ საშიში ვირუსის გავრცელების საშიშროება ნაკლებად არსებობს.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# სამადლობელი წერილი ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ქალბატონ ეკატერინე ხვედელიძეს და მათ შვილებს

ბატონო ბიძინა, ძალიან დიდ მადლობას გიხდით გურიიდან, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავიდან.

თქვენ უდიდეს პატივისცემას იმსახურებთ, რაც საქართველოს გაუკეთეთ წლების მანძილზე და განსაკუთრებული მადლობა იმისთვის, რომ ქალბატონ ეკატერინესთან ერთად უშიშრად შეეჭიდეთ იმ სასტიკ, რომელმაც დანგრევამდე მიიყვანა ჩვენი ქვეყანა.

ჩვენ ვრცელი სამადლობელი წერილი მამა ბართლომეს კურთხევით გამოგიგზავნეთ. რაც მნიშვნელოვანია ამ წერილში, არის ქალბატონ ეკატერინესთვის ხატი, რომელიც მან დაიმსახურა გამოჩენილი ღვაწლისთვის.

ეს არის განსაკუთრებული ხატი.

თქვენმა ოჯახმა დაიმსახურა ამ ხატის მიღება.

თქვენ იყავით გურიაში ნოდარ დუმბაძის დაბადების დღეზე. არავის არაფერი უთხოვია, თქვენი ნებით თქვით, რომ გააკეთებდით გზას ნოდარის სახლ-მუზეუმამდე. ასეც მოხდა. თქვენ დაეხმარეთ სოფელ ხიდისთავში მშენებარე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას, ერკეთის დედათა მონასტერში გაიყვანეთ გზა, ასევე გაიყვანეთ გზა ღორთაფონის მამათა მონასტრისკენ. ეს გზები კილომეტრებს ითვლის.

ყველაფერი კი ისე გაკეთდა, რომ გურიაშიც კი არ იცის ხალხმა, არათუ საქართველოში, გაკეთდა ჩუმად, ყოველგვარი ხმამაღალი განცხადებების გარეშე, როგორც გჩვევიათ. თქვენ ხომ ასე იცხოვრეთ წლების მანძილზე, ღვთის მადლით, თორემ ამას ადამიანი ვერ შეძლებდა, ამდენი გაკეთებული სიკეთე რომ დაემალა.

ბატონო ბიძინა, დღეს ხიდისთავში წმ. გიორგის სახელობის ეკლესია მშენებლობის პროცესშია, მაგრამ მშენებლობა შეჩერებულია.

თუ ის დროულად არ დამთავრდა, წვიმასა და თოვლში, მოსალოდნელია, დაიშალოს.

იმედი გვაქვს, რომ წმინდა გიორგის სახელზე ჩვენს სოფელშიც აღვავლენთ ლოცვას საქართველოს, თქვენი და თქვენი ოჯახის კეთილდღეობისთვის.

**ხიდისთაველების სახელით, ეკა გოგიბერიძე**
597 395 656

## თინიკო კიკუტაძის გახსენება

1 სექტემბერს, ჩემო დაო, უშენოდ შენი დაბადების დღე აღვნიშნეთ შენი გულგატეხილი ოჯახის წევრებმა. შენს საფლავთან ყვავილებით მივედით და თვალცრემლიანებმა დავტოვეთ იქაურობა, ჩვენო ტკივილიანო ადამიანო, თიკო!

შენი დედმამიშვილები

დოდო ყენიას სამძიმარს ვუცხადებთ მეუღლის,

**ოთარ მამასახლისის**

გარდაცვალების გამო და თანავუგრძნობთ განსვენებულის ოჯახს.

მერი კიკუტაძე

ავეჯის გადაზიდვა



593 20 46 87

# მოგზაურის დღიურიდან

**პროფესიით ჟურნალისტს წლების განმავლობაში ტურისტულ სააგენტოში მომიწია მუშაობა, რისი წყალობითაც არაერთ ქვეყანაში ვიმოგზაურე და უამრავ საინტერესო ადამიანსა და ფაქტს გადავაწყდი.**

**ამ პატარა მოგონებით ვიწყებ წერილების სერიას ჩემი მოგზაურობების ჩანაწერებიდან, რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ქართველები დედამიწაზე არცთუ ისე პარადოქსული ხალხი ვართ და ამ ცისქვეშეთში ათასგვარი უცნაურობებით გამორჩეული სხვა ბევრი ხალხიც ბინადრობს.**

ღრმად დავრწმუნდი, რომ საქართველოში ჰოლანდიაზე გადაჭარბებული წარმოდგენა აქვთ. მეტიც, იმდენად აღვშფოთდი იქაური მოჭარბებული თავისუფლებით, რომ ერთი გაფიქრება ბილეთის გადაცვლა და დროზე ადრეც უკან დაბრუნებაც განვიზრახე. მაგრამ ისევ ცნობისწადილმა მძლია — კიდევ ბევრი რამ მაქვს სანახავი-მეთქი.

მოკლედ, ჩასვლისთანავე თვალში შემეჩხა ჩემთვის გაურკვეველი დანიშნულების აბსოლუტურად ღია „ყუთი“. კარგად დავაკვირდი, მისი დანიშნულება ვერ გავიგე და ის იყო, სხვა რამეზე უნდა გადამეტანა ყურადღება, რომ მას სოლიდური ასაკის მამაკაცი მიუახლოვდა და ბუნებრივი მოთხოვნილება პირდაპირ ხალხის თვალწინ, დაუფარავად დაიკმაყოფილა. იმდენად გავოგნდი, რომ მამაკაცს თვალი ვერ მოვაშორე, რაც იმანაც შენიშნა და ჩემი მისამართით უკმაყოფილება გაურკვეველი ბურტყუნით გამოხატა. ცნობისთვის: ჰოლანდიაში უტაქტობად მიაჩნიათ, ქუჩაში არა, ვთქვათ, ხვევნა-კოცნა, არამედ ის, თუკი ვინმე ასეთ აქტს შეხედავს და დააკვირდება. გამორიცხული არ არის, სადმე ქუჩაში შეყვარებული მამაკაცების წყვილსაც შეხვდეთ, რომლებიც მოზღვავებულ სიყვარულს პირდაპირ ადგილზევე იკმაყოფილებენ. ასეთი საქციელი ჰოლანდიურ საზოგადოებაში სამარცხვინოდ არ ითვლება. ვიმეორებ, უზრდელობაა მხოლოდ ის, თუ ასეთ ქმედებას დააკვირდებით და თვალს ვერ მოწყვეტთ. ამისთვის შეიძლება შენიშვნაც კი მოგცენ. წინასწარ დაჯავშნული სასტუმროსკენ ავიღე გეზი და გზის გაკვლევა ვცადე. დიდი ბოდიშის მოხდით გამვლელ-გამოვლელს ვეკითხებოდი, თუ როგორ, რომელი ტრანსპორტით მივსულიყავი სასურველ ადგილზე, მაგრამ ჩემს პრობლემას არავინ აუღელვებია, დროს უქმად არავინ კარგავდა. ბოლოს ერთმა ღვთისნიერმა, პოლიციელს მიმართეო, — დამარიგა. მოგეხსენებათ, ამსტერდამის აეროპორტი ევროპაში სიდიდით ერთ-ერთი გამორჩეულია. ამხელა შენობას რამდენჯერმე შემოვუარე, მაგრამ სამართალდამცველს ვერსად მივაგენი. მოგვიანებით გავარკვიე, რომ ისინი მონიტორებთან სხედან და იქიდან ადევნებენ თვალს გამვლელ-გამოვლელს. ჰოლანდიაში პოლიციელის ნახვა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუკი, ვთქვათ, სკანდალი ატყდება ან ვინმე მათთვის „საეჭვო“ გამოჩნდება. საბოლოოდ ისევ ქართულ ხერხს მივმართე და სასტუმროში ტაქსით გავემგზავრე. აქაც არ გამიმართლა. მძღოლი თურქი აღმოჩნდა, შემოვლითი გზებით მიმიყვანა დანიშნულების ადგილზე და ისედაც ძვირი სიამოვნება კიდევ უფრო ძვირი დამიჯდა. მძღოლის თავხედობაში მაშინ შემეპარა ეჭვი, როცა მრიცხველზე აღნიშნულ თანხაზე მეტი მომთხოვა: — საქართველოში ნამყოფი ვარ და ვიცი, ასეთი წესიაო, — მითხრა. ასე დაიწყო ჩემი ტურისტული ვიზიტი ამსტერდამში, რაც მრავალჯერ მოსმენილისა და ფანტაზიაში დახატულისგან რადიკალურად განსხვავდებოდა. გამიმართლა მხოლოდ იმაში, რომ ქალაქის ცენტრში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სასტუმრო „აიაქსში“ მოვხვდი, სადაც თავაზიანად შემომთავაზეს: გაქირავებაში ველოსიპედიც გვყავსო. რა თქმა უნდა, ასევე თავაზიანად, უარი ვუთხარი. გაიკვირვეს. ქალაქის ღირსშესანიშნაობების დათვალიერებისას, ველოსიპედით მოსიარულემ რამდენჯერმე უხეშად ამიქცია გვერდი და გაღიზიანებულმა, თავიც გააქნია. ვიფიქრე, ესეც საპირფარეშოს ვარიანტია და ყურადღება არ უნდა მივაქციო-მეთქი. თუმცა, იგივე კიდევ განმეორდა. მოგვიანებით, ეს ერთგვარად პარადოქსული შემთხვევა ჩემმა მასპინძელმა, უკვე ჰოლანდიის მოქალაქემ, ვალერი ნანობაშვილმა განმიმარტა: ჰოლანდიაში გზა სამ ნაწილად იყოფა, პირველ ზოლზე ტრამვაი დადის, მეორეზე ავტობუსი და ავტომანქანები, ხოლო მესამე, არცთუ ვიწრო ბილიკი, ველოსიპედისტებისთვის არის განკუთვნილი, სადაც ფეხით მოსიარულეს ეკრძალება სიარული, ეს წესები უხეში დარღვევააო. შეგახსენებთ, ამსტერდამი ზღვის დონიდან დაბლაა გაშენებული, სულ სწორი გზაა, აღმართ-დაღმართი არ გვხვდება, ამიტომ ტრანსპორტის ამ სახეობით სიარული გამართლებულია, რაც ერთგვარი ჯანმრთელობაცაა. სხვათა შორის, ველოსიპედით იქაური მაღალჩინოსნებიც სარგებლობენ.

ჩემმა ქართველმა მასპინძელმა, რომელმაც ჰოლანდიური წესები და ჩვევები კარგად იცოდა, კიდევ ბევრი უცნაურობების შესახებ მიამბო. მაგალითად, იქ, ფაქტობრივად, არ არსებობს ოჯახი. წყვლი ცხოვრობს იქამდე, სანამ სექსუალურად თავსდებიან ერთმანეთთან, ანუ ქმნიან ე. წ. სამოქალაქო ოჯახს, რაც ხშირად ინგრევა ხოლმე. გაშორების შემდეგ ბავშვს დედა ზრდის, მამა კი ფინანსურად ეხმარება, უფრო მყარი, სტაბილური „ოჯახები“ აქვთ, ერთი სქესის წყვილებს, რომლებსაც თურმე, როგორც იქ გავიგე, უზომო, გასაოცარი სიყვარული შეუძლიათ. ახლა რაც შეეხება ჰოლანდიურ პარადოქსს ანუ ნარკოტიკს და იქ ჩასული ქართველების დამოკიდებულებას ამ სენის მიმართ. მოგეხსენებათ, ჰოლანდია მსოფლიოში თითქმის ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ნარკოტიკების მიმართ ხელისუფლება ლოიალურადაა განწყობილი. თუმცა, ესეც მხოლოდ მოსაწევ თრიაქზე, იგივ „პლანზე“ ვრცელდება. ამსტერდამში თითქმის ყველა ქუჩაზე შეხვდებით „კოფე-შოპს“, სადაც ბარმენი თუ სხვა მომსახურე პერსონალი შემოგთავაზებთ მენიუს. იქ კი მარიხუანას შესახებ მცირეოდენი განმარტებაა, ანუ როგორაა მოყვანილი, რა თვისებები აქვს მას და ა.შ. იქაურები ფიქრობენ, რომ თრიაქი „უნკ-ნარი“ ზოგიერთ შემთხვევაში, სასარგებლო ნარკოტიკია, რომელიც მომხმარებელმა რამდენიც უნდა მოწიოს, მასზე დამოკიდებულს არ გახდის, ანუ არ აჩენს აბსიდენციის სინდრომს. თუმცა ისინი ასე არ ფიქრობენ სხვა, გაცილებით ძლიერ ნარკოტიკზე, ვთქვათ, შესასუნთქ კოკაინზე, ან ჰეროინზეც. ასეთი ძლიერმოქმედი საშუალებების მიმართ რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულებაა. მიუხედავად ამისა, ამსტერდამის ერთ-ერთ ყველაზე საამაყო ე. წ. „ვარდისფერ ბულვარში“ სეირნობისას ჩემს მასპინძელს არაერთხელ შესთავაზეს კოკაინიც და ჰეროინიც. უართან ერთად ვუთხარით: — არ გეშინიათ, რამდენიმე მეტრში ცხენზე ამხედრებული პოლიციელის-თქო? — ის მოშორებითააო, — მოგვიგო მან და სასწრაფოდ გასცილდა იქაურობას. იმ ე. წ. „ვარდისფერ ბულვარში“ არაერთი პოლიციელი შეგვხვდა, თუკი მათი ხილვა სხვაგან ფუფუნებაა, აქ ისინი, პირიქით, ყოველ ფეხის ნაბიჯზე დგანან, რადგან ეს უბანი ამსტერდამის სიამაყეც არის და, ამავე დროს, მცირეოდენი სირცხვილიც. აქ მიმდინარეობს ყველა სახის აღებ-მიცემობა. ფანჯრებიდან მეძავები გამვლელ-გამოვლელის შეცდენას ცდილობენ, სანაცვლოდ გრანდიოზული სიამოვნების მიღებას ჰპირდებიან. მომსახურება იმაზეა დამოკიდებული, რამდენს გადაიხდი. მოკლედ, აქ ყველაფრის ყიდვა შეიძლება. თუკი, ვთქვათ, უცხოელს დაიჭერენ დაშვებული ნარკოტიკის შეძენაზე, მას განყოფილებაში მიიყვანენ, აუხსნიან მისი მავნებლობისა და ჯანმრთელობის დაზიანების შესახებ და უკან იძულების წესით დააბრუნებენ, — ამიხსნა ჩემმა მასპინძელმა ვალერი ნანობაშვილმა. თუმცა, ესეც იშვიათად ხდება, რადგან აქ პოლიციელები, ძირითადად, აქცენტს ადამიანის უფლებების დაცვაზე იღებენ, ანუ გააკეთე ის, რაც გინდა, ოღონდ სხვას ხელი არ შეუშალო, სიმყუდროვე არ დაურღვიო. საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, ბულვარში ვერც ერთი ქართველი ვერ ვნახეთ, თუმცა, ამის მცირეოდენი იმედი გვქონდა. აქ უცნობ ქართველებთან ურთიერთობა არ შეიძლება, მოგატყუებს ან რამეში გადაგაგდებს, — მიხსნის ნანობაშვილი. მიუხედავად ამისა, მასპინძელი მაინც დავითანხმე და ლტოლვილთა იმ უბანში გავემგზავრეთ, სადაც ემიგრანტების უმრავლესობა მოქალაქეობას ელოდება. ლოდინი ხშირად იმით მთავრდება, რომ პასუხი უარყოფითია და დეპორტით უკან ამგზავრებენ.



**რა პირობებში ჰყავთ ჰოლანდიაში ქართველი ემიგრანტები და ნარკომომხმარებლები**

ლტოლვილთა დასახლებაში ნანობაშვილმა თავისი ყოფილი ინსპექტორი ნახა, რომელიც, ძირითადად, კავკასიიდან გადმოსახლებულ ემიგრანტებზე მუშაობდა. ქალბატონი ილონა ადვილად დაგვთანხმდა გასაუბრებაზე: — კავკასიიდან გადმოსახლებული მამაკაცების დიდი ნაწილი ძლიერი ნარკოტიკის მომხმარებელია, — თქვა მან და განაგრძო, — ისინი შეცდომაში არიან შეყვანილნი, რადგან ჰგონიათ, რომ აქ, ჰოლანდიაში, ინტრავენური ნარკოტიკის მოხმარება დაშვებულია, ამიტომ დაუფარავად აცხადებენ, რომ ამ სენით დაავადებულნი არიან. ჩვენ იძულებულები ვართ, მათი მოთხოვნა დავაკმაყოფილოთ, მაგრამ ასეთ ადამიანებს, როგორც წესი, უარს ვეუბნებით თავშესაფარზე. ჰოლანდია მხოლოდ ისეთ პირებს აძლევს თავშესაფარს, რომლებსაც, ამა თუ იმ მიზეზის გამო, თავის ქვეყანაში სიცოცხლის საფრთხე ექმნებათ, ან თავისუფლება ეზღუდებათ. ვცდილობთ, შევარჩიოთ ისეთები, რომლებიც საზოგადოებისთვის მისაღებია, თქვა ინსპექტორმა, თავაზიანად მოგვიბოდიშა და შენობაში შევიდა. მცირეოდენი განმარტება ჩემმა მასპინძელმა გააკეთა: — ინტერვიუს შევსების დროს ემიგრანტს ეკითხებიან, მოიხმარს თუ არა ნარკოტიკს, თანხმობის შემთხვევაში, მისთვის შეაქვთ იმ ოდენობაზე მეტი, ვიდრე მას სჭირდება და ასე გრძელდება იქამდე, სანამ თავისი ნებით არ იტყვის უარს, ან არ მოკვდება. ეს ახალი წესია, აქამდე კი პირიქით იყო, დოზას ნელ-ნელა უმცირებდნენ, ახლა კი ზედმეტ ტვირთს თავიდან იშორებენ. თუმცა ამის შესახებ ხმამაღლა არავინ საუბრობს, ეს ერთგვარი საიდუმლოა, — მითხრა ნანობაშვილმა. ემიგრანტები არცთუ სახარბიელო პირობებში ცხოვრობენ. ცხენების ყოფილ თავლაში, რაც უსასრულოდ გრძელი შენობაა და თანაც ათასი ჯურის ხალხია შეყრილი — შავი, ყვითელი თუ თეთრკანიანი. იატაკიდან ჭერამდე, მთელ სიგრძეზე, საწოლებია ჩალაგებული, რრომ იტყვიან, ერთმანეთს ასხედან თავზე. ამას ერთვის საზარელი სუნი, რაც ემდენი ადამიანის ერთად ყოფნას ახასიათებს. საგულისხმოა ისიც, რომ ზოგიერთი მათგანი საერთოდ არ იბანს. მოკლედ, ენით აუწერელი ვითარებაა და ხშირად ემიგრანტებს ასეთ პირობებში, წლების მანძილზე უხდებათ ცხოვრება. საბედნიეროდ, იქ ქართველი ვერ აღმოვაჩინეთ, მაგრამ სხვა, დაახლოებით ისეთივე, ოღონდ გაუმჯობესებულ შენობაში თანამემამულეები დაგვხვდნენ. ქართველებს ჩვენი დანახვა არ გახარებიათ, ემიგრანტებად ჩაგვთვალეს. დიალოგის გამართვაც გაგვიჭირდა, მხოლოდ ერთმა გაგვიმხილა გულისნადები: თუ საშუალება გაქვთ, დროზე გაასწარით აქედან, ვალით რომ არ ვიყო ჩამოსული, დღესვე გავიქცეოდიო. გაირკვა, რომ რამდენიმე დღის წინ ახალგაზრდა ქართველი ნარკოტიკს მოუკლავს. ცხედარი დიდი წვალებით გადაუსვენებიათ. იმდენად მძიმე გვეჩვენა ვითარება, რომ საუბრის გაგრძელების სურვილი არავის გაგვჩენია. დაბოლოს, განმარტებისთვის: ჰოლანდიაში ნარკოტიკის ლეგალიზება გარკვეულწილად, ჩვენებურ ლუსტრაციას ჰგავს, რადგან მის წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრი მოქმედებს, ანუ მსურველს შეუძლია მოიხმაროს ნარკოტიკი, მაგრამ მას სამსახურში კონტრაქტს არ გაუფორმებენ, სამუშაოდ არ მიიღებენ, არ დაპატიჟებენ წვეულებაზე და ა. შ. ასეთი ადამიანი საზოგადოებიდან იგნორირებულია.

**თამაზ ხაბეიშვილი**
571 00 06 78

(გაგრძელება იქნება)

ISSN 2233-3983
9 772233 398001

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

# პატრიოტი

„საერთო გაზეთის“ დამატება

№33, ოქტომბერი, 2014 წ.

# „სამშობლო, როგორც უფალი...“

ვახტანგ ხარჩილავა



**– შვილი დედამ უნდა გაზარდოს!** – თქვა ერთ ტელეგადაცემაში **ბიძინა ივანიშვილმა** და მერე დიდხანს ამტკიცებდა, თუ რატომ არის აუცილებელი, რომ შვილი დედამ გაზარდოს.

ბევრმა გაიოცა და გაიკვირვა მაშინ – შვილი დედამ რომ უნდა გაზარდოს, ეს ხომ ისედაც ყველამ ვიცით. ამაზე ლაპარაკი და ამისთვის ხაზგასმა რა საჭიროაო?

**კი, შვილი, დედამ რომ უნდა გაზარდოს, ეს ყველამ ვიცით, მაგრამ საქართველოში დღეს შექმნილი რეალობის წყალობით საქმე ისე წავიდა, რომ ქვეყანაში უდედოდ გაზრდილი მთელი თაობები გაჩნდა** – დედები უცხოეთში არიან გადახვეწილნი, რომ იქიდან ოჯახს ლუკმა-პურის ფული მოაწოდონ, ბავშვებს კი ბებიები და ბაბუები ან დედის ფუნქციაშეთავსებული მამები ზრდიან.

ეროვნული ტრაგედიაა ეს, რომელსაც ისე შევეჩვიეთ, რომ ტრაგედიად არც აღვიქვამთ, რაც უკვე ცალკე ტრაგედიაა, რომელიც იმაზე მიგვანიშნებს, რომ დაჩლუნგების, სულიერი და გონებრივი ატროფიის ისეთ სტადიაში ვიმყოფებით, როცა რეალობაზე შესაბამისი რეაგირების და ტკივილის შეგრძნების უნარს ვკარგავთ.

**ხანდახან ვფიქრობ – ეს თავისუფლება და დამოუკიდებლობა ნუთუ იმისთვის გვჭირდებოდა, რომ თავისუფლება და დამოუკიდებლობა დაგვეკარგა და მასთან ერთად დაგვეკარგა საკუთარი სახე?**

ფაქტია, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენ ვერ მოვუარეთ ჩვენს ქვეყანას, ვერ ვუპატრონეთ ჩვენს თავს და რაღაც უცებ და ერთბაშად წავხდით.

ამ 25-30 წლის წინათ ვიღაცას რომ ეთქვა, ქართველი კაცი 25-30 წლის შემდეგ საკუთარი შვილების დედას, მეუღლეს, უღლის გამწევს, საზღვარგარეთ გაუშვებს ფულის საშოვნელადო, არ დავიჯერებდით.

– აბა, რა ვქნათ, აქ არაფრის საშუალება არ არის, შიმშილით ხომ არ დავხოცავთ ბავშვებს, ჩვენც ხომ სიცოცხლე და არსებობა გვინდა, – შემომეპასუხებიან, ალბათ, ვიღაც-ვიღაცები.

მესმის ამ ადამიანების და მათ განსჯას სულაც არ ვაპირებ.

მე სხვა რამ მაკვირვებს და მაოცებს, სხვა, ძალზე მტკივნეული და შიშისმომგვრელი კითხვები მიტრიალებს თავში, კითხვები, რომლებისთვისაც პასუხები ვერ მომიძებნია.

ქართველები უაღრესად ნიჭიერი ხალხი ვართ და ეს რომ ასეა, იმ ქართველების მაგალითზეც ჩანს, რომლებიც უცხო ქვეყნებში მოღვაწეობენ და თავიანთი ნიჭის წყალობით დიდ წარმატებებსაც აღწევენ.

კი, მაგრამ, ამ ნიჭიერ და სხვაგან წარმატებულ ქართველს რა ემართება აქ, საკუთარ სამშობლოში?

**ერი, რომლის შვილებიც უზარმაზარ იმპერიებს უშენებდნენ სხვებს, რატომ ვერ ახერხებს საკუთარ, ერთ ციცქნა ქვეყანას ისე მოუაროს, რომ მის მანდილოსნებს საზღვარგარეთ არ უწევდეთ გაქცევა შვილების გამოსაკვებად და ოჯახების გადასარჩენად?**

ერი, რომელიც სხვათა ომებში თავდადებით და თავგანწირვით იბრძოდა, რატომ არ იბრძვის აქ, საკუთარ სამშობლოში საკუთარი ღირსებისთვის, საკუთარი ბედნიერებისთვის, საკუთარი კეთილდღეობისთვის და რატომ ეძებს ამ ბედნიერებას და კეთილდღეობას მაინცდამაინც სხვაგან?

**– მე ამერიკის (გნებავთ, ესპანეთის, იტალიის, საბერძნეთის, საფრანგეთის) მოქალაქეობა მივიღე! – გაბადრული და ბედნიერი სახით გეტყვის ქართველი კაცი და იოტისოდენა სინანული და ტკივილი არ ეტყობა იმის გამო, რომ, მართალია, ამერიკის მოქალაქეობა კი მიიღო, მაგრამ საკუთარი სამშობლოს მოქალაქეობა დაკარგა.**

მას არ სტკივა და არ აწუხებს ის ამბავი, რომ არა მარტო თვითონ დაკარგა სამშობლო, არამედ სამშობლო დაუკარგა შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს, მთელ შთამომავლობას.

არადა, როგორც პოეტმა თქვა, „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა“.

რა გვჭირს, რა გვემართება, ასე რამ შეგვაძულა ქვეყანა, სადაც დავიბადეთ, სადაც გავიზარდეთ, სადაც ჩვენი ნათესავები, მეგობრები, ახლობლები ცხოვრობენ?

იქნებ ეს პროტესტის და შურისძიების გამოხატულებაა იმ სამშობლოს მიმართ, რომელმაც ვერ მოგვცა ის, რასაც მისგან ვითხოვდით?

კი, მაგრამ, ჩვენ რა მივეცით მას, ჩვენ რა გავიღეთ მისთვის და რატომ, რა უფლებით ვითხოვთ დაგვიბრუნოს ის, რაც მისთვის არ მიგვიცია?

რატომ ვუყურებთ დღეს ჩვენ ჩვენს სამშობლოს, როგორც სუროგატ დედას და არა, როგორც მშობელ დედას – ერთადერთს, შეუცვლელს, მარადიულს, ყველაზე მთავარს და ყველაზე მნიშვნელოვანს?

2 gv.



ძვირფასო მეგობრებო, შემოგვიერთდით გაზეთ „პატრიოტის“ მეგობართა კლუბში.
ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
593 44 04 01; 597 93 93 79; (2) 14 40 19; (2) 34 28 97.
რედაქციის მისამართი: თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ., 164, II სართ.

# „სამშობლო, როგორც უფალი...“

1 gv.

* * *

ქართველი ქალბატონები ვახსენეთ ზემოთ, რომლებიც მთელ მსოფლიოს არიან მოდებულნი, რომ როგორმე ორიოდე გროში იშოვონ და საქართველოში დარჩენილ ოჯახებს მიაწოდონ.

ისინი არანაირ სამუშაოს არ თაკილობენ, დღე-ღამეს ასწორებენ, ოღონდ სამშობლოში დარჩენილი ოჯახები გამოკვებონ, ბავშვებს ჩააცვან, დაახურონ, ასწავლონ, ქმრებს სიგარეტის ფული გამოუგზავნონ...

**ეს ქალბატონები ნამდვილი გმირები არიან, რომლებმაც ნებაყოფლობით გაწირეს თავი ოჯახების გადასარჩენად და უფრო ფართო კუთხით თუ შევხედავთ ამ ფაქტს, საქართველოს გადასარჩენად.**

**ნახევარი საქართველო ამ ქალბატონების ცრემლებით დალტობილ პურს ჭამს და ეს ლუკმა არავის ეჩხირება ყელში.**

**ისეთი რა ვერაგი და ჭკვიანი მტერი ჰყავს ამ ქვეყანას, ასეთ დღეში რომ ჩაგვაგდო — ქმრებს ცოლები წაართვა, ბავშვებს დედები, ოჯახები გაყო და გაფანტა.**

უდედოდ გაზრდილი თაობები სამშობლოს ვერ შეიყვარებენ...

აკი, არც უყვართ უკვე იმ სიმძაფრით და იმ თავდავიწყებით, როგორც უნდა უყვარდეთ...

— მთავარია, ჩვენი შვილები თავისუფალ პიროვნებებად აღიზარდონ, მერე კი თვითონ გააკეთონ არჩევანი — გინდ ქალი შეიყვარონ, გინდ სამშობლო — ეს მათი საქმეა, — ბრძანა ერთმა ცნობილმა ქართველმა პოლიტიკოსმა.

ცუდად შეფარული ღალატის სუნი მცემს ამ სიტყვებში, ლამაზად შენიღბული და შეფუთული ამ სახიფათო კონცეფციის იქით კოსმოპოლიტური იდეოლოგიის აჩრდილი ილანდება.

**ადამიანი, რა თქმა უნდა, თავისუფალი უნდა იყოს, მაგრამ არა თავისუფალი სამშობლოს მსახურების მოვალეობისგან, რადგან ამ მოვალეობისგან თავისუფალი ადამიანი სინამდვილეში ადამიანი კი არა ბიოლოგიური არსებაა, რომელიც თავისი ეგოისტური ინსტინქტების დაკმაყოფილებისა და უზრუნველყოფისთვის ცხოვრობს მხოლოდ და სხვა პასუხისმგებლობა არავისა და არაფრის წინაშე არ გააჩნია.**

როცა თავისუფალ ადამიანზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში, ალბათ, ის უნდა გავარკვიოთ, რა არის თავისუფლება და ვინ არის ადამიანი?



სახელმწიფო ოჯახზე დგას, ოჯახი თვითონ არის მინისახელმწიფო და ამ მინისახელმწიფოების ერთიანობა ქმნის სწორედ ძლიერ და მონოლითურ სახელმწიფოს.

ამ ნახევრად დანგრეული ოჯახებისგან რა სახელმწიფო უნდა აშენდეს?

ამ თავგანწირულ ქალბატონებს ჰგონიათ, თავიანთი თავგანწირვით რაღაც სოციალური პრობლემები მოაგვარეს, მაგრამ რა ვუყოთ იმ პრობლემებს, რომლებიც ამ ერთი შეხედვით ასე თუ ისე მოგვარებულ სოციალურ საკითხებს კვალდაკვალ რომ მოჰყვება?

საქმე ის არის, რომ სამშობლოს სიყვარულის დიადი და ყოვლისმომცველი გრძნობა, მრავალი ნიუანსის, მრავალი სიმის ერთად შემკრები და გამაერთიანებელი, პირველ ყოვლისა, დედამ უნდა გააღვივოს და აღზარდოს შვილში!

განცხადება, რომელიც იმ პოლიტიკოსმა გააკეთა, სინამდვილეში ათეისტის განცხადებაა, რომელმაც არ იცის, რომ ათეისტია და მორწმუნე ქრისტიანივით პირჯვარსაც იწერს, ეკლესიაშიც შედის, ლოცვებსაც უსმენს, მაგრამ, როგორც ვთქვით, სინამდვილეში ათეისტია, უფრო ზუსტად, გლობალისტია, რომელიც გლობალიზმის იდეოლოგიურ მამებს კუდს უქიცინებს და მათ ანტიკაცობრიულ მოძღვრებას მხარს უჭერს და დასტურს აძლევს.

* * *

**ერთ უცნაურ რაღაცას ვიტყვი: გასული საუკუნის 90-იან წლებში ეროვნული მოძრაობის დიდი ძალისხმევის შედეგად მოპოვებული თავისუფლება და დამოუკიდებლობა საქართველომ ერთ წელიწადში დაჰკარგა.**

დამოუკიდებელი საქართველო დემოკრატიის დაცვისა და გადარჩენის სახელით ამბოხებულმა ძალებმა (ძნელია მათ ქართველები უწოდო) დაიპყრეს და დაამხეს.

სულ ერთი წელი გასტანა ჩვენმა დამოუკიდებლობამ და მას შემდეგ ქართველი ხალხი, აგერ უკვე 23 წელია, იმ მყისიერად დაკარგული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღსადგენად და დასაბრუნებლად იბრძვის, თუმცა ამ ბრძოლას ოფიციალურად სხვა სახელი ჰქვია...

ბრძოლაა, აბა, სხვა რა არის ის, რაც დღეს ხდება, ბრძოლა სამშობლოს, სარწმუნოების, ენის, ღირსების, ეროვნული თავისთავადობის გადასარჩენად.

**სამწუხაროა, რომ ქართველთა ერთი ნაწილი ბრძოლის ველიდან გარბის და უცხო ქვეყნებს ეხიზნება, იმის ნაცვლად, რომ აქ, თავისი სამშობლოს და თავისი ოჯახის ბედნიერებისთვის იბრძოლოს.**

**ვინც აქ დარჩა, მათი დიდი ნაწილიც სამშობლოსთვის კი არა სოციალურად დაუცველის სტატუსისთვის იბრძვის, რაც სხვა არაფერია, თუ არა ბრძოლა პროლეტარის „დიპლომის“ მოსაპოვებლად.**

ასეთი „დიპლომიანი“ პროლეტარი უკვე ნახევარ მილიონზე მეტი გვყავს. ერთი ამდენი კიდევ ამ „დიპლომზე“ პრეტენზიას აცხადებს და თვლის, რომ უსამართლოდ იჩაგრება.

აი, სადამდე მივედით, აი, სადამდე მიგვიყვანა იმ ჭკვიანმა და ვერაგმა მტერმა, რომელიც ვიზუალურად თითქოსდა არ ჩანს, მაგრამ ის ყველგან არის, ჩვენი სხეულის ყველა უჯრედში, ჩვენი სისხლის ყველა წვეთშია შეპარული და იქიდან გვჭამს და გვაუძლურებს ნელ-ნელა, ნებიერად, ღუღუნ-ღუღუნით და კრუტუნ-კრუტუნით.

* * *

**— შვილი დედამ უნდა გაზარდოს!** — თქვა ბიძინა ივანიშვილმა.

ყველაფერია ნათქვამი ამ ლაკონური ფრაზით, რომელიც, ფაქტობრივად, კონცეფციაცაა...

ავირჩიოთ ქართული სახელმწიფოს არსებობისა და მისი გადარჩენის მთავარ მოწოდებად ეს ოთხი სიტყვა — **შვილი დედამ უნდა გაზარდოს!**

ამ სიტყვების კვალდაკვალ კი სხვა წინადადებების წარმოთქმაც ვისწავლოთ. მაგალითად, ასეთის:

— არ დაგემორჩილებით!

— არ დავთმობთ!

— ღირსებას არ შეგალახინებთ!

აი, მაშინ ის უხილავი მტერიც დაიხევს უკან, თორემ თუ ასე ქედდადრეკილებმა ვითმინეთ ყველაფერი, სულ მცირე ხანში საქართველოში საქართველო არ დარჩება.



**ანზორ აბულაშვილი**

## მახარობელი

წუხელის ბიჭი დაბადებულა,
გადაჭარბებად თუ არ ჩამითვლით,
ისეთი ბიჭი დაბადებულა,
დაურქმევიათ თურმე დავითი!
წუხელის ბიჭი დაბადებულა,
დაურქმევიათ იმისთვის — ცოტნე,
შენ — ორგულობავ, აბა გაბედე
და გული ჩვენი ისევე კორტნე.
წუხელის შოთაც დაბადებულა,
დაბადებულა თურმე დემეტრე,
განგებავ, ჩვენი საქართველოსთვის
რა სიხარული გამოიმეტე!

წუხელ ცის კარი ცხრავე გაალო
ყველა გმირმა და თავდადებულმა,
დაბადებულა თურმე ვახტანგი,
წუხელ დემეტრე დაბადებულა.
საქართველოს ცა, ისეც მაღალი,
უფრორე მეტად ამაღლებულა,
დაბადებულა მთვარე-გიორგი,
თურმე ილია დაბადებულა!

წუხელის მტერი — ერთპირად ჩვენი
მოსპობის მდომი — დადარდებულა;
დაბადებულა თურმე სულხანი,
გრიგოლ ხანძთელი დაბადებულა.
დაბადებულა ბიჭი პაატა.
გათენებულა წუხელის თეთრად:
დაბადებულა სამასი გმირი,
ვით დაიხოცნენ, ისევე ერთად!

წუხელის გოგოც დაბადებულა,
ცის ნამი, ცისფრად ნაკამკამარი,
ისეთი გოგო დაბადებულა,
დაურქმევიათ თურმე თამარი.
დაბადებულა წუხელის ნინო
და ქეთევანი დაბადებულა.
ის ბნელი ღამე თურმე უეცრად
ღვთიურის ნათლით განათლებულა.

ყველა ზღაპარი — ნაოცნებარი
ახდენილა და გამართლებულა:
დაბადებულა თურმე ნესტანი
და თინათინი დაბადებულა.
და გიხაროდენ! ქართველთა შორის
ღვიძლ ძმათა ხიდი კვლავ გადებულა
და ერთიანი, ნანატრი დროის,
ქართლი ხელახლა დაბადებულა!

# ნეოფაშისტები და რევანშისტები არეულობის დაწყებას ჭიდაობის ფედერაციიდან აპირებენ?

**„ჩვენ ჯერ ბრძოლა არ დაგვიმთავრებია, ბრძოლის მხოლოდ ერთი მონაკვეთი მოვიგეთ.“ — ეს სიტყვები ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ ერთ-ერთი შეხვედრის დროს მითხრა. დღეს მის მიმართ დიდი ხნის წინ დაწყებული ბრძოლა ისევ განახლდა. ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელების დათხოვნის გადაწყვეტილების შედეგად განახლებული დაპირისპირება საკმაოდ მწვავე ფაზაში შევიდა. რატომ განახლდა ბრძოლა, ვინ ემუქრება ბატონ ლუკას, რას აანონსებენ „ნაციონალი“ ნეო-ფაშისტები, ნეო-რევანშისტები, ამაზე ლუკა კურტანიძე თავად გვესაუბრება:**



— პირველ რიგში, მინდა „საერთო გაზეთის“ მიმართ უდიდესი პატივისცემა და მოწიწება გამოვხატო, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. რაც შეეხება კონკრეტულ პრობლემას, მინდა თითოეულ მკითხველს, საზოგადოებას ვუთხრა, — ეს ბრძოლა გუშინ არ დაწყებულა, წლებია ჩემი პიროვნების მიმართ უშეღავათო ბრძოლა მიმდინარეობს. 2012 წელს ჩემს მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, რაც ლუკა კურტანიძის საზოგადოებიდან განეიტრალებას ემსახურებოდა. თუმცა 2012 წლის 1 ოქტომბერს, ივანიშვილის გონიერი ბრძოლის შედეგად, სასტიკი რეჟიმისგან თავისუფალი დილა გაგვითენდა. გახსოვთ, რომ ამ რეჟიმისგან საქართველო გმინავდა. პირადად, ის სფერო დავიკავე — ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტობა, რომელიც ჩემი მოღვაწეობის ათწლეულებს ითვლის. არჩევნებში გავიმარჯვე და 2012 წლის 15 დეკემბრიდან ფედერაციას ვხელმძღვანელობ. მანამადე, ტრაგიზმით აღსავსე გრძელი გზა გამოვიარე. პირველი დიდი ტკივილი ბავშვობაშივე ვიგემე — აფხაზეთის ომი, მამის უგზო-უკვლოდ დაკარგვა და იმის მოლოდინი, რომ ოდესღაც, მამა გამოჩნდებოდა. ასე, რომ ამ სფეროში არაერთი ტკივილით დატვირთული მოვედი, აღარაფერს ვამბობ 26 მაისზე, რამაც სულიერად გამანადგურა. ტკივილი, რაც თანამებრძოლებთან ერთად გამოვიარე, უკვალოდ არ ქრება. უდიდესი მოთმინებაა იმ ადამიანებთან ურთიერთობა, ვინც გუშინ, სიცოცხლის ფასად გვებრძოდა და შანსსაც კი არ გვიტოვებდა გვეგრძნო, რომ ჩვენც ამ ქვეყნის შვილები ვართ. ასეთ ამნისტირებულ საზოგადოებასთან თანაცხოვრება ძალიან რთულია. ჩვენი ლიდერის, ერისკაცის — ბიძინა ივანიშვილის თანადგომით ბევრ განსაცდელს გავუძელით და დღემდე ასეა. ის რაც ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში ხდება, იმ ბრძოლის გამოძახილია, რაც გამოვიარე, ეს რევანშიზმია, რაც მთელი თავისი სისასტიკითა და სიბინძურით ხორციელდება. ასეთი სიბინძურის, ტალახის სროლა, რაც ბოლო პერიოდია ჩემს მიმართ ხდება, უბრალოდ, უსამართლობაა და მიუღებელია. ამის გამო ძალიან მტკივა გული. ეს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ემსახურება. მაგრამ ლუკა კურტანიძის ცხოვრება ხელის გულზე ჩანს. არ ვამბობ, რომ ამ ხელის გულზე რამე შეცდომა არ ყოფილა, მაგრამ მოვედი ჩემი ტკივილებით, განსაცდელებით. ამ სისხლიანი რეჟიმის მესვეურები, ჩემს ლაფში ამოსასვრელად, ყველაფერზე მიდიან — ეხებიან ჩემს პირად ცხოვრებას, რომელიც უდიდესი ტკივილით, განსაცდელით, ცრემლითაა სავსე. არამგონია, ადამიანის პირადი ტკივილებით მანიპულირება, მორალურად გამართლებული იყოს. აფხაზეთის, სამაჩაბლოს, თბილისის სამოქალაქო ომები გამოვიარე. როცა სამშობლო, ერი ტიროდა, მასთან ერთად, სიცოცხლის ფასად, ვიზიარებდი ამ ცრემლსა და ტკივილს. შევქმენი თუ არა ჩემი ქვეყნისთვის, ერისთვის რამე ღირებული, თავად საზოგადოებამ განსაჯოს. ჩემთვის მთავარი ღირებულება ბავშვობიდანვე ერისა და სამშობლოსათვის მსახურება იყო და არის. იმედია, ხალხი ისე შემაფასებს როგორც ვიმსახურებ — ჩემი ბრძოლით, შეცდომებით თუ განსაცდელით. მაგრამ არამგონია, ვინმეს, ჩემს ტკივილზე, განსაცდელზე საუბრის ან მასში ჩარევის უფლება ჰქონდეს. ადამიანები ცხოველებისგან იმით განვსხვავდებით, რომ დავფიქრდეთ, თუ რა მოჰყვება თითოეულ წამოსროლილ სიტყვას. ეს ტალღა დღეს ძალიან ბინძურად ბობოქრობს, რაც მავანმა შეგნებულადააზვირთა. ვფიქრობ, ეს უსამართლობა უკან მწარედ დაუბრუნდებათ. ვურჩევდი, დაფიქრდნენ, რას აკეთებენ. ფედერაციაში მოსვლის პირველივე დღიდან რევანშისტებმა გააფთრებული ბრძოლა გამომიცხადეს, როგორც ვახსენე, ბრძოლა დღეს ან გუშინ არ დაწყებულა, არც კვერცხების სროლაა დღევანდელი გამოძახილი. ეს ჩვეულებრივი ხულიგნობაა, რითაც ნამდვილად ვერ გამაკვირვებენ, ამ წლების მანძილზე მათგან ბევრი ვიწვნიე. რამოდენიმე წლის წინ, რეჟიმისგან გაძლიერებული ადამიანები, ლოდებსა და ქვებს მესროდნენ. წეროვანში, ხურვალეთში სასწაულებრივად გადავრჩი. ხურვალეთში, რეჟიმისგან გაძლიერებულმა პირებმა, ლამის ქვებით ჩამქოლეს. ახლა სხვა დროა და ლოდები, უბრალოდ, კვერცხებმა ჩაანაცვლა, თანაც სცენა აუცილებლად ტელეკამერების წინ იდგმება, რათა მეტად დამამცირონ. ყველაზე მტკივნეული ისაა, როცა ამდენ უბედურებაგამოვლილ, ნატანჯ ადამიანს დაუმსახურებელ შეურაცხყოფას მაყენებენ, ღირსებას მილახავენ. ვფიქრობ, საზოგადოება ამ ყველაფერზე სწორ რეაქციასა და დასკვნებს გააკეთებს.

როგორც იცით, შსს-ს პოლიციის აკადემიის პრორექტორი ვარ, სადაც თავს ძალიან დაცულად ვგრძნობ. როცა ამ თანამდებობაზე დავინიშნე, რეჟიმისგან შეცდომილი ადამიანები, რომლებიც დარბევებში, როგორც ბრძანების შემსრულებლები მონაწილეობდნენ, შეცდომა მოინანიეს. საქართველოში არიან ადამიანები, რომელთაც მე ვერასდროს შევხვედრბოდი, მაგრამ შინაგანმა პროტესტმა, განცდამ, ისინი ჩემამდე მოიყვანა და შენდობაც ითხოვეს. მათ, ამ სტრუქტურაში, ჩემგან სიყვარული მიიღეს და არა რევანში, რასაც შეიძლება მოელოდნენ კიდეც. მართლაც შემეძლო ყველასთვის პასუხი მომეთხოვა, რისი ძალაუფლება და საშუალებაც გამაჩნია, მაგრამ ასე არ მოვიქეცი. ფედერაციაში ჩემი მოსვლიდან მალევე ევროპის ჩემპიონატი ჩავატარეთ,მმსოფლიოს საერთაშორისო გაერთიანებულ ჭიდაობის ფედერაციასთან პირდაპირი კონტაქტები დავამყარეთ, ბევრი სასიკეთო რამ დავგეგმეთ. პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ბრძანებულებით ხელი მოეწერა სპორტსმენებისა და მწრთვნელების პრემიალურ წახალისებას. ეს სანიმუშო მაგალითია, როგორ აფასებენ სპორტს საქართველოში. ბიძინა ივანიშვილმა პრემიერობის დროს გააჟღერა ხელშეწყობა საქართველოში ჯანსაღი ცხოვრების წესის დასანერგად. ირაკლი ღარიბაშვილის ხელშეწყობი, დადგენილების თანახმად, სპორტსმენებსა და მწვრთნელებს ბევრად კარგი პირობები აქვთ, ვიდრე ჰქონდათ. საქართველოში, მიუხედავად ბევრი სოციალური პრობლემისა, სპორტის ეს სახეობა პრიორიტეტად იქცა, რამეთუ ჯანსაღი ცხოვრების წესი მნიშვნელოვანია. აქვე მინდა გითხრათ, რომ ვმუშაობ ყველაზე დიდ, საუკუნის პროექტზე, რომელსაც პრემიერ-მინისტრის დავალებით დავით ნარმანია ხელმძღვანელობს. ესაა ჭიდაობის მრავალფუნქციური კომპლექსი, რომელიც მოიცავს როგორც სავარჯიშო, ისე საშეჯიბრო დარბაზებს, ფედერაციეს შენობას, სასტუმროს და ა.შ. იგი ამერიკის საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდება, სადაც მომავალ წელს სხვადსხვა სპორტის სახეობებისთვის ექვსი კომპლექსი გაიხსნება. ასევე, უახლოეს პერიოდში, ჩვენთან მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდება, რაც უმნიშვნელოვანესია. ეს იქნება გვირგვინი, როგორც ჩემი ფედერაციის პრეზიდენტობისა და ძალიან დიდი მონაპოვარი, რამეთუ მსოფლიო ჩემპიონატში 100-ზე მეტი ქვეყანა იღებს მონაწილეობას. ასე, რომ პოლიტიკურადაც და სპორტული თვალსაზრისითაც, საქართველო, მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცევა. ეს იქნება ჩემი მოღვაწეობის უდიდესი გვირგვინი. აქვე, ერთ რამესაც გავუსვამ ხაზს — ადრე, ჭიდაობის ფედერაციის ბიუჯეტი 3-4 ათასი ლარი იყო. დღეს, პრემიერ-მინისტრის ხელშეწყობით, თანხა 400 ათასამდე გავზარდეთ.

**— რატომ დადგა მწვრთნელების გადაყენების საკითხი?**

— ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელების რევაზ მინდორაშვილისა და ბეგი დარჩიას გადაყენების საკითხი იმიტომ დავაყენე, რომ 2013 წლის შედეგები 2014 წელს გაუარესდა. მაგალითად, 2013 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე მხოლოდ 1 ბრინჯაო მოვიპოვეთ, ევროპის ჩემპიონატზე კი — 2 ოქრო, 3 ვერცხლი და 2 ბრინჯაო, ანუ სულ 8 მედალი. 2014 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე მხოლოდ 1 ვერცხლი მოვიპოვეთ, ევროპის ჩემპიონატზე კი — 1 ოქრო და 2 ბრინჯაო, ანუ სულ 4 მედალი. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 16 სპორტსმენიდან მსოფლიო ჩემპიონატზე 0 მედალი გვაქვს. არადა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მათზე 2014 წელს 1 მილიონ 612 ათასი ლარია დახარჯული ხელფასების, პრემიებისა და დამატებითი კვების გარეშე. შარშანაც და წელსაც ჩემპიონატზე შედეგი ნული იყო. წესდების მიხედვით, ასსეთ შემთხვევაში ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების უფლება მაქვს. თუმცა, საკითხი სამსჯელოდ პრეზიდიუმს გადავეცი. აქვე აღვნიშნავ, რომ ამ სიტუაციით შესანიშნავად ისარგებლეს რევანშისტებმა, რომლებიც ამ წლისა და 9 თვის მანძილზე ხიშტებით მებრძოდნენ და ყოველ ნაბიჯზე ხაფანგს მიგებდნენ. სამართლებრივად ყველაფერი გამართულია. სამეთვალყურეო საბჭოს ვთხოვე ეს თემა შეისწავლოს და ანალიზი გააკეთოს. რევანშისტები უკან არაფერზე იხევენ — ლუკა კურტანიძე ხომ მხოლოდ სპორტსმენი ან ფედერაციის ხელმძღვანელი არაა, იგი ამავდროულად პოლიტიკური ფიგურაა, რომელმაც უამრავი განსაცდელი და ბრძოლა გამოიარა. მმესმის ტელევიზიების, ჟურნალისტების, რომლებიც ხელიდან შანს არ უშვებენ, რათა ეს თემა ააგორონ და სენსაციად აქციონ. სამწუხაროდ, ჩემზე განაწყენებული ადამიანები ძალიან აგრესიულები იყვნენ, დაივიწყეს ყველაფერი. როგორც სპორტსმენი, მებრძოლი, 20 წელი გუნდის ლიდერი ვიყავი, ერთი წელიც არ ყოფილა ჩემი სამშობლოსთვის ევროპის თუ მსოფლიო არენაზე გამარჯვება არ მომეპოვებინოს. ამ ადამიანებმა ყველაფერი წაშალეს. ეს ის ხალხია, რომლებსაც როგორც კი ფედერაციეს ხელმძღვანელად მოვედი, მათ, როგორც კარიერადამთავრებულ სპორტსმენებს საშუალება მივეცი თავიანთ საყვარელ საქმეში ჩაბმულიყვნენ და სახელმწიფოსთან რეკომენდაცია გავუწიე, რათა ხელფასები და პრემიალური თანხები ჰქონოდათ. მათთან ხელშეკრულებები გავაფორმე. სხვათა შორის, რომ მოვედი ექვსი ნაკრების მწვრთნელი ისე მუშაობდა, რომ ფედერაციასთან ხელშეკრულება გაფორმებული არ ჰქონდათ. ხომ საინტერესოა, როგორ მუშაობდნენ, მართავდნენ, როგორ ათეთრებდნენ ამხელა ბიუჯეტს, ეს წარსულია და ამაზე აღარ ვილაპარაკებ, უბრალოდ დიდ ძახილის ნიშანს დავსვამ. მწვრთნელებს უზარმაზარი თანხები დავუნიშნე, ყველაზე ნაკლები 800 ლარიდან იწყებოდა და 3 ათასს სცდებოდა (ევროპის ჩემპიონატზე რევაზ მინდორაშვილზე გაცემულია პრემიის სახით 38 250ლარი, ხოლო ბეგი დარჩიაზე — 12 750. მსოფლიო ჩემპიონატზე რევაზ მინდორაშვილზე გასაცემი პრემია კი 34 ათას ლარს შეადგენს. ავტ.). მათ გარკვევით ვუთხარი, მწვრთნელების ჯამი არ შეიცვლება-მეთქი, სახლში კი არ ვუშვებდი ვინმეს. მათ კი უშედეგობის გადასფარად ინტრიგნობა დაიწყეს. ამ განაწყენებული ადამიანების უკან რევანშისტები დადგნენ, ეს მართული პროცესია. ყველას შეუძლია ნახოს სახელის და გვარების მიხედვით, სად იდგნენ ეს ადამიანები, რას აკეთებდნენ და როგორ მებრძოდნენ წლების განმავლობაში ჩემი სიმართლის გამო: ვამბობდი, ასე ქვეყნისა და ერის მართვა შეუძლებელია. ამ

## ლუკა კურტანიძე: რამაზ ნოზაძე მემუქრება, რომ მესვრის, ბენზინს გადამასხამს და დამწვავს. ეს რევანშიზმია!




4 gv.

3 gv.

ბრძოლით, სიცოცხლის ფასად მოვედი. განაწყენებული ადამიანების მდგომარეობაც მესმის, მიუხედავად იმისა რაც ჩაიდინეს, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი შეფასება ურყევი, უარყოფითია — ვერავინ დამარწმუნებს, რომ 16 შესაძლებლობიდან, 2 წლის მანძილზე, ნული კარგი შედეგია, ჩვენი სამშობლოსა და ერის საკეთილდღეოდ, მათ შანსს ვაძლევ, ვთავაზობ დიალოგს, ვისაუბროთ მიზეზებზე, გამოსავალზე. ახლა იძახიან ინფრასტრუქტურა არ ვარგაო და ამას მე მაბრალებენ. იმას კი არ ამბობენ, რომ ეს ათწლეულების მანძილზე ინგრეოდა და ხმას არავინ იღებდა, გაიყიდა უამრავი სპორტული ობიექტი. მაგალითად, ეგნატაშვილის სახელობის საჭიდაო დარბაზი, რომელიც დღეს ყასაბებისა და ყველის გამყიდველების დახლებისგან შედგება, ანუ ბაზრად აქციეს; პეტრეს დარბაზი, რომელიც „ცენტრპოინტმა" თავისი ბიზნესის გასავითარებლად შეისყიდა და დღემდე სადაოა; ასევე, კულა გლდანელის დარბაზი გლდანში, რომელსაც არ ვიცი რამდენი პატრონი ჰყავს და ვის ბალანსზეა, საქონლის სადგომადაა ქცეული; „ტე-ტე-ოს" დარბაზი, რომელიც დეზერტირების ბაზარი იყო, ჯერ საწყობად აქციეს, დღეს მთლიანად მოშთობილია. ეს მე კი არ გამიკეთებია, სწორედ იმისთვის ვიბრძოდი, რომ ასეთი რამეები არ მომხდარიყო. კი ბატონო, შეიძლება რაღაც შეცდომები დავუშვი, მაგრამ ეს ყველაფერი, ჩემს მიმართ, ხიშტებით ბრძოლის ფონზე ხდება, წელიწადი და 9 თვეა თავისუფლად ვერ ამომისუნთქია, ყველგან ბრძოლას, რევანშს ვხედავ. თუ ხელმძღვანელი მკაცრი არ ხარ და კრიტიკულ სიტუაციაში გადაწყვეტილების მიღება არ შეგიძლია, მაშინ არც უნდა იყო თანამდებობაზე. ამაში მადანაშაულებენ. მარტივად გეტყვით, დიდ ყუთში ერთი დამპალი ვაშლი დავინახე — არ დამიწყია ფიქრი — ამოვიღო თუ არა, მივიღე მკვეთრი გადაწყვეტილება რომ ეს ვაშლი ამოსაღებია, რათა დანარჩენი არ დაალპოს. ამისთვის ვისჯები. როცა ვხედავ საქმე ფუჭდება, გადაწყვეტილებას სწრაფად ვიღებ. ამ ნაკრებების მწვრთნელებს შენიშვნა რამდენჯერმე მივეცი, მათ ვაკვირდებოდი და აქედან გამომდინარე, მსოფლიო ჩემპიონატზე წასვლის არავითარი სურვილი არ მქონდა იმიტომ, რომ ძალა გამომაცალეს — ვიცოდი უდისციპლინობას უშედეგობა რომ მოჰყვებოდა. მებრძოლი ადამიანი სულ მობილიზებული უნდა იყოს. თქვენ ესწრებოდით და იცით, რომ საქართველოში, ევროპის ჩემპიონატი კრიტიკულ დროს ჩავატარეთ, როცა ოლიმპიურ მოძრაობაში ჭიდაობის სახეობის დარჩენა-არდარჩენის საკითხი იდგა. ამ დროს „ფილასა" და „სელას" პრეზიდენტები ლალოვიჩი და ცენ ცენოვი საქართველოში ევროპის ჩემპიონატზე იმყოფებოდნენ. ჩვენი ერისკაცი მათ პირადად შეხვდა და მთელი მსოფლიოს დასანახად მხარი დაუჭირა ჭიდაობას, როგორც ოლიმპიური მოძრაობის ერთ-ერთ ღერძს. ასე, რომ პირადი ურთიერთობები საშუალებას გვაძლევს საქართველოში ჭიდაობა განვითარდეს. ლალოვიჩთან მოვაწერეთ ხელი და რამოდენიმე მსოფლიო სტანდარტის საჭიდაო ხალიჩა ჭიდაობის ფედერაციას საჩუქრად გადმოეცემა. ამას ექსკლუზიურად თქვენ გეუბნებით. ეს ჩვენი მუშაობის დამსახურებაა.

**— „ნაციონალების" დროს აღზევებული მოჭიდავეთა გუნდი იმ პოლიტიკური ძალის წინააღმდეგ ხომ არ ილაშქრებს, რომელთაც მათი ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ძველი ხელისუფლების პირობებში არსებული პრივილეგიები დაკარგეს?**



— საზოგადოება ხედავს, რამდენად ვაფასებ ერის ადამიანს. მან საშუალება მომცა ჩემს სამშობლოში ვიყო და მას ვემსახურო. რით შეიძლება ერის ადამიანი შეარყიო? — იმით, რომ მის გვერდით მდგომი ადამიანები, ურყევი კედლები მოშალო, მოანგრიო და საზოგადოება მათ სიავეში დაარწმუნო. ერთ-ერთმა მათგანმა რამაზ ნოზაძემ იმის თქმაც იკადრა, რომ თითქოს შეურაცხადი, ნაძირალა, კრიმინალი ვარ, თურმე სწორედ ეს ტალღა მომადგა მე დღეს. არ მინდა თანამებრძოლებს ჩემში ეჭვი შეეპაროთ. ერის ადამიანს, ერს, სამშობლოს გულწრფელად, ალალად ვემსახურები. ამ სიმართლის შესანარჩუნებლად სიცოცხლეს დავთმობ. ჩემი პოზიცია სიმართლეზეა აგებული. მინდა „ქართულ ოცნებას" უღრმესი მადლობა ვუთხრა, რომელმაც სამართლიან ბრძოლაში ერთხმად დამიჭირა მხარი. მზად ვარ შეცდომადანახულ ლოვანი ფედერაციაა, რომლის მოშლის სურვილი ნაციონალურ ბანდას, უხსენებელ ადამიანებს აქვთ. ამაში განაწყენებულ ადამიანებს არ გავრევ, არამედ იმ ხალხზე ვსაუბრობ, ვინც პროცესებს მართავს და არეულობის მოწყობა სურთ. მათ ვეუბნები — ათი ომი გამოვიარეთ და მეთერთმეტეს და მეთორმეტესაც ღირსეულად გადავიტანთ. ამ ბაცილას ქვეყნიდან საბოლოოდ მოაშთობთ და მთლიანად ყველა სფეროდან ამოვძირკვავთ. სამართლიანი ბრძოლით მათ როგორც ერიდან, ისე სამშობლოდან მოვშთობთ.

**— ლუკა, საპირისპირო მხარეს არიან ასევე, რომან რურუა, დავით გობეჯიშვილი, გურამ საღარაძე. რით არის ყოველივე განპირობებული?**

— პირველ რიგში, ის ადამიანები იბრძვიან, რომლებიც მიშისტური მოძრაობის მოხერხებით, არა მარტო ჭიდაობის ფედერაციაში, არამედ ყველა სფეროში შევიდნენ. როგორ შეიძლებოდა გურამ აბსანძე ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ყოფილიყო. ანდა ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი ექიმს დაეკავებინა, რომელსაც ჭიდაობასთან არავითარი შეხება არ ჰქონდა. როგორ შეიძლებოდა ცისკარიშვილი კრივის ფედერაციის პრეზიდენტი ყოფილიყო. მათ

**ლუკა კურტანიძე: გობეჯიშვილს ვურჩევ თავისი სიტყვა შეასრულოს. გთხოვთ, დიდი ასოებით დაწერეთ, რომ გობეჯიშვილმა კარგად დაინახოს, შეიძლება თვალებში კარგად ვერ ხედავს — თუ მას რაიმე ღირსება დარჩენია, საზოგადოების წინაშე მიცემული სიტყვა შეასრულოს — სადაც ელდარ-ლუკა კურტანიძეა, მისი ადგილი იქ არაა.**

ყველაფერი გავანადგურე, სამშობლოს ვანგრევდი. უნდათ ერის კაცს და ჩემს თანამებრძოლებს ჩამომაშორონ და ამით ჩემი დისკრედიტაცია მოახდინონ. ესაა მათი მიზანი. გიორგი უგულავა, ჩიორიკო თაქთაქიშვილი, მთელი „ნაცბანდა" და ის ადამიანები ვინც არ ჩანან, მაგრამ ძალიან საშიში ჭკუის პატრონები არიან, ყოველდღიურად გეგმავენ სად დაარტყან, როგორ გამოუთხარონ ძირი იმ ადამიანებს, რომლებიც ერის კაცის ალალი, ურყევი კედლები არიან. ზოგჯერ, ერის ადამიანის ისეთი მონატრება გამიჩნდება, უბრალოდ შორიდან დანახვაც კი საკმარისი იქნება ჩემთვის. როცა ერის ადამიანი მომენატრება, მის ვიდეოს ჩავრთავხოლმე და ვუყურებ. ჩვენ, ერთად დიდი ბრძოლა გამოვიარეთ. ამ ბრძოლაში იყავით ჩართული „საერთო გაზეთი" და მისი რედაქტორი ბატონი ვახტანგი. ეს ბრძოლა ერთად გამოვიარეთ და ხვალინდელი დღის გადარჩენისთვის ძალას ვძებდით. დღეს, სწორედ ამ ძალის, ამ ადამიანების დაშლა უნდათ. მათ ჩვენი ერთობა არ აწყობთ. ეს რევანშისტები სწორედ ამ ერთობას ებრძვიან, საზოგადოებაში ჩვენს მიმართ ეჭვებს აჩენენ, დისკრედიტაციას ახდენენ, რათა გუნდი დაიშალოს.

**— ლუკა, რევანშისტები არაერთხელ ახსენეთ, ვინ არიან ისინი?**

— „ნაციონალური" ნეო-ფაშისტები, ნეო-რევანშისტები, რომლებიც სპეციალური დაფინანსებებით ყველა სფეროში ხელებს აფათურებენ. თქვენ უკვე ხედავთ ადამიანების რეაქციას, პროტესტებს, რომლებიც „თავისუფლების ზონის" წინააღმდეგ იბრძვიან. ისინი როგორც სამხედროები, კომკავშირელები, მატროსოვები, ისე ყალიბდებიან, რომლებიც მამას და დედას მოკლავენ იმისთვის, რომ პარტია გააძლიერონ. აი, ასეთი მეთოდებით ებრძვიან ერთობას, ამის დარღვევა უნდათ, კითხვის ნიშნებს აჩენენ. თუ მებრძოლ ადამიანს კითხვის ნიშნები გიჩნდება, ბრძოლაში ისეთი შემართებული ვეღარ იქნები. აი, ადამიანებთან დიალოგი გავმართო. ვისაც საქმის კეთება უნდა შოუმენობას, ტელევიზიით კეკლუცობას, სიბინძურის, ტალახის სროლას თავი დაანებოს და თავის საქმე აკეთოს.

მიშისტური — უხსენებელის მოძრაობის ერთ-ერთი მეხოტბე, სულის ჩამდგმელი, მოტრფიალე და მიშისტურ მოძრაობასთან ერთად მოუსვლელში წამსვლელი დეფი აანონსებს რომ იქნება სროლა, ქაოსი და ომი ატყდება. ჩემს კონკრეტულ შემთხვე- ყველგან შეაღწიეს, დაყვეს ეს ოჯახი, ერთიმეორეს დააპირისპირეს, მტრად აქციეს და მერე თავად მართავდნენ. სპორტსმენებს მაკომპრომიტირებელ ფაქტებს უდებდნენ, ზოგს შვილის დაჭერით დაემუქრნენ, ზოგს ბიზნესის წართმევით, ზოგს წაართვეს კიდეც, ზოგი გაყიდეს, ზოგი იყიდეს, ასე კიბოს მეტასტაზივით მოედნენ ყველაფერს. მათ, ვინც მიპირისპირდება, მინდა ვუთხრა — სანამ საქმეს არ შეისწავლიან, ვიწრო



ვაში ადამიანები აანონსებენ, რომ ბენზინს გადამასხამენ, დამწვავენ, კრიმინალი ვარ და მესვრიან. ამ ამბებს შორის გარკვეული კვეთა არის. ეს რევანშიზმია. პირადად მე, ამ ადამიანთან, რომელიც ჩემს დაწვას აანონსებს, არასოდეს დაძაბული ლაპარაკიც კი არ მქონია. ვგულისხმობ, რამაზ ნოზაძეს. **ნოზაძე მემუქრება, რომ მესვრის, ბენზინს გადამასხამს და დამწვავს**. ეს უხსენებლის მოძრაობის ხელწერაა, რაღაცები ერთმანეთს ძალიან ჰგავს. ვფიქრობ, მათ მეტი დაფიქრება მართებთ, რათა ნებით თუ უნებლიედ ის საქმე არ გააკეთონ, რაც ყველაზე დიდ გლობალურ პრობლემასთან მიგვიყვანს. სასინჯი ქვა კარგა ხანია ფედერაციაში მოსვლის პირველი დღიდან მე მხვდება. ეს ერთ-ერთი დიდი ბა- მოსაზრებით განცხადებებს ნუ გააკეთებენ. იმიტომ, რომ გურამ საღარაძეს თავის სახელი აქვს და ამას ვერავინ წაართმევს. მახსოვს, ფული რომ არ მქონდა, ეს ადამიანი გვერდში დამიდგა როგორც სპორტსმენს, როგორც ადამიანს, როგორც ლტოლვილს და როგორც მამადაკარგულს. ამის დაკარგვა არ მინდა. ბატონ რომანს უდიდეს პატივს ვცემ და მისი სამართლიანობის იმედი მაქვს. დღესაც, დავით ნარმანიასთან კომპლექსის მშენებლობის თაობაზე შესახვედრად ერთად მივდივართ. დავით გობეჯიშვილი, ვფიქრობ, იმას უნდა გაუფრთხილდეს რაც დარჩა, ანუ ტიტულები. როგორც მოქალაქემ, ვურჩევ თავის განვლილ გზას და ამ გზაზე გაკეთებულ საქმეებს გადახედოს. დათო გობეჯიშვილს როგორც მისი უმცროსი თაობის წარმომადგენელი, რჩევას მივცემ რისი უფლებაც მაქვს – ის სიტყვა შეასრულოს, რაც ტელევიზიით თქვა — სადაც ელდარ-ლუკა კურტანიძეა, იქ მე არ ვიქნებიო. აქვე, ერთი რამ მინდა ვთქვა — როდესაც აგრესია მოდის, ნაცები ელდარ კურტანიძეს ამბობენ. ბადრი პატარკაციშვილსაც ვითომ დასამცირებლად არკადიდ იხსენიებდნენ. ვამაყობ, რომ ჩემი სახელი და გვარი მაქვს. ვამაყობ, რომ მამამ ელდარი დამარქვა, რაც ღირსეულად ვატარე და დასამცირებლად ამის თქმას არავის ვურჩევდი. **გობეჯიშვილს ვურჩევ თავისი სიტყვა შეასრულოს. გთხოვთ, დიდი ასოებით დაწერეთ, რომ გობეჯიშვილმა კარგად დაინახოს, შეიძლება თვალებში კარგად ვერ ხედავს — თუ მას რაიმე ღირსება დარჩენია, საზოგადოების წინაშე მიცემული სიტყვა შეასრულოს — სადაც ელდარ-ლუკა კურტანიძეა, მისი ადგილი იქ არაა.** კატეგორიულად მოვითხოვ, თავის განვლილ ცხოვრებას გადახედოს, გაიხსენოს რა მითხრა როცა მე „ნაცმოძრაობას" ვებრძოდი, როგორ მირჩია, რეჟიმს ნუ ებრძვიო, კარგად გაიხსენოს. დიახ, მისი ადგილი იქ სადაც ლუკა კურტანიძეა ნამდვილად არ არის და თუ ღირსება შერჩენია, ვთხოვდი, ჩემს სიახლოვეს არ გაეკაროს.

**— ლუკა, თქვენ არაერთხელ გისაუბრიათ ზონდერ-დაჯგუფებებზე. როგორ ფიქრობთ, ჭიდაობის ფედერაციას ისევ შემორჩა ეს ზონდერები?**

— დიახ, თქვენც გახსოვთ, რომ ზონდერებზე ღიად განვაცხადე. ერთ რამეს ვიტყვი: ამ ინტერვიუს შემდეგ რაღაც პერიოდი მორატორიუმს გამოვაცხადებ და არც ნოზაძეზე და არც სხვებზე არაფერს ვიტყვი, საზოგადოებამ თავად გასცეს ყველა კითხვას პასუხი. მაგრამ, როდესაც ზონდერებზე და იმ ადამიანებზე გავაჟღერე, რომლებიც ნიღბის ქვეშ ამოფარებულნი ხალხს სჯიდნენ, საოცარი რამ მოხდა: ჩემი ფედერაციის კაბინეტთან, ზუსტად ერთი წლის წინ, ბენზინი იყო დასხმული და ცეცხლი წაკიდებული, ამის კვალი დღესაც არის. გამოვიძახე შესაბამისი უწყება, შეისწავლეს, ძიებაც დაიწყო, ეს ფაქტი დაფიქსირებულია. ასე, რომ ეს ბენზინის გადასხმა და ნოზაძისგან ახლა იმის გაჟღერება, მუქარა რომ ბენზინს გადამასხამს და დამწვავს, მეეჭვება დამთხვევა იყოს. ერის ადამიანმა ამნისტია გამოაცხადა და ზონდერებს და ყველას საშუალება მიეცა თავისი წარსული გაეთავისუფლებინათ. ყველას ვურჩევ ზღვარს არ გადასცდნენ. ვინც ზღვარს გადავა, მთელი სიმკაცრით, სამაგალითოდ დაისჯება. არავინ გაიფიქროს, რომ ვირყევით, ჩვენ ურყევნი ვართ. ვისაც ამ ცხოვრებაში ერის ადამიანმა შანსი მისცა, ვურჩევ, ეს შანსი არ დაკარგონ, ზღვარს არ გადავიდნენ, ეს ჩემი კატეგორიული რჩევაა.

**P.S. ამ ემოციური ინტერვიუს მსვლელობისას ღვარცოფად მოვარდნილი დაუმსახურებელი შეურაცხყოფის გახსენებისას, ლუკა კურტანიძემ ცრემლები ვერ შეიკავა. ამ სანახაობით გამოწვეული ტკივილი დღემდე გამომყვა, თუმცა მაშინ ვერაფრის თქმა ვერ მოვახერხე. ახლა კი იმ ადამიანებს, ვინც მისი ტკივილი, განსაცდელი, ბრძოლებში განვლილი გზა არად ჩააგდო და იგი დაუმსახურებელი შეურაცხყოფისთვის გაიმეტა, მინდა ვუთხრა: ლუკა კურტანიძემ ამ ინტერვიუში მიუხედავად ყველაფრისა, შენდობა გთხოვათ. იქნებ, ამჯერად მაინც გეყოთ ვაჟკაცობა და მას თუ არა, უფალს მაინც სთხოვონ შენდობა იმ არაერთი სიბინძურისთვის რაც ბოლო წლების მანძილზე არა მარტო ცალკეულ პირს, არამედ ქვეყანას თავს დაატეხეთ.**

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# რევაზ გაბაშვილი:
# საქართველოსა თუ ხიზნობაში, ქართველო, სამშობლოსთვის იშრომე და იზრუნე, იბრძოლე...



სტუდენტობის წლები

„ავედი ტაბახმელაზე, სადაც ბრძოლები მიმდინარეობდა. ბრტყელ ბექობზე იდგა ოთხი პატარა, სამთო ზარბაზანი. ოფიცერი ჩრდილელი მბრძანებლობდა ამ „ბატარეას“. სამი ზარბაზანი ისროდა და მეოთხე პირდაღებული იდგა ჩუმად. აქვე მყოფ ჩემს ყოფილ მასწავლებელს („გიმნასტიკისა“) ა. ჩხეიძეს ამის მიზეზი რომ ვკითხე, მიპასუხა: ამ სამი ზარბაზნისთვისაც ძლივს გვყოფნის ყუმბარებიო. წამოსვლისას მითხრა: ხომ ხედავთ რა მდგომარეობაა და უთხარით თბილისში, ყუმბარები მოგვაწოდონ, რამდენი ხანია ვეხვეწებით, გვპირდებიან და არსადა სჩანს; მესამე დღეა, ახალგაზრდებს, ამ სიცივეში, არც ცხელი საჭმელი უნახავთო...

...24 თებერვალს, განთიადისას, მე, ლელი ჯაფარიძე და გრიგოლ ვეშაპელი ავტომობილით გავემგზავრეთ სოღანლუღის ფრონტზე, გამარჯვებულ მაზნიაშვილთან, რომელმაც წინა დღეებში სასტიკი მარცხი მიაყენა რუსებს და 1600 ტყვე გამოგზავნა თბილისში...

...მაზნიაშვილმა წამიყვანა იმ ადგილების საჩვენებლად, სადაც წინა დღეებში ქართველმა მებრძოლებმა სასტიკი მარცხი მიაყენეს რუსებს. აი, ამ სანგარში შემოიჭრა მტერი, მაგრამ დახოცეს, დასჭრეს, გაჰყარეს და ტყვეები ჩავიგდეთ ხელში. ორიოდე ცხენოსანი ესკადრონი რომ გვყოლოდა, გაქცეული მტრების სადევნელად, სულ გავანადგურებდით და ათასობით კიდევ მეტს ტყვეებს ჩავიგდებდით ხელშიო.□ შემდეგ მითხრა: გადაეცით თბილისში, რომ არაფერი საშიშო არ არის, ფრონტი მთლიანად გვიჭირავს, და თუ დაპირებულ ბატალიონს დააჩქარებენ, კიდევ დიდხანს ვერას დაგვაკლებენ ეს უნიფხვო ბოლშევიკებიო.

ისე დამშვიდებული წამოვედი, რომ ნასადილევს, დაქანცულს, დამეძინა და მარტო საღამოს 9-საათზე მივედი „ფრასკატი“-ში, ახალი ამბების გასაგებად. ვლაპარაკობდით ომიანობაზე, რომ შემოვარდა ვეშაპელი და გამოგვიცხადა: „ბრძანებაა გაცემული, 12-საათზე ღამე იხსნება ფრონტი და თბილისსა ვტოვებთ!“ — როგორ, რათა, ვისი ბრძანებაა? დილას ფრონტზე მაზნიაშვილი მარწმუნებდა, არაფერი საშიშროება არ არისო და რა მოხდა ამის შემდეგ? „მთავრობის დადგენილებაა“ და, ხეირიანადაც აღარ აგვიხსნა, ისევ გავარდა.

ისეთი თავზარდამცემი ამბავი იყო მორალურად, რომ არა გვჯეროდა, მაგრამ ჩაბნელებული, უკვე მიძინებული, მიწყნარებული თბილისი, საიდანაც მთავრობა და სამხედრო ძალა იპარებოდა ხალხის გაუფრთხილებლად, მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებდა...“

ასეთივე მძიმე განცდებით დატოვა სამშობლო ამ სიტყვების ავტორმა რევაზ გაბაშვილმა მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა საქართველო დაიპყრეს. აქაურობას რომ არ გარიდებოდა, დახვრეტა არ ასცდებოდა. მეუღლე და სამი შვილი (ციალა, ალექსანდრე, გურამი) სამშობლოში დატოვა. პირველი 4 წელი სტამბოლში გაატარა, შემდეგ კი საფრანგეთში გაემგზავრა და პარიზში დასახლდა. იქ 44 წელიწადი იცხოვრა — საქართველოში დატოვებული ოჯახის დარდით, შვილებისა და სამშობლოს უნახაობით გულდამძიმებულმა. ბოლო წლები სრულ მარტოობასა და დაუღალავ შრომაში გაატარა, როგორც ლევან ზურაბიშვილი წერდა, „სახლში თავს ვერ უვლიდა და თითქმის არაფერს ჭამდა“. მძიმედ ავადმყოფი, მასავით ემიგრანტი გულშემატკივარი ქართველების დაჟინებულ თხოვნაზე — საავადმყოფოში დაწოლილიყო და ემკურნალა, უარს აცხადებდა — ეშურებოდა, ემიგრაციაში დაწერილი ნაშრომები როგორმე გამოეცა, რომ ვალმოხდილი წასულიყო ამ ქვეყნიდან. **„საცა უნდა იყვე, საქართველოსა თუ ხიზნობაში გაფანტული, სამშობლოზე იფიქრე, ქართველო, სამშობლოსთვის იშრომე და იზრუნე, იბრძოლე...“** ამ პრინციპით იცხოვრა თავადაც — უცხოეთში გადახვეწილმა თავდაუზოგავად იშრომა და უკომპრომისოდ ილვაწა საქართველოს ინტერესებისთვის.

* * *

ეკატერინე და ალექსანდრე გაბაშვილების დიდი ოჯახი ზემელზე ცხოვრობდა — მათი სახლი იმ ადგილზე იდგა, სადაც ახლა მეცნიერებათა აკადემიაა. ხუთი შვილი ეზრდებოდათ: თამარი — პოეტ კოტე მაყაშვილის მეუღლე, რევაზი, ნინო, გიორგი და ელენე — ენათმეცნიერ მზია ანდრონიკაშვილის დედა. ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ოჯახში ყოველთვის საინტერესო ხალხი იყრიდა თავს — ეკატერინე, ქალიშვილობის გვარით თარხნიშვილი, დედის მხრიდან ბაგრატიონ-დავითაშვილების შთამომავალი იყო, ხოლო გაბაშვილები — მეფის კართან დაახლოებული თავადები. სტუმრების საუბარი და ქცევა პატარებზეც ახდენდა გავლენას, ეს განსაკუთრებული გარემო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მათი მომავალი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

სათავადაზნაურო გიმნაზიის დასრულების შემდეგ ბელგიაში, რევაზ გაბაშვილმა ლიეჟის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში სამი წელი ისწავლა. როცა 1905 წლის გაზაფხულზე რუსეთში რევოლუცია მოხდა, გულმა საქართველოსკენ გამოუწია, „რადგან მთელი ქართველობა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ჯერ კიდევ მაშინ ემზადებოდა“. კიდევ რამდენიმე თვე დაჰყო საზღვარგარეთ — **„ერთი ყოფიანი იყო ბრიუსელში. ის გვასწავლიდა თოფის სროლას... ვემზადებოდით, ასე ვთქვათ, რევოლუციისა და საქართველოს გათავისუფლებისთვის... და ზაფხულში, როცა მე შევისწავლე ბომბებისა და ასაფეთქებელი მასალების დამზადება, დავბრუნდი საქართველოში“.**

იმ დროს არსებული ორი პარტიიდან ფედერალისტებს მიეკედლა, რადგან „ისინი **აყენებდნენ, ასე თუ ისე, ეროვნულ საკითხს“**... ეს არ ყოფილა მისი პირველი პოლიტიკური ნაბიჯი. ჯერ კიდევ 18 წლისა, 1901 წელს თბილისში დაესწრო დემონსტრაციას და თავისი თვალით ნახა, როგორ უმოწყალოდ დაარბიეს მისი მონაწილეები. თვითონაც სასწაულით გადაურჩა სიკვდილს — **„გამომიდგა ერთი ყაზახი ცხენით და ტროტუარზე რომ არ წაქცეოდა ცხენი, თავს გამიხეთქავდა... ხმალი მოიქნია და უნდა დაერტყა. სწორედ ამ დროს ცხენი წაექცა ქვაფენილზე და... ამით გადავრჩი სიკვდილს“.**

პარტიული დავალებით „მთავარ ფედერალისტთან“, პარტიის ხელმძღვანელ გიორგი დეკანოზიშვილთან პარიზში გაემგზავრა, რომ მისგან ინსტრუქციები მიეღო.

პარიზში ყოფნას უკავშირდება ერთი საინტერესო ამბავი, რომელსაც რევაზ გაბაშვილი ასე ყვება:

„მითხრეს, **აკაკი წერეთელი ლექციას კითხულობსო. წავედი. მთელი ქართველი საზოგადოება შეკრებილიყო. როცა აკაკიმ მოხსენება დაამთავრა, ჩემთან მოვიდა დაბალი ტანის შავწვერულვაშიანი კაცი, რომელმაც თავი არ წარმომიდგინა და მითხრა: „ორი საათია თქვენს ცხვირს ვუყურებ“. შეშლილი მეგონა და უნებურად გავუღიმე. „ორი წელია ცხვირს ვეძებ და ბოლოს და ბოლოს ვიპოვე. უთუოდ უნდა მესტუმროთ ჩემს ატელიეში“, — მეუბნება იგი... შეამჩნია, რომ უსიამოვნო გაოცება მეხატა სახეზე და გამომიწოდა დაბეჭდილი ბარათი: „იაკობ ნიკოლაძე. როდენის მოწაფე“. ახლობლებმა დამიდასტურეს, რომ მართლაც როდენის მოწაფეა, მაგრამ თავისებურიაო. ვესტუმრე ატელიეში... სტუდიის შუაში იდგა სველი ტილოთი დაფარული თიხის ბიუსტი. მოქანდაკემ ტილო გვერდით მოისროლა: „შოთა რუსთაველის ქანდაკებას ვაკეთებ და ორი წელია ცხვირს ვეძებ. აკაკის მოხსენებაზე სულ თქვენ გიყურებდით და მივაგენიო“. არ ვიცი რა გვიპოვა საერთო, მაგრამ მისი „შოთა“ დიდი ხნის შემდეგ მუზეუმში, გამოფენაზე ვნახე და ვიფიქრე: სად ერეკლე, სად თოროზაანთ თეკლეო...“**



ბელგიაში მცხოვრებ ქართველებთან ერთად (დგას მარცხნიდან მეორე)

პარიზიდან საქართველოში დაბრუნდა, მაგრამ თბილისში მისი გამოჩენა არ შეიძლებოდა — დედამისი უკვე გაეფრთხილებინათ: თქვენი შვილი გაგვიფრინდა, თორემ სახრჩობელაზე გვეყოლებოდა ჩამოკიდებულიო. იძულებული გახდა ბაქოსთვის შეეფარებინა თავი, სადაც თავისი გვარ-სახელით მშვიდად ცხოვრობდა, მიუხედავად იმისა, რომ ჟანდარმერია დაეძებდა. ამავე წელს დაქორწინდა და მეუღლესთან, მარიამ ცისკარიშვილთან, ერთად სწავლის გასაგრძელებლად პეტერბურგში გაემგზავრა.

რევაზ გაბაშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მეორე კურსზე მიიღეს, რადგან ბელგიაში სწავლის პერიოდიც ჩაუთვალეს, ხოლო მარიამი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ჩაირიცხა. როცა უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, გული აიყარა რევოლუციურ საქმიანობაზე: **„იმიტომ, რომ მე დავრწმუნდი, ეს რევოლუციონერები უარესები არიან, ვიდრე ისინი, ვისაც ვებრძოდით... ამიტომ მე სრულებით დავანებე თავი პოლიტიკას და ჩავები მეცნიერულ მუშაობაში...“**

პეტერბურგში შეეძინათ პირველი შვილი ციალა (შემდგომში ცნობილი ხელოვნებათმცოდნე არქიტექტორი, ავტორი მონოგრაფიისა „პორტალები ქართულ არქიტექტურაში“); სწავლის გარდა არაფერი აინტერესებდა, მაგრამ რუსეთში მომხდარმა ამბავმა მისი ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალა. რომ არა ეს შემთხვევა, ვინ იცის, დაუბრუნდებოდა თუ არა იგი პოლიტიკურ საქმიანობას.

**რევაზ გაბაშვილი** ასე აღწერს მომხდარს:

**„ლევ ტოლსტოი, 75 წლის კაცი, სახლიდან გაიქცა, რა მიზეზით, კაცმა არ იცოდა, და სადღაც ასტაპოვოში, ესაა სადგური, მოკვდა. ამან გამოიწვია მთელ რუსეთში, უნივერსიტეტებში, საშინელი ამბავი... „ტოლსტოვსკიე დნი“ — ასე დაარქვეს და პირველი, მეორე კურსის სტუდენტობა გაიფიცა. უფროსები არ იღებდნენ ამაში მონაწილეობას და რაკი მე უკვე მესამე კურსზე ვიყავი, არაფერში ვერეოდი. ლექციაზე შევედი უნივერსიტეტში, ამ დროს მოხდა „ობლავა“, მასში მოვხვდი და დამიჭირეს. ეს იყო 1910 წლის დასასრულს, სამთვენახევარი ციხეში ვიჯექი, მიუხედავად იმისა, რომ ყველას მივწერე, რომ მე არაფერ შუაში არ ვიყავი... სამი თვის შემდეგ გამოგვიშვეს, 27 კაცი ვიყავით დაჭერილი, და გამომიცხადეს: „ბეზ პრავა პოსტუპლენია ვ უნივერსიტეტ“. არ დამამთავრებინეს უნივერსიტეტი და წამოვედი თბილისში... რაკი რევოლუციონერებზე გულაყრით ვიყავი, შევუდექი საზოგადოებრივ მუშაობას და აი, ამ დროს, ე.ი. 1910-დან 1921 წლამდე, ეს იყო ჩემი საუკეთესო წლები, რომლებშიაც მე, შემიძლია ვთქვა, 24 საათი გადავარდნილი ვიყავი საზოგადოებრივ, უმთავრესად პოლიტიკურ საქმიანობაში. დავაარსეთ „საქართველოს ეროვნული პარტია“, რომელმაც იარსება 1917 წლამდე, ვიდრე მოხდა რევოლუცია და მაშინ გადაკეთდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიად“.**

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, რეზო გაბაშვილმა, პირადად და პარტიის საშუალებითაც დიდი შრომა გასწია — პარტიის იდეოლოგიისა და მიზნების პროპაგანდისთვის დააარსა ყოველკვირეული საზოგადოებრივ-ეკონომიკური და ლიტერატურული ჟურნალი „კლდე“ (გამოდიოდა 1912-1915 წლებში), რომლის რედაქტორიც იყო, კრიტიკოსიც და წამყვანი პუბლიცისტიც... 1915 წლიდან კი ხელმძღვანელობდა ყოველდღიურ გაზეთ „საქართველოს“. ამ ორმა გამოცემამ შემოიკრიბა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმული მამულიშვილები, რომლებიც შემდგომში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები გახდნენ (სპირიდონ კედია, იროდიონ სონღულაშვილი, გიორგი გვაზავა და სხვები). მონაწილეობდა სათავადაზნაურო ბანკის მუშაობაში, მიწათმოქმედების კომისიაში... როგორც თვითონ იხსენებდა, იარაღს აგროვებდნენ მომავალი დამოუკიდებლობისთვის, რომელიც თბილისთან ერთად იზეიმა და რომელსაც სიხარულის ცრემლებით შეეგება. იგი დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის წევრი გახდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიით.

...არასრულ სამ წელიწადში დამოუკიდებელმა საქართველომ არსებობა შეწყვიტა, ხოლო მისი აქტიური მებრძოლები ემიგრაციის რთულ გზას დაადგნენ...

6 gv.

5 gv.

# საქართველოსა თუ ხიზნობაში, ქართველო, სამშობლოსთვის იშრომე და იზრუნე, იბრძოლე...



საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების შემდეგ

* * *

რევაზ გაბაშვილი უცხოეთში წავიდა, საქართველოში კი მისი დიდი ოჯახი დარჩა. ვიდრე დედა — ეკატერინე გაბაშვილი ცოცხალი იყო, თითქოს თავს არიდებდნენ მათ დაწიოკებას. როცა რევაზ გაბაშვილმა საქართველო იძულებით დატოვა, აქ სამი შვილი დარჩა: ციალა, ალექსანდრე და გურამი. შუათანა — ალექსანდრე 23 წლის ასაკში 1934 წელს გარდაიცვალა, თუმცა საფრანგეთს თავს შეფარებულმა რევაზ გაბაშვილმა ეს ამბავი მოგვიანებით შეიტყო და უცხო მიწაზე დაიტირა ვაჟი, მის წარმოდგენაში ისევ ის პატარა ათი წლის ბიჭი, აქ რომ დატოვა.

30-იანი წლების რეპრესიებს გადაურჩნენ, მაგრამ 50-იან წლებში მათთვის მაინც მოიცალეს. აი, რას გვიამბობს, რევაზ გაბაშვილის უმცროსი ვაჟი გურამი — ცნობილი არქიტექტორი, თბილისში, ბორჯომსა და უცხოეთში აშენებული საზოგადოებრივი თუ საცხოვრებელი შენობების პროექტების ავტორი. მას მამა, ბუნებრივია, არ ახსოვს — 21 წელში ის 2 წლისაც არ იყო:

„როცა **მამა ემიგრაციაში წავიდა, ოჯახს მეგობრები შემოაკლდა. ის კი არადა, ჩვენს სახლში, პირველ სართულზე მცხოვრები ერთი მუშისა ისე მეშინოდა, ეზოში ჩასვლას ვერიდებოდი — როგორც კი დამინახავდა, სულ „გველის წიწილსა“ და „არგასაზრდელს“ მეძახდა. მოგვიანებით რამდენჯერაც შემხვდა, იმდენჯერ თვალი ავარიდე, ბოლოს მაინც გამაჩერა და მომიბოდიშა: თქვენი ოჯახის სიკეთე დღესაც მახსოვს და ამ კომუნისტების გამო რას გერჩოდითო.**

**1951 წლის შობა თენდებოდა, როცა ოჯახში მოვიდნენ, სახლი გაჩხრიკეს, მე და დედაჩემს სატვირთო მანქანაში გვიკრეს თავი და ნავთლუღის სადგურში წაგვიყვანეს. მაშინ ჩემი და — ციალა გათხოვილი იყო, მეუღლის ოჯახში ცხოვრობდა და ამ ორომტრიალს გადაურჩა. საქონლის გადასაყვანად განკუთვნილ ვაგონებში შეგვრეკეს და ათ დღეზე მეტ ხანს გამოგვკეტეს. საბოლოოდ ჩაგვიყვანეს ყაზახეთში, ყიზილყუმის უდაბნოში, სადაც მე და დედა შეგვასახლეს საქათმეში, სკინტლის სუნით რომ ყარდა. იმ დროს თბილისიდან ჩვენთან ერთად 25 ათასი ადამიანი გაასახლეს. ჩვენ ტერიტორია შემოსაზღვრული გვქონდა და იქაურობის დატოვება გვეკრძალებოდა.**

**მე, პროფესიით არქიტექტორს, უკვე მქონდა მშენებლობის გამოცდილება; ამიტომაც დიდ სამშენებლო პოლიგონზე საპასუხისმგებლო უბანი ჩამაბარეს და მეც თავი არ შემირცხვენია. საბრალო დედაჩემი, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობდა, უჩვეულო გარემოში აღმოჩნდა და ძალიან გაუჭირდა იქ ყოფნა, ვერანაირ საქმეს ვერ მოჰკიდა ხელი.**

**ჩემი სტუდენტობის პერიოდში თბილისში მოდაში იყო ფრენბურთი და მე და ჩემი მეგობრები გატაცებით ვთამაშობდით. საქართველოს ჩემპიონიც ვიყავი და საბჭოთა კავშირის თასის ფინალისტიც... იქ, ყაზახეთში შიდა ოლიმპიადაზე წარსადგენად ფრენბურთის გუნდის ჩამოყალიბება მე დამავალეს. ძალიან მოვინდომეთ და ამ მონდომებამ შედეგიც გამოიღო — სამხრეთ ყაზახეთის ჩემპიონობა მოვიგეთ და დავამარცხეთ ჩიმკენტის გუნდი, რომელიც ათეული წლის განმავლობაში რესპუბლიკის უცვლელი ჩემპიონი იყო. მახსოვს, როცა შეჯიბრებაზე სატვირთო მანქანით მივყავდით, უკან შეიარაღებული ბადრაგი მოგვყვებოდა, რომ არ გავქცეულიყავით. იქაურ ყოფას, ახლობლებისგან შორს ყოფნას ბევრი ვერ უძლებდა და ხშირი იყო გაქცევის მცდელობებიც.**

**ამასობაში სტალინი გარდაიცვალა. მისი სიკვდილიდან ორიოდე თვეში საბჭოთა ხელისუფლებამ შეცდომად აღიარა ჩვენი და ათასობით ჩვენნაირის გადასახლება. გაგვიმართლა, რომ პირველივე ეტაპზე გაგვათავისუფლეს და საქართველოში დავბრუნდით; დანარჩენებს ნელ-ნელა ათავისუფლებდნენ და ეს პროცესი ორ წელიწადს გაგრძელდა.**

**ეგრეთ წოდებული „ოტეპელის“ დაწყების შემდეგ საბჭოთა კავშირში ოდნავ „დათბა“. ეს საქართველოშიც იგრძნობოდა. ემიგრანტებთან ურთიერთობის საშუალება გაჩნდა, რადგან ჩამოყალიბდა ემიგრაციასთან ურთიერთობის საზოგადოება. მას ხელმძღვანელობდა მუსიკათმცოდნე პროფესორი ხუჭუა, რომელმაც შინ მოგვაკითხა და მამაჩემთან ურთიერთობის დამყარება შემომთავაზა. თავდაპირველად შევშინდით, რამეს ხომ არ გვიწყობენო. ბოლოს დავთანხმდი შემოთავაზებას და მამას წერილი მივწერე — ვუამბე ჩვენი ოჯახის ამბები. საპასუხო წერილიც მივიღეთ... ამ მიმოწერის შემდეგ მამაჩემმა საფრანგეთში მიწვევა გამომიგზავნა.**

**როცა პარიზში ჩავედი, სადგურზე იქაური ქართველობა — დაახლოებით 40-50 კაცი დამხვდა. დამხდურებს შორის ერთი ხანშიშესული კაცი დავინახე და ვიფიქრე — ალბათ, მამაჩემია-მეთქი... მე ხომ ძალიან პატარა დამტოვა აქ და არ მახსოვდა, როგორი იყო. თუნდ მხსომებოდა, უკვე თითქმის 47 წელი იყო გასული და მისი გვიანდელი ფოტოებიც არ მენახა... ბოლოს, ვიღაცამ ხელი მომკიდა და ჩემზე არანაკლებ დაბნეულ მამასთან მიმიყვანა, რომელსაც უცხოობაში გატარებული წლებისა და მარტოობის სიმძიმე ეტყობოდა.**



პარიზში ცხოვრების ბოლო წლები

**თვეზე დიდხანს ვიყავით ერთად და ბევრი დრო ლიტერატურაზე, პოლიტიკაზე, ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალზე საუბარსა და კამათში გავატარეთ. ძნელი იყო მასთან პოლემიკა, გასაოცარი ლოგიკით გამოირჩეოდა.**

**წამოსვლისას მაჩუქა თავისი წიგნი, რომელსაც წააწერა:**

**„1968 წელს მამა-შვილმა ერთად ჩავაბარეთ „გამოცდანი“: შენ — ბეტონ-რკინით სახლებს აგებ, „მსუბუქ“ სიტყვით მე — ზღაპრებსა. შვილის-შვილთ გამოარკვიონ, „რა არის უფრო გამძლე ხნით!“ პარიზი. 19.II1968 წ. რ. გაბაშვილი“.**

* * *

რევაზ გაბაშვილი დაუღალავად შრომობდა პარიზში. წერდა პოლიტიკურ ნაშრომებს, იკვლევდა საქართველოს ისტორიასა და არქეოლოგიას, ქართველთა ეთნოგრაფიას...

საფრანგეთის ქართულმა ემიგრაციამ მისი დაბადებიდან 75 წლის აღნიშვნა და საიუბილეო საღამოს გამართვა გადაწყვიტა, რომ ასე აღენიშნათ მისი ღვაწლი ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ხელმოკლეობის გამო რევაზ გაბაშვილი ვერ ახერხებდა თავისი სამეცნიერო შრომების დასტამბვას, ამიტომაც მორიდებით გაამჟღავნა თხოვნა — იუბილეს მაგივრად წიგნის გამოცემაში დამეხმარეთო. 1957 წელს საიუბილეო კომიამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ქართველებს ასეთი მიმართვა გაუგზავნა:

**„დიდად პატივცემულო თანამემამულენო!**

**ბატონ რევაზ გაბაშვილს ამ წელს უსრულდება 75 წელი. მისმა პატივისმცემლებმა და მეგობრებმა შეადგინეს საიუბილეო კომისია ამ თარიღის და მისი 50 წლის აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობის აღსანიშნად.**

**იუბილარის სურვილის თანახმად, კომისიამ გადაწყვიტა, რომ ზეიმის მოწყობის მაგიერ, გამოსცეს მისი „მოგონებების“ პირველი წიგნი. კომისიამ დაადგინა, საჭირო თანხის შესაგროვებლად მოუწოდოს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთ.**

**დარწმუნებული ვართ თქვენს გულუხვობაში...“**

რევაზ გაბაშვილის 340-გვერდიანი მოგონებების წიგნი სახელწოდებით „რაც მახსოვს“ 1959 წელს მიუნხენში გამოიცა (ჩვენი წერილის შესავალიც სწორედ ამ წიგნის ნაწყვეტით იწყება). მას არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა, რადგან ავტორმა შეულამაზებლად დაწერა იმის შესახებ, რასაც პირადად შეესწრო და პირუთვნელად გამოთქვა თავისი შეფასებები. როცა ეს წიგნი მისმა შვილმა გურამმა პარიზში ყოფნისას წაიკითხა, მამამისს უთხრა: „ეს რა წიგნი დაგიწერია! საქართველოში როგორ დავბრუნდე, ჩემი ყველა მეგობრის მამა გალანძღული გყავს...“

მასში აღწერილია საქართველოს ბოლო ათწლეულების ისტორია და ეს ისტორია მის ბიოგრაფიასთან არის გადაჯაჭვული. პირად ტრაგედიად იქცა მისი სამშობლოდან გამგზავრება და ასევე ტრაგიკულად აღწერს, როგორ ტოვებდნენ მთავრობა და სამხედრო შენაერთები თბილისს, ფაქტობრივად, იპარებოდნენ, თანაც ისე, რომ ხალხმა არაფერი იცოდა და ისინი მოძალებულ მტერს შეატოვეს. ამას ვინ აპატიებდა რევაზ გაბაშვილს?! აღშფოთებულან ქართველი ემიგრანტები, განსაკუთრებით კი — სოციალ-დემოკრატები: „ამ მოგონებისთვის სიკვდილი ეკუთვნის, არ ვაპატიებთ ჩვენთვის თავლაფის დასხმას!“ წიგნის ავტორს სიმართლის გამომჟღავნებით განრისხებულმა ქართველებმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, და რომ არა უცხოეთში გადახვეწილი ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის ბიჭების გამოსარჩლება — რევაზ გაბაშვილს ხელი არავინ ახლოს, ღერი თმაც კი არ ჩამოუვარდეს, თორემ ცოცხალს არავის დაგტოვებთო, — უკვე შერჩეული მკვლელი დავალებას შეასრულებდა. სხვა მომხრეებიცა და დამცველებიც გამოუჩნდნენ, რომლებიც სრულად იზიარებდნენ რევაზ გაბაშვილის კრიტიკას, რომ სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ არაფერი გააკეთა დამოუკიდებელი საქართველოს დასაცავად.

პოლიტიკური ხასიათის შრომების გარდა, რევაზ გაბაშვილს ჰქონდა ფუნდამენტური ნაშრომი — „ქართული მოდგმის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში“, რომლის დაბეჭდვასაც ძალიან ეშურებოდა და ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლებს ევროპასა თუ ამერიკაში დახმარებას სთხოვდა:

„ფული **პირადად მე არ მაინტერესებს და არცა მჭირდება, მაგრამ წიგნისთვის მზად ვარ ყველანაირ პირობებში ვიშოვო, რადგან ვშიშობ, უქმად არ დაიკარგოს ამოდენა ნაშრომი, ასე საჭირო ჩვენი ქვეყნის ინტერესებისთვის“.**

წუხდა, რომ მისთვის ასე ძვირფასი წიგნის მეცნიერული, ისტორიული და პოლიტიკური შინაარსი და მნიშვნელობა ქართველებს არ ესმოდათ: **„მეტადრე, როგორც საბრძოლო იარაღი, თუნდ იმ სომხების და სომხოფილური „მეცნიერების“ წინააღმდეგ და „ისტორიკოსებისა“, რომელნიც საუკუნოებით ებრძვიან, მალავენ, აბათილებენ ყველაფერს ქართულს და უსინდისოდ იჩემებენ ჩვენს ისტორიულ განძეულს, როგორც ნივთიერს, ისე ტერიტორიალურს, სულიერს თუ ყველა სხვაგვარს... ქართველ საზოგადოებას რომ ეროვნული შეგნება ჰქონდეს, მარტო ამის გამოქვეყნებაში არ დაიშურებდა თავის მოვალეობის მოხდას ხარჯების გაღებით... მზად ვარ ყოველნაირ პირობას დავთანხმდე, ოღონდ წიგნის შინაარსი გამოქვეყნდეს, თუნდ ჩემი სახელის მოუხსენებლადაც. მთავარია წიგნი და არა ავტორობა; ჭეშმარიტება და არა სომხური ზღაპრები, რითაც იჩქმალება ჩვენი ისტორია...“**

მხოლოდ თეზისების სახით მოხერხდა მისი გამოცემა. პარიზში ყოფნისას გურამ გაბაშვილი თურმე ეხვეწებოდა მამას, საქართველოში წამოდიო, საელჩოში წასვლაზეც დაიყოლია, მაგრამ მეორე დღეს გადაიფიქრა — კავკასიურ კულტურაზე დაწერილ წიგნს ვთარგმნი და როგორც კი დაიბეჭდება, მაშინვე წამოვალო...

1968 წელს, როცა ცისანა გაბაშვილი მამას პარიზში ესტუმრა, რევაზ გაბაშვილი სასტამბოდ გამზადებულ წიგნს კითხულობდა და მის გასწორებაში დაეხმარა კიდეც. გამომცემლობას ჩააბარეს, მაგრამ შვილისთვის მიცემული პირობა ვერ შეასრულა — 1969 წლის გაზაფხულზე 87 წლისა პარიზში გარდაიცვალა. შვილები მის დაკრძალვას ვერ დაესწრნენ.

**„ქართულ ინტელექტუალურ ოჯახს ემიგრაციაში დაეკარგა ერთი მისი დიდი და ვერავისით შემცვლელი წევრი... ეს დანაკარგი განსაკუთრებით მტკივნეული და საგრძნობი გახდა მაშინ, როდესაც მასზე პოლიტიკურად გამწყრალი მოპირდაპირენი მასსიურად დაესწრენ დაკრძალვას და ამ პატივისცემის აქტით საბოლოოდ წაშალეს მასზე გავრცელებული, ყოვლად უშინაარსო ხმები...“** — ვკითხულობთ უცხოეთში გამომავალ ჟურნალ „კავკასიონში“ დაბეჭდილ წერილ-ნეკროლოგში.

ამავე წერილით ვიგებთ, რომ **„სიცოცხლეში მხოლოდ სამჯერ უტირია რევაზ გაბაშვილს: პირველი იყო სიხარულის ტირილი დამოუკიდებლობის აღდგენის გამო, მეორე — ამ დამოუკიდებლობის დაკარგვის შედეგად გამოწვეული წუხილი და მესამეც — უცხოეთის მიწაში ჩაწოლის ახლო მოლოდინში...“**

**„არას დროს ჩემთვის არაფერი მიძებნია: არც სახელი, არც მდგომარეობა, არც ქონება. სრულიად უბრალოდ, ბუნებრივად ჩემს სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნდა მუდამ სამსახური სხვებისა და იდეალისათვის, სამშობლოსათვის“** —ასეთი მრწამსით იცხოვრა და იღვაწა რევაზ გაბაშვილმა და შთამომავლებს ქვეყნის მართლაც რომ უანგარო სამსახურის მაგალითი დაგვიტოვა.

# „მოვიაროთ საქართველო“ – მოგზაურთა კლუბი

## მოვიაროთ და მოვუაროთ საქართველოს

### მარშრუტი: თბილისი – წალკა – ბერთას მონასტერი – დაშბაში

წალკისკენ მიმავალ მარშრუტს ბაგებიდან შევუყევით და ძალაუნებურად „ეს რა უქნიათ!“ აღმოგვხდა ყველას, ვისაც კარგა ხანია იმ მხარეში აღარ გაგვივლია, აღმოგვხდა და ასე ვიშვიშით ვიარეთ წყნეთის ბოლომდე (შემდეგ სხვა რამ გაგვიხდა სავიშვიშო) – სადღაა ტყე! ტყის ნარჩენია – ფიჭვები, ნაძვები თუ კაკლის ხეები რკინა-ბეტონის, მეტწილად უგემოვნო შენობებადაა ქცეული...

ვისაც ახსოვს რანაირი იყო წალკისკენ მიმავალი გზა, დღეს არსებულს ვერ დაიწუნებს, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ იმ უვარგის გზაზე თუ გამალებული მოძრაობა იყო, ახლა, დაახლოებით ორი საათის მანძილზე მხოლოდ ორმა მანქანამ თუ ჩაგვიქროლა. ხალხი არ დადის და საინტერესოა, ეს გზა ვის გაუკეთესო, დაისვა კითხვა – ვერავინ განმარტა...

მინდვრები, ძნები, საქონელი – ძე ხორციელი კი არ ჩანდა, თითქოს ადამიანები გაქრნენ...

### წალკის წყალსაცავი

გზიდან წალკის წყალსაცავი გამოჩნდა, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები ზღვად მოიხსენიებენ. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, ადამიანებს ყველა წლით დაგუბებული ადგილი მოწონთ, არ აქვს მნიშვნელობა გარემოს, მაინც ლამაზად აღიქვამენ, ასე მოიწონეს წალკის წყალსაცავიც. იქნებ ლამაზიცაა, მაგრამ ეს კიდევ ერთი წყალსაცავია საქართველოში, რომელმაც ეკლესია გადაყლაპა...

მისტიკური ამბის ფრაგმენტია – როდესაც ზამთარში (იანვარ-თებერვალი) წყალსაცავში წყლის დონე 5-7 მეტრით დაბლა იწევს, ეკლესიის ფრაგმენტი ჩნდება. საკურთხევლის მხარე მთლიანად ჩამოშლილია, კედლის ფრაგმენტი გარეთაც და შიგნითაც გადაყრილია. შედარებით უკეთ შემონახულია ეკლესიის სამხრეთი ნაწილი. ეკლესიის შესასვლელთან, რომლის კედლის სიმაღლე სამ მეტრს აღწევს, შემორჩენილია რელიეფური ქვა, რომელზეც გარკვევით იკითხება ჯვარი და ანიმალისტური ორნამენტები. საკურთხევლის მხარეს შემორჩენილი ბათქაშის ფრაგმენტები საღებავის კვალით, რაც მიანიშნებს, რომ ეკლესია მოხატული უნდა ყოფილიყო. ეკლესია აგებულია ვულკანური ქანებით.

თავდაპირველად არ უნდა მომხადრიყო, თორემ, რა თქმა უნდა, ჟინვალის წყალსაცავის მსგავსად, არც წალკის წყალსაცავს დააშრობს ვინმე...

საქართველოში სხვა, წყალში ჩაძირული ეკლესიებისგან განსხვავებით, წალკის წყალსაცავთან დაკავშირებით განსხვავებული სიტუაციაა, სხვები თუ მუდმივად წყალში არიან, წალკის წყალსაცავში ჩაძირული ეკლესია 9-10 თვეა წყალში და როდესაც ჩნდება, თოვლის ფენა ადევს, ყინვაა, შემდეგ დნობა იწყება და ქვების გამოფიტვის გამო კედლების დაშლა მოსდევს. ეკლესია დარბაზული ტიპისაა და სავარაუდოდ მე-11 საუკუნეში უნდა იყოს აშენებული. ტაძრის სამხრეთ კედელზე საინტერესო ორნამენტებით მოხატული ქვა არის, რომელიც ერთ-ერთი ვერსიიის თანახმად საფლავის ქვა უნდა იყოს, რომელიც ტაძრის აღდგენის შემდეგ მოყვა კედელში და მასაც დაშლა მოელის. ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე მე-19 საუკუნის საფლავებია ბერძნული წარწერებით. ალბათ, სწორედ ამიტომაა, რომ როგორც ადგილობრივები ამბობენ, ემიგრაციაში წასული ბერძნები წალკაში სტუმრობას იმ დროს ამთხვევენ, როდესაც წყალსაცავში წყალი იკლებს და ტაძართან სალოცავად მისვლა შესაძლებელიაო. სხვათაშორის, ამ ადგილზე (ტბეთი, ყოფილი „ხადიკი“) უკვე ადგილობრივებად ქცეული, მაგრამ რეალურად ეკომიგრანტი სვანები თავიანთ ტრადიციულ „ლამპრობას“ ატარებენ.)

ერთადერთი, რაც დაზუსტებითაა ცნობილი მისი წყლით დაფარვის თარიღია – 1947 წელი...

„ჩაძირულ ქალაქში“ (ლევან გოთუა) რეალურ ფაქტებზე დაყრდნობითაა აღწერილი ამბავი – როდესაც წყალსაცავი დატბორვაზე გაუშვეს, ღვთისმსახური ბერი ტაძრიდან არ გამოვიდა და ტაძართან ერთად დარჩა ფსკერზე...


ეკლესია, რომელზეც გვითხრეს ნუ შედიხართო


წარწერა ეკლესიაზე, სადაც არ გვიშვებდნენ, თქვენი არააო...


წალკის წყალსაცავი

### წალკის რაიონი

წალკა ისევ ის ძველი წალკაა რაც იყო, თუ არ ჩავთვლით წალკის ცენტრში ახლადაშენებულ (თუ გარემონტებულ) სპორტდარბაზს, რომელიც რესტორანს უფრო ჰგავდა შორიდან, დღევანდელი „სუპერმარკეტიც“ კი იგივე „უნივერმალია“...

როგორც იქნა, წალკის ცენტრში მაინც ვნახეთ ადამიანები, შავგვრემანები და მათგან მკვეთრად განსხვავებული თეთრები, თითქოს ორი სხვადასხვა რასა იყო; თავმომწონე ცხენოსანი ყმაწვილი, ურიკაში შებმული სახედარი მეურიკიანად და გაზიზინებული შავი „ჯიპის“ მარკის ავტომობილის მძღოლიც ერთნაირად მოღუშულები იყვნენ, ყველას ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ომიანობა იყო და ნავთის რიგში მდგომებს რიგმა აღარ მოუწიათ... გაცრეცილი იყო ყველაფერი, გახუნებული... ერთადერთი, სადაც სიცოცხლე იგრძნობოდა მარკეტი იყო, ტკვარცალა თეთრმა გოგოებმა ლაშა ჩხარტიშვილი იცნეს, სტაცეს ხელი, დახლში შეიტაცეს და სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს.

წალკიდან სულ მცირე მანძილი გავიარეთ და ისევ უკაცრიელ გარემოში მოვხვდით. ძალაუნებურად საშინელებათა ფილმი აეკვიატებოდა ადამიანს – ნაშალი სახლები, შამბმოდებული (უკვე გამხმარი) ეზოები ჩაქცეული სახლებით, ერთმანეთში არეული ნაცრისფერი-ყვითელი ქვაღორღი და საშინელი, გაშეშებული სიჩუმე, რომელსაც ზემოდან დედალმამალი არწივის ირაო უარესად ამძიმებდა. ენა ვერ აღწერს იმ სიცარიელეს – დაბომბილს ჰგავდა იქაურობა, დაბომბილსა და ატომური აფეთქების კვალდაჩნეულს... ზოგ სოფელში, ალაგ-ალაგ სიცოცხლის, ანუ ადამიანის კვალის აღმოჩენა ქვის ყორეებზე გასაშრობად გაფენილი წივით (საქონლის ნაკელიგან დამზადებული საწვავი) იყო შესაძლებელი, თორემ დენის ბოძებზე და სახლის სახურავებზე ყარყატებისა და წეროების ბუდეებიც კი ცარიელი იყო... ფრინველები მომავალ წელს მაინც დაბრუნდებიან, მაგრამ იმ გავერანებული ადგილების პატრონები, იმ კუთხის ძირძველი ქართველები?

არაადამიანურ სიცარიელეში უეცრად თანამგზავრული ანტენა, ე.წ „თეფშიანი“ ორსართულიანი სახლი გამოჩნდა, სადაც საკვამურიდან ბოლიც ამოდიოდა და აივანზე ყმაწვილებიც ლაღობდნენ, ანუ სიცოცხლე ზეიმობდა. პატარა ბავშვები რომ მოულოდნელ სანახაობას გადააწყდებიან, ისე მივაჩერდით ჩვენც და ერთხმად ამოვთქვით, „ჩინელები ყოფილან!“ უცნაურ რეალობას გავუსწორეთ თვალი – ქართველები თუ არა, გვერჩივნა ისევ ბერძნები და სომხები ყოფილიყვნენ... ისე დავიბენით თუ დავიძაბეთ, ოცი კაციდან ერთმა ვერ აღვბეჭდეთ ფოტოზე სავარაუდო მასპინძლად მოსული სტუმრები...

(ჩინეთის ელჩი საქართველოში იმედოვნებს, რომ საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში ჩინეთის მთავრობა გარკვეულ წვლილს შეიტანს. სწორედ ჩინეთის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება საქართველოს სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგების აღჭურვა შესაბამისი ტექნიკითა და მოწყობილობებით და საკითხავიღაა რა ინტერესი აქვს ჩინეთის მთავრობას რეალურად?)

უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიანო და უპატრონო ნოყიერ მიწას ვინ დატოვებს დიდხანს უპატრონოდ?

თურქეთიდან გამოცეულმა სომხებმა გზა აღარ გააგრძელეს მშობლიური, მაგრამ დამშეული სომხეთისკენ და გზადვე დასახლდნენ, ნოყიერ ნიადაგზე, თურქეთთან ახლოს, ოღონდ საქართველოში, „ეთნიკური უმცირესობა“ დაირქვეს და პირველივე შესაძლებლობისთანავე პრეტენზია გამოთქვეს მასპინძლის მიწაზე, ლამის ავტონომია მოითხოვეს (პრეტენზია დღემდე აქვთ). ამდენად, როდესაც ეთნიკურმა ქართველებმა დაიწყეს ჩასახლება (ზოგი დინებას მიჰყვა), ადგილობრივმა სომხებმა


წივა


მიტოვებული ბუდეები

8 gv.

7 gv.

(სომხეთის სომხური წრეების შეგულიანებით) წინააღმდეგობის გაწევა გადაწყვიტეს. ამას ერთვოდა ისიც, რომ წალკის რაიონი თითქმის მოწყდა დანარჩენ საქართველოს სწორედ უგზოობის გამო. (როგორც ბევრს ჰგონია, არ გაუკეთებია აღნიშნული გზა მიხეილ სააკაშვილს, ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა დააფინანსა პროექტი რომელიც ითვალისწინებდა თბილისი-წალკა-ნინოწმინდის მაგისტრალის რეკონსტრუქციას (უითლი 2009)

2002 წლის მონაცემებით წალკის რაიონში მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი ასეთი იყო: ქართველები – 12,02%, აზერბაიჯანელები – 9, 54%, სომხები – 54,98%, ბერძნები – 21,97% და დანარჩენი სხვა. 2009 წლისთვის წალკის რაიონის ბერძნული მოსახლეობის რაოდენობა ემიგრაციაში წასვლის გამო შემცირდა და გაიზარდა ეთნიკური ქართველების რაოდენობა აჭარისა და სვანეთის მაღალმთიანი რეგიონებიდან სტიქიური უბედურების გამო გადმოსახლებულებით, რომელთაც დამხვდურ მოსახლეობასთან თანაბარი პირობებით მიიღეს მიწის ნაკვეთები. სახელმწიფომ ჩაასახლა ეკომიგრანტები იმ პირობით, რომ სახელმწიფო გადაიხდიდა სახლების საფასურს, მაგრამ მიზეზთა გამო სახლები დაუკანონებელი დარჩა, თვით იმ ოჯახებმაც კი ვერ დაიკანონეს, რომელთაც თავიანთი ხარჯებით გადაიხადეს სახლების საფასური.

მსოფლიოში, ალბათ, ყველა ერს აქვს წასასვლელი, ერთადერთი ქართველია, რომელსაც საქართველოს გარდა სხვა სამშობლო არ აქვს, მაგრამ როგორც ჩანს, საქართველოში ყველასთვისაა ადგილი გარდა ქართველისა. სხვა რა შეიძლება იფიქრო, როცა წლების წინ ეკომიგრანტებად ქცეულ ქართველებს საკუთარი მიწა და სახლი არ აქვთ საკუთარსავე სამშობლოში და ყველა მთავრობა მხოლოდ პირდება; ის სახლებიც კი, რომლებშიც შესახლებულები არიან სახელმწიფოს მიერ, ლამაზად რომ ვთქვათ, ავარიულ მდგომარეობაშია და უმთავრესი, ყოველ წამს შეიძლება დაბრუნდეს იმ ავარიული სახლის მეპატრონე და იქიდანაც მოისროლოს დაუპატიჟებელი სტუმარი...

# მოვიაროთ და მოვუაროთ საქართველოს

ცნობილი ფაქტია, ქართველი მიგრანტების დიდი ნაწილი საქართველოსთვისვე მნიშვნელოვანი ასათვისებელი კუთხიდან ადგილზე საცხოვრებლის და დასამუშავებელი მიწის უქონლობის გამო უკან გაბრუნდა; ნაწილმა, მთლად უპერსპექტივოდ დარჩენილებმა, დაკეტილი სახლები გატეხეს და თვითნებურად შესახლდნენ; ნაწილი მეპატრონესთან შეთანხმებით დასახლდა, მაგრამ საკუთრების უფლება არ ჰქონდა და 34 ოჯახი სოფელ ავრალოში მილიონერმა ბერძენმა ნიკოლაი აზნაუროვმა გამოსახლა, რადგან მას ჰქონდა რწმუნებულება სახლის პატრონებისგან.

დღეისათვისაც არ დასრულებულა ეკომიგრანტების ამბავი, ზოგი ისევ უსახლკაროდ არის, ხოლო მათ, ვისაც სახლები შეუსყიდეს, მიწები არ აქვთ დარეგისტრირებული...


ლაშა და გია

ასეა თუ ისე, ის მიდამო უნდა ნახონ იმ სახელმწიფო პირებმა საკუთარი თვალით, რომელთაც ამგვარი პრობლემების გადაჭრა ეხებათ. ელემენტარულია, სასწაულმოქმედად შერაცხული კალმახების გამო უამრავი სტუმარი ნახულობს წალკის რაიონის გაველანებულ სოფლებს და გაოგნებულია სახელმწიფოს მხრიდან გამოვლენილი ხაზგასმული უპასუხისმგებლობით საკუთარი ტერიტორიის წინაშე...

## ქალბატონი ციალა

წალკაში 1993 წლიდან ცხოვრობს სოხუმიდან დევნილი ბატონი გივი ღვინჯილიასა და ქალბატონი ციალა პატარაიას ოჯახი.

**ქალბატონი ციალა:** – „წალკაში 1993 წლის ნოემბერში ჯანდაცვის სამინისტროს განაწილებით მოვხვდით, წალკა სად იყო, რუკაზე ვეძებდი... საფოსტო ბარათებზე იყო გამოსახული ჩვენი სახლი, ჩემი მეუღლის დაარსებული. ნებისმიერ სოხუმელ ინტელიგენტს რომ ჰკითხოთ ვინ არის გივი ღვინჯილია, გეტყვით, რომ ის სახლი მისი აშენებულია – ოცდაათი წელი რაც ვიშრომე იქ ჩავდე და დაკეტილი ბინა დავუტოვე აფხაზებს, ერთი ჩანთით გამოვედი. ჩემი მეუღლე მეცნიერებათა დოქტორია, სისხლძარღვთა ქირურგია, მოსკოვში აქვს დაცული ხარისხი; მე ექიმ-ლაბორანტი ვარ, ბიოლოგიური ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული, მერე – საიჟინრო დავამთავრე, მერე – ფარმაცევტული და ბოლოს ვარ წალკის ერთ დროს ძროხის მწველავი ქალი.

წალკაში რომ გამოგვიშვეს, პირველი ქართული ოჯახი ვიყავით, საავადმყოფოში ვცხოვრობდით, ჩემი მეუღლე განყოფილების უფროსი იყო, მე – ლაბორატორიის. არაჩვეულებრივად მიგვიღეს ბერძნებმა, მაწონი, ყველი, რძე, კარტოფილი, სტაფილო, მაკარონი, ბრინჯი – რაც ჰქონდათ ოჯახში, ყველაფერი მოჰქონდათ, იმდენი, რომ მე ნათესავებთან ვაგზავნიდი თბილისში. გამგებელი იყო თბილისელი ბიჭი, გია კვალიაშვილი, იმან მეწველი ძროხა გვაჩუქა, მიგვიწერა ყველ-კარაქის ქარხანაშიც ბერძენ კაცთან და ისიც გვამარაგებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ გვქონდა წალკიდან თბილისში გადმოსვლის საშუალებაც, არ წამოვედით – დღესაც არ წამოვალ! რომ გამიჭირდეს, აქ არც სომეხი და არც ბერძენი არ დამზარდება!... არც ჩვენ ვრჩებოდით ვალში, შუაღამე რომ ყოფილიყო, ჩემი მეუღლე კილომეტრების იქით გაჰყვებოდა ავადმყოფის დასახმარებლად... სვანეთიდან რომ ჩამოვიდნენ ეკომიგრანტები, ადგილობრივებმა მათთან მეტ-ნაკლებად დაალაგეს ურთიერთობა, მაგრამ აჭარიდან რომ ჩამოვიდნენ, იმათ ვერ ეგუებიან, ისინი არ უნდათ...

ქვეყნის პატრიოტობა ვიღაცას სავარძელში ჯდომა და არაფრისმომცემი ლაპარაკი ჰგონია, გვერდზე გახედვა არ უნდა... ბედმა კუთხე შეგვაცვლევინა, მაგრამ სადაც მიგვიჩინა ადგილი, იქ გავაგრძელეთ ჩვენი ადამიანური მოვალეობის შესრულება ხალხის წინაშეც და ქვეყნის წინაშეც...

სანერვიულოც ბევრი მაქვს და სამართლიანი საპრეტენზიოც, მაგრამ ჩვენი წალკა მაინც სულ სხვაა, თბილისში რომ ვხვდები, ერთი სული მაქვს როდის გამოვალ იქიდან, სული მეხუთება, თავისუფლება მინდა...“

## მაჩვთა, ოლიანკა, ბერთა

წალკიდან დაახლოებით 20-25 კმ-ში მდებარე სოფელ ოლიანკასკენ (მაჩვთა) ავიღეთ გეზი, სადაცა პაწაწინა ტაძრის ძირში, საკურთხევლის ქვეშ წყარო (ავია სოფია) გამოედინება და როგორც ამბობენ, მასში მკურნალი კალმახები ბინადრობენ. გადმოცემის მიხედვით, დაავადებული ადამიანები კალმახების შეხებისა თუ კალმახების საბინადრო წყალში ჩასვლის შედეგად იკურნებიან. ყინულივით ცივი წყალია, მაგრამ როდესაც მივედით, საკუთარი თვალით ვიხილეთ, რომ პატარა ბავშვები უდრტვინველად იტანდნენ სიცივეს, ზრდასრულებზე უკეთაც კი.

კალმახების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ რამდენიმე წელია რაც გავრცელდა, ამის მიზეზი კი მხოლოდ ის იყო, რომ რეგიონი ჩაკეტილ ტერიტორიასავით იყო, ქართველები თამამად ვერ შედიოდნენ. თვით სასულიერო პირებისთვისაც მას შემდეგ გახდა „კალმახებს სასწაულის“ შესახებ ცნობილი, რაც ბერძენი მოსახლეობის გადინება დაიწყო. კალმახებსაც ბერძენი მეპატრონე ჰყავდა, მაგრამ როდესაც მასაც საბერძნეთში გადაუწყვეტია წასვლა, უწმინდესისთვის მიუწვდენია ხმა, ასეთი სასწაულები ხდება და ამ ადგილს უპატრონოდ ვერ დავტოვებ, იქნებ, ვინმე გამოაგზავნოთო. პატრიარქმა გადაწყვიტა და მისი კურთხევით გაიხსნა ოლიანკაში პირველი მამათა და დედათა მონასტერი – ეს იყო 2004 წელი.


ოლიანკა

ჩვენს იქ ყოფნაში ერთი კალმახი გამოვიდა, მაგრამ მალევე შევიდა, რადგან წყალში ჩამსვლელები მრავლად იყვნენ. როგორც მამა არსენმა გვითხრა, უფრო შებინდებულზე გამოდიან, როცა ხმაური აღარ არის.

ადგილობრივები ყვებიან ამბავს, რომ ერთხელ ვიღაცები მისულან და იქვე, წყაროსთან დაუპირებიათ შეწვა, მაგრამ პირველივე კალმახი გასხლტომიათ და ისევ წყალში ჩამხტარა. იმ სამი ადამიანიდან ერთი დაბრმავებულა, ორნი კი ავტოკატასტროფაში მოყვნენ და მდინარეში გადავარდნენ. როდესაც ეს ამბავი გახმაურდა, შემდგომში აღარავის გასჩენია მსგავსი სურვილი.

## დაშბაშის ხეობა

დაშბაშის ულამაზესი კანიონი 1983 წელს შეიტანეს წითელ წიგნში და ამჟამად ბუნებრივი ძეგლის სტატუსი აქვს, მაგრამ დახედეთ ფოტოს, ის ხომ ჩვეულებრივ ნაგავსაყრელადაა ქცეული... მთელ საქართველოში ერთი და იგივე სიტუაციაა დანაგვიანების მხრივ...


ნაგავი დაშბაშის კანიონში

სავარაუდოდ, გვალვების გამო დამშრალი დაგვხვდა ყველა ჩანჩქერი, მათ შორის ისიც, რომლის ვარდნა 50 მეტრამდეა. დაშბაშის კანიონშია ქვათაცვენის ძალიან საინტერესო და უნიკალური მოვლენა, თუმცა ჩვენ ზემოთა მხრიდან მოვექეცით და დაზღვეულები ვიყავით. (ფიჭვის ტყეები მავნებელი მწერების გამო მძიმე მდგომარეობაში იყო და ნეტავ, ჰაერიდან მაინც თუ უწამლეს?)

სადაც ჩვენ შევჩერდით წასახემსებლად, როგორც მთელ რაიონში, აქაც ნაშალი ეკლესია იყო, ოდნავ მოშორებით კიდევ ერთი, შენახული, მაგრამ დაკეტილი ეკლესია, რომლის წინ სამამულო ომში წასული იმსოფლელი სომეხი შინმოუსვლელების მცირე ზომის მემორიალი იდგა. ვიფიქრეთ, ეკლესიის ეზოში მაინც შევალთ, დავათვალიერებთ გარედან, სამახსოვრო ფოტოებს გადავიღებთო და ის იყო, გალავანს მივუახლოვდით, გვერდზე მაცხოვრებელი გაკაპასებული აყვირდა, რაც ასე ითარგმნებოდა: „არ შეხვიდეთ, ეგ თქვენი სარწმუნოების არ არის!“ სარწმუნოებას რა მნიშვნელობა აქვს დამთვარიელებლისთვის, ამდენად ყურადღება არ მივაქციეთ და შევედით. სამრეკლოსთან კედელი პატარაზე გამოტეხილი იყო, თუმცა მაინც გაირჩეოდა, რომ შიგნით ხატები იყო დაბრძანებული, რაც არაფრით ჰგავდა სომხურ ეკლესიას. გარედან, კედელზე, ქვაზე ჩანს ქართული ასომთავრულით ამოტვიფრული წარწერა, პირველი სიტყვით „მდლთა“, გაგრძელებას „რაღაც სჭირდა“...

უამრავი ეკლესიაა წალკის რაიონში, მაგრამ ჩამოშლილი სახლების მსგავსად, არც მათ ადგათ კარგი დღე – ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, საქართველოს ეს მშვენიერი კუთხე ბედის ანაბარადაა მიგდებული.

(გაგრძელება იქნება)